



europe-bet.com

**სკანდალური ექსკლუზივი**

**9-წლიანი ტერორის მორიგი მსხვერპლი  
 ფინალური თვითგკვლევობა**



**თვითგკვლევობამდე დაწერილი  
 სკანდალური წერილი EXCLUSIVE**

„წერილში თემური პირდაპირ ადებს ხელს ზურაბ ადეიშვილს, მაგას ჩემი გამწარებისთვის ღმერთი არ გაახარებსო“



**EXCLUSIVE**

**ქეთი მელუას  
 ექსკლუზიური  
 ინტერვიუ**

**ლომისოგაზე უგო-უკვლოდ დაკარგული 17 წლის  
 გურამ დადიანიძის ძებნა უხედეგოდ გრძელდება**

**მარგველაშვილმა  
 ადვინისტრაცია  
 გურჯანაძის პარტიის  
 ყოფილ გენერალურ  
 მდივანს ჩააბარა**

**სანდრო ბრეგვაძე:  
 „ისინი გამოიყენებენ  
 ყველანაირ  
 ბერკეტს,  
 შეიარაღებულ  
 გადატრიალებათ  
 ნავლან იმისთვის,  
 რომ ჩვენთვის  
 გზით დაბრუნდნენ  
 ხელისუფლებაში“**

**„იბელს“  
 ლევან  
 ვასაძე  
 ყიდულობს?  
 რატომ დაიბარეს ტელეკომპანიის მენეჯმენტი  
 ლონდონში, პატარკაციშვილების ვილაზე?“**

# 9 წლიანი ტერორის მორიგი მსხვე



## თვითმკვლელობა და დაწერილი

## სკანდალური წერილი

„წერილში თემური პირდაპირ ადებს ხელს ზურაბ ადგიშვილს, მაგას ჩემი გამწარებისთვის ღმერთი არ გაახარებსო“

„წერს, რამდენი წაართვა ადგიშვილმა – მაგალითად, სიღნაღში 3 მილიონი, ქუთაისში 2,5 მილიონი და ა.შ. წერილში ბოლოს იმასაც კი ამბობს, რომ ახლა მიწოდდა სიცოცხლე, მაგრამ ვეღარ ვუქლებო“

### მირიან ბოქლოძე

ყოფილი დეპუტატი და ბიზნესმენი თემურ ჩარკვიანი გასულ კვირას თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ცხედარი ახლობლებმა საპირფარეოში აღმოაჩინეს. მას ცეცხლსასროლი ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„პრაიმტიმში“ დაინტერესდა, ვინ მიიყვანა ცნობილი ბიზნესმენი და დეპუტატი ამ ტრაგიკულ გადაწყვეტილებამდე? ითქვა, რომ თვითმკვლელობის მიზეზი ბანკის ვალები გახდა, რომლის გამოც ბიზნესმენმა ქონება დაკარგა. ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების დროს მას იძულებით ჩაადებინეს თანხა სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაში სიღნაღში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში. ცნობილია ისიც, რომ ის იყო სამშენებლო კომპანია „თბილისის“ დამფუძნებელი.

2009 წელს პირველი კომპანია, რომელიც ფინანსურ კრიზისს ემსხვერპლა, სწორედ „თბილისი“ იყო. კომპანია იმით არის ცნობილი, რომ უზარმაზარ პროექტებს უძღვეოდა – სამების ტაძრისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი მაგისტრალის მშენებლობას. მსხვილ გადაწყვეტა საგადასახადო ინსპექციამ

მაშინ სამშენებლო კომპანია „თბილისის“ დაყადაღებული ქონება გასაყიდად გამოიტანა. საუბარია კომპანიის რამდენიმე ობიექტზე თბილისში, ბათუმსა და გარდაბანში. სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისმა ფასმა 3 254 517 ლარი შეადგინა.

რამდენად შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული ხმები თვითმკვლელობის ირგვლივ? დეტალების გასარკვევად „პრაიმტიმში“ ქობულეთის ქუჩაზე მდებარე ჩარკვიანების საცხოვრებელ სახლს ესტუმრა. მომხდარის მიზეზებზე ჭირისუფლები, ამ ეტაპზე, არ საუბრობენ, თუმცა „პრაიმტიმს“ ოჯახის ერთ-ერთი ახლობელი უყვება, რომ გარდაცვალებამდე თემურ ჩარკვიანმა წერილი დატოვა, სადაც ის გაკოტრებასა და თვითმკვლელობამდე მიყვანაში იუსტიციის ყოფილ მინისტრს, ზურაბ ადგიშვილს ადანაშაულებს.

ოჯახის ახლობელი: – თემური იყო უპატიოსნესი ადამიანი, მაგრამ ბოლომდე განირეს, იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ კაცმა საბოლოოდ თავი მოიკლა. ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, რა ზეწოლებს განიცდიდა, როგორ გააკეთებინეს არაერთი ქალაქი, მერე თვითონ რომ ხსნიდნენ საზეიმოდ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ამაყობდნენ. გააკეთებინეს და „გადაადგეს“. სიღნაღის რეაბილიტაციიდან დაწყებული,

„თემური იყო უპატიოსნესი ადამიანი, მაგრამ ბოლომდე განირეს, იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ კაცმა საბოლოოდ თავი მოიკლა. ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, რა ზეწოლებს განიცდიდა, როგორ გააკეთებინეს არაერთი ქალაქი, მერე თვითონ რომ ხსნიდნენ საზეიმოდ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ამაყობდნენ. გააკეთებინეს და „გადაადგეს“. სიღნაღის რეაბილიტაციიდან დაწყებული, ბათუმითა და ქობულეთით დასრულებული, უამრავი პროექტი განახორციელებინეს, მაგრამ ფული არ გადაუხადეს. ეს დეტალურად აღწერა თავის წერილშიც, რომელიც გარდაცვალებამდე დატოვა“



# რკალი - ფინალი თვითმკვლელობა



EXCLUSIVE



## ვის კვალზე გავა გამოძიება და გახდება თუ არა ბიზნესმენის მიერ თვითმკვლელობა და ნერილი სკანდალური ნერილი ზურაბ ადვიშვილის მორიგი ბრალდებას საფუძველი

ბათუმითა და ქობულეთით დასრულებული, უამრავი პროექტი განახორციელებინეს, მაგრამ ფული არ გადაუხადეს. ეს დეტალურად აღწერა თავის წერილშიც, რომელიც გარდაცვალებამდე დატოვა.

**– და რა წერია ამ წერილში, თუ ნანახი გაქვთ, შეგიძლიათ, გაგვიმხილოთ?**

– წერილში თემური პირდაპირ ადებს ხელს ზურაბ ადვიშვილის, მაგას ჩემი გამწარებისთვის ღმერთი არ გაახარებსო. ჯერ მისი პარტნიორები დაიჭირეს, ორი კაცი, რომელიც თემურის გამოსახსნელი გახდა და 360 ათასი გადაახდევინეს. მერე თავად თემურს მიადგნენ და მის დაჭერას აპირებდნენ.

**– და რატომ ვერ დაიჭირეს?**

– მის პარტნიორებს აწვებოდნენ, რომ თემურისთვის დაედოთ ხელი. წერილშიც წერს, მერე მე მომადგნენ და ერთი მილიონი მომთხოვესო. ამხელა თანხა იმ მომენტში არ ჰქონდა, ამიტომ მახინჯაურის ობიექტი ჩაადებინეს ბანკში და ფული წაიღეს. მახინჯაურის გამოსასყიდად ბანკში ნახევარი მილიონი ლარი ჰქონდა შეტანილი, მაგრამ მაღალი პროცენტისა და დაგვიანების გამო ისიც წაართვეს.

– ანუ გარდაცვალებამდე დატოვებულ წერილში ის პირდაპირ ასახელებს ზურაბ ადვიშვილს?

– დიახ, პირდაპირ წერს, რამდენი წაართვა ზურაბ ადვიშვილმა. მაგალითად, სიღნაღში 3 მილიონი, ქუთაისში 2,5 მილიონი და ა.შ. გააკეთებინეს სამუშაოები, ცალკე ფული წაართვეს იმის გამო, რომ არ დაეჭირათ, დაადეს უზარმაზარი ვალები და ველარ გაუძლო კაცმა. წერილში ბოლოს იმასაც კი ამბობს, ახლა მინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ველარ ვუძღვებო.

**– თუმცა 2008 წელს ბატონი თემური საპარლამენტო არჩევნებში წინა ხელისუფლების მხარდაჭერით იყრიდა კენჭს ბათუმის მაჟორიტარად...**

– ესეც იძულებითი ნაბიჯი იყო. თქვენ რა გგონიათ, თემურს პოლიტიკოსობა უნდოდა? რატომ უნდა – არა. ის და კიდევ რამდენიმე ბიზნესმენი შეკრიბეს და უთხრეს, კენჭი უნდა იყაროთ მაჟორიტარ დეპუტატებადო. იქ ამ ბიზნესმენებს უკვე არაფერს ეკითხებოდნენ, გინდოდა თუ არა, უნდა დათანხმებულიყავი. თანხებიც გაგელო საარჩევნო კამპანიისთვის და პარტიისთვისაც. გაიხსენეთ, რამდენი ბიზნესმენი გახდა მაშინ მაჟორიტარი. ჰკითხეთ ერთი მათ, ვინ მოსთხოვთ კენჭისყრა. ფაქტია, რომ მითითება იყო ასეთი. სხვა შემთხვევაში ბიზნესს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ. ნაციონალურს მაშინ სჭირდებოდათ საქმიანი და პატიოსანი ადამიანები საკუთარი იმიჯისთვის, თემური ამისთვის შესანიშნავი კანდიდატურა იყო.

მოკლედ, როგორც ოჯახის ახლობლის საუბრიდან ირკვევა, თვითმკვლელობამდე ბიზნესმენმა საკმაოდ სკანდალური წერილი დატოვა და ყოფილი ხელისუფლების კონკრეტული მაღალჩინოსნის გვარიც მიუთითა. ბიზნესმენის გაკოტრებასა და თვითმკვლელობამდე მიყვანაში ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაულებენ გარდაცვლილის მეგობრები და ოჯახის სხვა ახლობლებიც.

– ამბობს გარდაცვლილის მეგობარი ჯუმბერ სახელაშვილი. „ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ თემურს ამ ნაბიჯის გადადგმა მოუწევდა, რადგან თვითონ პიროვნულად ძალიან ოპტიმისტი და კეთილშობილი ადამიანი, პატრიოტი იყო. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მისმა გარდაცვალებამ გული არ დასწყვიტა. მან უამრავი პროექტი გააკეთა საქართველოში, დანყებული სიღნაღით, გორით, ქუთაისით... ყველაფერი მისი გაკეთებულია. ეს არის უზარმაზარი პროექტები, რომლებიც საკუთარი სახსრებით განახორციელა და სახელმწიფომ არც ერთი თეთრი არ გადაუხადა. რამდენი იყო ეს თანხა, ნამდვილად არ ვიცი“, – გვიყვება გარდაცვლილის ნათესავი მედეა ჩარკვიანი.

– რაც შეეხება ამ საქმის სამართლებრივ მხარეს... როგორც უკვე გითხარით, საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. ვის კვალზე გავა ბიზნესმენის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი სკანდალური წერილი ზურაბ ადვიშვილის მორიგი ბრალდების საფუძველი, უახლოეს ხანში გაირკვევა. ჯერჯერობით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოში კომენტარს არ აკეთებენ.

**„მის პარტნიორებს აწვებოდნენ, რომ თემურისთვის დაედოთ ხელი. წერილშიც წერს, მერე მე მომადგნენ და ერთი მილიონი მომთხოვესო. ამხელა თანხა იმ მომენტში არ ჰქონდა, ამიტომ მახინჯაურის ობიექტი ჩაადებინეს ბანკში და ფული წაიღეს. მახინჯაურის გამოსასყიდად ბანკში ნახევარი მილიონი ლარი ჰქონდა შეტანილი, მაგრამ მაღალი პროცენტისა და დაგვიანების გამო ისიც წაართვეს“**



GEORGIAN airways

დაგეგმვა და შესყიდვა

ინფორმაცია და მომსახურება

შემოთავაზებები

ჩვენ შესახებ

მოსკოვი

€195-დან

ბილეთის ყიდვა რთული მარშრუტით

გაფრენა

Tbilisi International

ჩაფრენა

Moscow, Vnukovo

- ორი გზა
- ერთი გზა

გაფრენის თარიღი

დეკემბერი 2013

ორ	სამ	ოთ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
					1	
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ზდასრ. (12+ წ)

1

შავშვი (2-11 წ)

0

ჩვილი (<2 წ)

0

ძიება

ამსტერდამი  
€ 299-დან

მოსკოვი  
€ 195-დან

ბათუმი  
€ 56-დან

თბილისი  
€ 300-დან

ბერლინი  
€ 299-დან

ერევანი  
€ 295-დან

თბილისი  
€ 47-დან

თბილისი  
€ 328-დან

დაჯავშნეთ ბილეთები online  
ჩვენს ვებ-გვერდზე  
WWW.AIRZENA.COM



20 წელი თქვენს გვერდით

# „იმედს“ ლევან ვასაძე ყიდულობს?




**my View**

**გიორგი გომერაშვილი**

მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „იმედი“ პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნდა და სამართლიანობის აღდგენა პატარკაციშვილებმა ოფიციალურად იზიარეს, უკვე ერთ წელს გავიდა. მალევე ფარდა აეხადა იმ სკანდალურ გარიგებასაც, რომელიც თავის დროზე პატარკაციშვილების ოჯახსა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის დაიდო. როგორ და რის სანაცვლოდ დათმეს მამინ ტელეკომპანია „იმედი“, დეტალურად იყო განხილული იმ საიდუმლო დოკუმენტში, რომელსაც ახალი ხელისუფლების ინიციატივით „გრძელი“ მოეხსნა. ამ დეტალებზე საუბრით თავს აღარ შეგანყენებ. ამჯერად, მკითხველს იმ ინფორმაციის გაუზიარებთ, რომელიც „პრაიმტიმის“ ექსკლუზიურად მიანოდეს.

გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანიის მენეჯმენტში საკადრო ცვლილებები იგეგმება. ამ ინფორმაციის თანახმად, პოსტების დატოვება მოუწევთ არხის გენერალურ დირექტორს რევაზ საყვარიძეს და საინფორმაციო სამსახურის უფროსს ბაია ცანავას. ზოგმა ეს ცვლილებები საარჩევნო ეგზიტპოლეს დაუკავშირა, რომლის შედეგებიც ასცდა ცესკოს ოფიციალურ მონაცემებს. თუმცა ეგზიტპოლემდე გაცილებით ადრე ვრცელდებოდა ხმები, „იმედში“ მოსალოდნელ ცვლილებებზე. იქნება ისიც, რომ ტელეკომპანიამ მთავარ კონსულტანტად ლონდონში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი ნათია აბრამია მონიჭა. გავრცელებულ ხმებს ტელეკომპანიამ საგანგებო განცხადებით უპასუხა. „საზოგადოებაში არსებული მალალი ინტერესის გათვალისწინებით, ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებლები და მენეჯმენტი ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანია ეგზიტპოლეს შემსრულებელ კომპანიასთან არკვევს ეგზიტპოლსა და არჩევნების ოფიციალურ წინასწარ შედეგებს შორის არსებული ცდომილების მი-

**„ბასაკვირი არ არის, რომ ის ცდილობს მსხვილი მედიასაშუალების შექმნას“**



**„ტელეკომპანია „იმედი“ ვასაძის ხელში პროპაგანდის მანქანა იქნება და არა მედიასაშუალება, თავისი ფართო ბაზებით“**



**რატომ დაიბარეს ტელეკომპანიის მენეჯმენტი ლონდონში, პატარკაციშვილების ვილაზე?**



ზეზებს და მოგვიანებით გააკეთებს შესაბამის განცხადებას. ამავდროულად, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტელეკომპანიის მენეჯმენტში არ გაბნორცილებულა არანაირი საკადრო ცვლილება, - ნათქვამია „იმედის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადებიდან ორიოდე დღეში კი არხის მენეჯმენტი ლონდონში, პატარკაციშვილების ვილაზე გამოიძახეს. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, იმა გუდავადესთან შეხვედრას ბაია ცანავა და რეზო საყვარიძე იქნებოდნენ. შეხვედრის მთავარი თემა კი არხის შესაძლო გასხვისება გახლდათ.

როგორც ჩვენ მოგვანოდეს ინფორმაცია, ტელეკომპანიის შექმნით დაინტერესებული ბისმესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც უკვე გამართა მოლაპარაკებები იმა გუდავადესთან. სწორედ პოტენციური მყიდველის მოთხოვნა ყოფილა, რომ არხზე მთავარი მენეჯმენტი მის გასხვისებამდე შეცვლილიყო. არ არის გამორიცხული, სწორედ ეს გადანყვებულება ეცხოვებინა იმა გუდავადეს ტელეკომპანიის ლონდონში ჩასული ხელმძღვანელობისთვის.

ჯერჯერობით ეს დაუზუსტებელი ინფორმაცია, თუმცა ექსპერტები არ გამოიცხადებენ, რომ კულუარებში ასეთი გარიგება მართლაც მიმდინარეობდეს, გამომდინარე იქიდან, რომ პატარკაციშვილებს ამ არხის შენახვა საკმაოდ ძვირი უფლებათ. დიდი ფულის გადახდა ტელეკომპანიის კი იმას აწყობს, ვისაც პოლიტიკური გეგმები და ამბიციები აქვს.

კომუნიკაციების ექსპერტი, არჩილ გამზარდია „პრაიმტიმთან“ საუბრისას არ გამოიციხავს, რომ გასხვისების შემთხვევაში ტელეკომპანია „იმედი“ მართლაც ლევან ვასაძის ხელში აღმოჩნდება.

**არჩილ გამზარდია, კომუნიკაციების ექსპერტი:**

– გასაკვირი არ არის, რომ ის ცდილობს მსხვილი მედიასაშუალების შექმნას. რაც შეეხება მოტივაციას, შესაძლოა, ეს მისი ზეგავლენის განმტკიცებისთვის იყოს გამოყენებული და სულაც არ უკავშირდებოდეს მის პოლიტიკაში პროდაპირ მოსვლას. არ გამოვიციხავ, რომ ეს გათვლილი იყოს პოლიტიკაზე ირიბი გავლენის მოხდენის მცდელობისთვის. თვისთავად ტელეკომპანია „იმედი“ მას საშუალებას მისცემს, შექმნას პროპაგანდისტული ხაზი იმ მიმართულებით და მსოფლმხედველობით, როგორც თავად მას აქვს.

– თუ შეთანხმება შედგა, სამომავლოდ შესაძლოა, მან ტელევიზია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენოს?

– თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. რამდენად შედის მის ინ-



**ბაია ცანავა**

ტერესებში პოლიტიკაში პირდაპირ მოსვლა, არ ვიცი, მაგრამ შესაძლოა, მან გარკვეულ პოლიტიკურ პარტიას დადოს ფსონი და მთელი მისი საინფორმაციო კამპანია ამ პარტიის სასარგებლოდ იყოს მიმართული. ლოგიკურია, რომ ის დაინტერესდა მსხვილი მედიასაშუალებით. გასაგებია, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი მის მიმართ სიმპათიას გამოხატავს, თუმცა ასევე ფაქტია, რომ ნებისმიერი ინტელექტუალური სემინარი საქართველოში მის მიმართ ანტიგონისტურად განწყობილი. შესაბამისად, შედეგში ჩვენ თითქმის არ გვხვდება სიორცე, სადაც მის მიმართ დადებითი ტონალობა შეინიშნებოდა, ამიტომ მისი ძალისხმევა, ამ მხრივ, უფრო ეფექტური იქნება. კი, ის შიგადაგი ჩნდება პრესის ფურცლებზე, ინვესტირება გაცემებში, სადაც მხოლოდ თავად საუბრობს, ანუ გაუარის ნებისმიერი სახის დისკუსიას. ახლა მსხვილი მედიასაშუალების შექმნით, მას საშუალება ექნება, არა მხოლოდ თვითონ დამოძღვროს ხალხი, არამედ მთლიანად არხმა გაატაროს მისი მსოფლმხედველობა. დღეს საზოგადოების ნაწილს მის მიმართ აქვს არა მსჯელობითი, არამედ ფანატიკური დამოკიდებულება, ის შეეცდება, რაც შეიძლება გაზარდოს თავისი მიმდევრების რიცხვი. იგივე დამოკიდებულება იყო ბიძინა ივანიშვილის მიმართაც, თუმცა ივანიშვილმა თავად მოახერხა, თავი დაეღწია ბულდოზისთვის და ეს თემა დღის წესრიგიდან მოხსნა. ვიმოხმ, ტელეკომპანია „იმედი“ ვასაძის ხელში პროპაგანდის მანქანა იქნება და არა მედიასაშუალება, თავისი ფართო ბაზებით. ვერ ვიტყვი, რომ ვასაძის დაინტერესების შემთხვევაში კონკრეტული არხი თავისუფალი დარჩეს მისი გავლენისგან.

„იმედში“ ბაია ცანავასა და რევაზ საყვარიძის ლონდონში გამგზავრებას ადასტურებენ, თუმცა მხოლოდ კულუარულად. პოლიტიკის დროს

ნამყვანი თეა სტიჩინა „პრაიმტიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ლონდონში „იმედის“ ხელმძღვანელების გამგზავრებასთან დაკავშირებით ინფორმაციებს არ ფლობს.

არხის გენერალურ დირექტორ რევაზ საყვარიძის და საინფორმაციო სამსახურის უფროს ბაია ცანავას შესაძლო განთავისუფლებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ სოციალურ ქსელებში „იმედის“ თანამშრომლებმა მხარდაჭერი პოსტები დადეს.

მაგალითისთვის ეკა ზოფერიას პოსტს მოვიყვანო:

„სულ რამდენიმე ადამიანი საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთ), ვინც მიყვარს, ვისაც ვენდობი და ვინც ვიცი, რომ არის წესიერი, ობიექტური და პროფესიონალი, პოდა, მათ შორის პირველი ბაია ცანავაა. რამდენ ადამიანთან მიმოუბავია, მაგრამ ის ყველაზე, როგორ ვთქვა, ყველაზე სამართლიანი ადამიანია!“

რა ხდება „იმედზე“, ამ კვირაში გავიკვავა. სავარაუდოდ, სწორედ ამ დღეებში ჩამოვლენ ლონდონიდან საყვარიშვილი და ცანავა.

რაც შეეხება ლევან ვასაძის ინტერესებს „იმედთან“ მიმართებაში, ექსპერტები ამ ხმებს ადასტურებენ, თუმცა, კონკრეტული დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ჯერ უჭირთ და არ უნდათ. ია ანთაძის განმარტებით, დასკვნების გაკეთება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც ზუსტად გაირკვევა ვასაძის ინტერესები.

ლევან ვასაძე ჯერჯერობით პოლიტიკაში ჩართვას არ ადასტურებს. თუმცა, კულუარებში ამბობენ, რომ რაინდი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება. შესაბამისად, მას საინფორმაციო მხარდაჭერაც დასჭირდება. რამდენიმე წნის წინ „მანესტროს“ თეორი უზუნებდა კიდევ; ანტიდისკრიმინაციულ კანონზე პოზიციის დაფიქსირება მიხდოდა და ტელეეთერი არავინ დაითმო.

**P. S. მედიასაშუალების გარდა, ბიზნესმენი ლევან ვასაძე მრავალპროფესიონალი უნივერსიტეტის გასსსასაც გეგმავს. „კომერსანტის“ ინფორმაციით, ეს უმაღლესი სასწავლებელი კიკეთში განთავსდება და ლექციებს მალაქვალისეიციური პროფესორ-მასწავლებლები წაიკითხავენ. მკითხველს შევახსენებ, რომ კიკეთში ვასაძის სახელს უკავშირდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის კერძო სკოლა, რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს. სასწავლებლის 100%-იან ნილს ფლობს მსს „კიკეთის სოციალური პროექტები“, რომლის შესაკუთრე ლევან ვასაძის ცოლი – ნინო ღურგლიძეა.**

# კვირის სკანდალი - ერთი

# რა მოხდა აზერბაიჯანში

მარიამ ნადირაძე

ყველაფერი ხელის გულზეა. ახლა ჯერი მეტი არგუმენტების დამგროვებლობაზეა. მოსპარინგეთა ერთ მხარეს, როგორც ყოველთვის, - ნაციონალები, მეორე მხარეს კი კვლავაც ხელისუფლება წარმოადგენს...

„პრაიმტიმის“ ამ შემთხვევაში იმ არბიტრაჟა გვერდით არის, რომელსაც ჩვეულებისამებრ, ასეთ სიტუაციებში, ხალხი ჰქვია.

მკითხველი, ალბათ, მიგვიხვდება, რომ საქმე გასული კვირის ყველაზე სერიოზულ სკანდალს, ორი დეპუტატის ბაქოში დაკავების ფაქტს შეეხება. ვინაიდან ინფორმაცია უკვე ბევრია, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და მივყვეთ მოვლენების განხილვას. შესაბამისად, სავარაუდოდ დასკვნებსაც ერთად მივავნოთ.

## მოვლენათა ინფორმაციული პრონოლოგია

ყველაფერი 19 ივნისს 17 საათსა და 41 წუთზე დაიწყო, როდესაც „სააგენტო ინტერპრესნიუსმა“ ამ მინარსის ინფორმაცია დადო: „ამ წუთებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრები, ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე აზერბაიჯანში დააკავეს.“

არსებული ინფორმაციით, ისინი აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საზღვარზე ელექტრომოკური აპარატებისა და დიდი ოდენობით ფულადი თანხის გადმოტანის მცდელობის ფაქტზე აიყვანეს.

„ინტერპრესნიუსი“ ცდილობს, აღნიშნული ინფორმაცია შესაბამის უწყებებში გადაამოწმოს. ჩვენ ვცადეთ, ასევე, თავად ნადირაშვილთან და ჯაფარიძესთან დაკავშირება, რომლებსაც ამ დროისთვის მობილური ტელეფონები გამოართული აქვთ.

რასაკვირველია, ამ ნიუსს დიდი ენებათაღელვა მოჰყვა და ზუსტად 20 წუთში „კურიერის“ ექვსსაათიანი გამოშვებში ტელეფონით ერთგება ირმა ნადირაშვილი: „მე და ზურა ჯაფარიძე ამ წუთში ვიმყოფებით ბაქოში, ძალიან მალე მივდივართ აეროპორტში და მოვყვებით 9-საათიან რეისს. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს ველოდები ამ მთავრობისგან და იმაზე უარესის დაბრალებასაც... თუ უნდათ დაგვხვდნენ და ეს ელექტრომოკები თვითონ ნახონ.“

დაახლოებით 20 წუთის შემდეგ სააგენტო „პირველს“ პირველ კომენტარს

აძლევს აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი, თემურ შარაშენიძე: „ისინი ამ დროისთვის აეროპორტის ტერიტორიაზე იმყოფებიან. დაკავების მიზეზების მოკვლევა მიმდინარეობს“. იგივეს ადასტურებს ის „მოამბის“ 19-საათიანი გამოშვებში: „გვაქვს ინფორმაცია, რომ გაჩერებული ჰყავთ საბაჟო ტერმინალიში. საკითხი ეხება არადეკლარირებული თანხის გადატანას. სავარაუდოდ, სადაც მილიონ დოლარზეა ლაპარაკი. ჩვენ არა გვაქვს ინფორმაცია ელექტრომოკებთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება დაკავების ან განთავისუფლების შესახებ არ არის მიღებული, არიან საბაჟო სამსახურის მიერ შეჩერებული. არიან ბაქოს აეროპორტში.“

ცხრასაათიანი „კურიერში“ ირმა ნადირაშვილი კვლავაც არ „ტყავდება“, რომ მათ რამე პრობლემა შეექმნათ

ფარიდის განსხვავებული კომენტარი იძლევა იგივე საინფორმაციო გამოშვებებში: „საზღვარზე შეფერხება მართლაც შექმნდა იმის გამო, რომ დროში დავაგვიანე. მეზაჟებთან მქონდა რაღაც საუბარი და ამის გამო მომინია იმ რეისის გამოტოვება, რომლითაც უნდა გამოვფრენილიყავი. ეს იყო და ეს“. მალევე საქართველოს ელჩი მომხდარ ფაქტს ასე აზუსტებს: „მივიღეთ ინფორმაცია აზერბაიჯანული მხარის მიერ, რომ საქართველოს მოქალაქეები ნადირაშვილი და ჯაფარიძე იყვნენ შეჩერებული საბაჟო ტერმინალზე, არადეკლარირებული თანხის გატანისთვის, რაოდენობა იყო ძალიან დიდი - ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონამდე თანხა. მოხდა დაკითხვა, მოკვლევა და გაათავისუფლეს.“

პარალელურ რეჟიმში „რუსთავი 2“ და „მეტროს“ (ცხრანი გამოშვებები ცდილობენ ინფორმაცია ბაქოში, ადგილობრივ თანამშრომლებთან გადაამოწმონ. მკითხველს, ალბათ, არც უკვირს, რომ „რუსთავი 2“-ის ინკოგნიტო რესპონდენტი ფაქტს უარყოფს, „მეტროს“ კი სასაზღვრო დეპარტამენტის პრესსამსახურში უცხადებენ: „ისინი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტმა დააკავეს. ისინი დააკავეს მეზაჟებმა და არა მესაზღვრეებმა. არც კი ვიცი ზუსტად, ვინ არიან, ისინი აეროპორტის მეზაჟებმა დააკავეს.“

ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავი თბილისში უშვება. აეროპორტში უფრთხილებთან პირველი შეხვედრისას ორივე დეპუტატი თემას ბაქოს კაფეს ჩარჩოებს აცილებს და თავისებური, მაგრამ, როგორც ჩანს, შეუთანხმებული ვერსიებით ავრცობს. თუმცა ამ განსხვავებებისა და საეჭვო არგუმენტების შესახებ შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ.

## რა უნდათ, რომ დაპიჯალოთ

ახლა კი მივყვეთ მოვლენათა იმ ქრონოლოგიას, რომელსაც ეს ორი დეპუტატი გვითავაზობს:

**ზურაბ ჯაფარიძე:** „ბაქოში შეხვედრა გვექონდა ჩვენს რამდენიმე კოლეგასთან. შუადღისას უნდა გამოვფრენილიყავით, როცა გავიარეთ „ჩექ-ინი“ და მივედით საბაჟო კონტროლზე, ერთერთმა მეზაჟემ გადანყვიტა, რომ უნდა შევემონებინებინე. უნდა მოეწყო პირადი ჩხრეკა. მაშინვე ჩავთვალე, როგორც ჩანს, სახეზე არ მოეწონებოდა ჩაატარებოდა ჩხრეკა. გამოვვარდეთ პასპორტი, გააჩერეს ირმა და მე და გამოართვეს მასაც პასპორტი. ამის გამო დავაგვიანეთ რეისზე სადაც 20

აეროპორტში და სატელეფონო ჩართვისას აცხადებს: „არც ერთი სააგენტო არ დაგვკავშირებია და უპასუხისმგებლოდ გაავრცელეს ეს ინფორმაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შსს-მ ან მთავრობის რომელიმე წევრმა გააკეთა. მე, ცხადია, უფრთხილებს არ ვაყენებ შეურაცხყოფას. მე და ზურა ჯაფარიძე ვიყავით ჩვეულებრივად ვიზიტზე, შევხვედით გარკვეულ ადამიანებს და ახლა 9 საათზე ვბრუნდებით. ელექტრომოკები არა, საბურავებიც მომაქვს და დაგვხვდნენ და გვხაზონ.“

ეტყობა, ამ ჩართვის დროს ნადირაშვილი და ჯაფარიძე ერთად არ იყვნენ. ამ ვარაუდის საფუძველს ზურაბ ჯა-

## ნადირაშვილის დაკავების გაუსხაპურებელი დეტალები



# კონსპირაცია, შავი ფული და ნაცებების ახალი ტყუილი

წუთით, რის გამოც მოგვიხადეს ბოდიში, გამოგვაცილეს ზრდილობიანად. შემდეგ ჩვენ ხვედით ქალაქში, ყავას ვსვამდით შუადღისას, როცა გავიგეთ, საქართველოდან ინფორმაცია, რომ დაკავებული ვიყავით...“

**ირმა ნადირაშვილი:** ჩვენი შეჩერების საფუძველი იყო ის, რომ ზურა მოვიდა გვიან, მე უკვე გავლილი მქონდა შემოწმება და ვიდექი საზღვართან, დავინახე, რომ ზურასთან მქონდათ პერსონალური ჩხრეკა, ვიფიქრე, რომ მერე რა, ჩვენ მალე გავიდოდით, მაგრამ ვერ გავიდით მალე და დავრჩით. არ გვექონია არანაირ პრობლემა. მეზაჟეს სახელი და გვარი არ ვიცი... ვერ გეტყვით, დაახლოებით რამდენ ხანს ვიყავით შეჩერებული, აეროპორტის ტერიტორიაზე და მერე გავიდით გარეთ, მე მახსოვს „რ2“-მა დაამირეკა, სადაც გარეთ გასვლიდან საათ-ნახევარში დამირეკეს, რომ დაკავებული ვიყავი...“

დავინწყით იმით, რომ, როდესაც აეროპორტის საბაჟომდე მგზავრი ახლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საზღვარი უკვე გავლილი აქვს, ანუ პასპორტში, როგორც არ უნდა იყოს ის - დიპლომატიური თუ სუპერდიპლომატიური, ირტყმება ბეჭედი, რომ კონკრეტულმა პირმა უკვე დატოვა ქვეყნის ტერიტორია. შესაბამისად, ამ პირს აღარ ეძლევა ქვეყანაში შებრუნების საშუალება. და თუ ვინმეს ყავა უნდა, ამ მომსახურებას, ვფიქრობთ, არც ერთი ქვეყნის აეროპორტში არავის ამაღლიან... თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. უკან დაბრუნება ხდება მაშინ, როდესაც მგზავრის ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემა ექმნება და საჭიროა, ვთქვათ, სასწრაფო ექორეგიული ოპერაცია, ან კიდევ, თუ სერიოზული დანაშაული გამოვლენ-

ილი და საჭირო ხდება მათი დაკითხვა, ან გამოკითხვა ამ ქვეყნის საგამოძიებო, ან ოპერატიული სამსახურების მიერ. ამ უკანასკნელის არსებობას კი თავდადაკლებული უარყოფენ დეპუტატები, რომელთა გარშემოც ეს სკანდალი აგორდა.

თუმცა, ამ ფაქტის არსებობას არ გამოიცხავს ვიცე-პრემიერის, კახი კალაძის ვერსია: მისი ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის წევრები - ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი აზერბაიჯანელმა მეზაჟებმა მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც თანხა დააბრუნეს.

„ისინი დაბრუნდნენ ქალაქში, დაუბრუნეს თანხა იმ პირობებებზე, ვისგანაც მოჰქონდათ და ამის შემდეგ გამოემგზავრნენ საქართველოში, მომდევნო რეისით, - განაცხადა კახა კალაძემ.

იმ დროს, როდესაც დეპუტატები საკუთარ მონათხრობში ასეთ იალომს უშვებენ, იმ ცარიელ ადგილს, რაშიც მკითხველმა ჯერ არ იცის, რა უნდა იგულისხმოს, „ავსებს“ გაზუთ „ალიას“ ვერსია სანდო წყაროზე დაყრდნობით, რომ ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე, რომლებიც ბაქოს აეროპორტში დააკავეს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნით გაუშვა.

ცხადია, ვრცელდება ვერსია იმის შესახებაც, რომ დეპუტატები პარტიული დავალებით ენ. შავი ფულის შემოსატანად იყვნენ აზერბაიჯანში წასული და რომ ეს დავით კეზერაშვილის პარტიული ყულაზიდან იყო. რამდენად საფუძვლიანია ეს ფაქტი, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ისევ ერთად გავყვით დეპუტატების იმ მონათხრობს, რაც ასე ძალიან უნდათ, რომ დაგვაჯერონ... ვაიბერს უსმენენ?





# უსმერს უღი



## სასტიკი მკვლელობა



**მარიამ ნალირაძე**

თქვენი არ ვიცი და... ალბათ, თქვენც ძალიან მოგებზრდათ იმის ყურება, როგორ ვიშვიშებს ხათუნა გოგორიშვილი არჩევნების გაყალბებაზე, როგორ ექომაგება ნაციონალური ელიტა სასჯელსრულების დაწესებულებებში არსებული კანონდარღვევებით დაზარალებულის, ან გარდაცვლილის ოჯახებს... და ბოლოს და ბოლოს, როგორი განგაშის ზარებს სცემს შოთა უტიანაშვილის მეუღლე ეკა კვესიტაძე, რომ თურმე ქვეყანაში კრიმინალი გაიზარდა...

ალბათ, გაიკვირებენ, ეს ხომ არაკოლეგიალურიაო...

ჰოდა, თქვენი არ ვიცი და... ალბათ, თქვენც მოგებზრდათ!...



მაშ ასე, კვესიტაძე „განსხვავებული აქცენტების“ ახალ გადაცემას აანონსებს. თემა – გაზრდილი კრიმინალი. პრობლემა – ნარკოტრადიციის შთამბეჭდავი ფაქტები – უდავოდ შემზარავი. ტექსტი – მედგარი. შინაარსი – ასეთი: „დაყაჩაღება, დაუთოება ჩაცხრილვა – 90-იანი წლების ექო ორი ათწლეულის შემდეგ... არის თუ არა პრემიერის მიერ აღწერილი უსაფრთხო რეალობის მიღმა სხვა რეალობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და სადაც თავს დაცულად აღარ გგრძნობთ“... და არ არის აი, ასეთი:

„2007 წლის 20 მაისს, ყოფილი პარლამენტარი, აკადემიკოსი გურამ შარაძე თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე მოკლეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან 3-ჯერ ნასროლი ტყვიით მიყენებული ჭრილობების შედეგად შარაძე ადგილზე გარდაიცვალა. ოჯახს ეჭვი აქვს, რომ ეს იყო ყოფილი ხელისუფლებისგან შეკვეთილი მკვლელობა... დღეს არსებული ინფორმაციით, გურამ შარაძის საქმის გამოძიება შეფერხებით მიმდინარეობს, თუმცა იმედია, სიმართლე მალე გაირკვევა...“

ან ასეთი – 2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-

ერთმა მაღალჩინოსანმა კუდ-ის იმჟამინდელი ხელმძღვანელობისგან მიიღო დავალება, რომ მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში მცხოვრები მეტყვე რეინჯერი, დათო ცინდელიანი ჩამოეყვანა სვანეთიდან ქალაქ თბილისში და მომხდარიყო მასთან გასაუბრება. მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ცინდელიანი თანამშრომლობდა აფხაზ სეპარატისტებთან... კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა, რომან შამათავამ

ჰყვებიან: სპეცოპერაციის დაწყებისთანავე სპეცრაზმელებმა სოფელ ენერის მოსახლეობა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, დადეშქელიანების საგარეულო კომპი გამოამწყვდიეს და ავტომატური დარაჯები მოუჩინეს. ამის შემდეგ აფრასიძეების სახლზე მასირებული მტურში დაიწყო. ამ დროს სახლში მცირეწლოვანი ბავშვებიც იმყოფებოდნენ. მათ ბებია და დედა გადაეფარათ. ოჯახის წევრებმა, როგორც იქნა, ბავშვების სამშვიდობოს გააყვანა მოახერხეს. ქალებისა და ბავშ-

ბაძეძე მოკლეს... ან ასეთი – 2006 წლის 2 მაისს ქ. თბილისში, საჩოგბურთო კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა – „ლიკვიდირებულ“ იქნა ორი ახალგაზრდა მამაკაცი, ზურა ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულაძე. თვითმხილველები აღსატურებენ, რომ „ბმვ“-ს მარკის ავტომობილში მსხდომ პირთაგან არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია და

## სისხლიანი 9 წლი და ნაციონალური სასაკლავო

დათო ცინდელიანი ჩასვა მოტორიან ნავში, აუხვია თვლები და ნავშიადგომზე მყოფ აფხაზეთის კუდ-ის ერთ-ერთ თანამშრომელს ნავიდან უბრძანა, რომ გაჰყოლოდა მას, რომელმაც შეასრულა ბრძანება და შევიდნენ შავი ზღვის სიღრმეში, დაახლოებით 4 კილომეტრის მანძილზე. რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არემი ერთი გასროლით მოკლა დათო ცინდელიანი. ამის შემდეგ რომან შამათავამ დათო ცინდელიანის გვამს სხეულზე თოკით შეაბა ნავზე არსებული ბუტონნარევი რკინის ლუზა და ცხედარი შავ ზღვაში გადააგდო. ოჯახს დავით ცინდელიანი დაკარგული ეგონა მანამ, სანამ ეს საქმე გაიხსენებოდა. გახსნილია ნაციონალური ხელისუფლების დროს იგივე ნესით და იგივე პირის მიერ ჩადენილი სხვა მკვლელობაც. ამ შემთხვევაში გარდაცვლილი პაატა ქარდავაა... ან ასეთი – „2005 წლის 3 თებერვალს გარდაცვლილი პრემიერის საქმის გამოძიება ფინალს უახლოვდება. პროკურატურა არ გამოორიცხავს, რომ ამ საქმეს ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები შეეხიზნებინ“...

ვების ტანსაცმელი ტყვიებს დაეცხრილა, ისინი ცოცხალნი მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაარჩნენ. როგორც კი სროლა ატყდა, ეგენი აფრასიძე ხელგანთავსებით გამოვიდა და ძალოვნებს ჩაჰბარდა. სპეცრაზმელებმა ის მოფარებულ ადგილას ჯერ დახვრიტეს, შემდეგ კი გაძარცვეს. მას ოქროს ჯაჭვი და მედალიონი ისე ჩამოჰგლიჯეს, რომ მიცვალებულს კვალი კარგად ემჩნეოდა. ძალოვნებს ჩაბარდა აფრასიძეების ოჯახის კიდევ ერთი წევრი – ომეზი. ისიც ადგილზე დახვრიტეს. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ აფრასიძეების სახლს ცეცხლი ნაუკიდეს. ცეცხლოვებული სახლიდან პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს ტომრებით რაღაც გამოჰქონდათ, რა – დღემდე გაურკვეველია. ამის შემდეგ სოფელ ენერის ჩვიდმეტიდან სამოცდახუთი წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი მანქანებში ჩასვეს, სოფელ ჯვარჯინში ნიყვანეს და გაჩხრიკეს, შემდეგ კი ეს ადამიანები დააპატიმრეს.

სპეცრაზმის თანამშრომლებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე... ან ასეთი – სამოცდაათამდე ახალგაზრდა არა რაიმე უბედური შემთხვევის, სტიქიის, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არამედ პოლიციელების ტყვიით, ან მათი მხრიდან განხორციელებული ძალადობის შედეგად ცოცხლები აღარ არიან. ეს ყველაფერი ხდებოდა ქვეყანაში, რომლის პოლიტიკური ელიტა საზოგადოებას თავს ამტკებდა, რომ, მხოლოდ და მხოლოდ, მათი რეჟიმის პირობებში დაემსგავსა სახელმწიფო სახელმწიფოს...

### 2004 წელი

ოთარ გველუკაშვილი – 20 იანვარს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს; ანტონ კუკულავა – 9 მარტს დაკავებისას მოკლეს. დიკო ბარქია და ზაზა ფანცქელაძე – ზუგდიდში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, 17 მარტს მოკლეს; ეგენი და ომეზ აფრასიძეები – 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს; 23 მაისს გლდანი-ნაძალადევის რაიონ-

## ვინ ლაპარაკობს ბაზ





# აქცენტი



## ათა ქრონოლოგია

წმ, პოლიციელების მიერ დაკავების შემდეგ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში ხვირა კვირიკაშვილი გარდაიცვალა; ალექსანდრე გომაშვილი – 22 ივლისს კახეთში, დაკავებისას მოკლეს; მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია, ოფიციალური ვერსიით, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის ენრიკო სიმონიანის მიერ, მის ოჯახზე თავდასხმისას, 23 ნოემბერს მოკლეს; სულხან ლომიძე – 21 დეკემბერს ხე-

მარანში დაკავებისას, 29 აგვისტოს მოკლეს; თამაზ კურკუმული – თბილისში, მუხიანის დასახლებაში ჩატარებული სპეცოპერაციისას, 12 ოქტომბერს მოკლეს.

### 2006 წელი

რევაზ ცალანი – 20 ივნისს მესტიის რაიონში სპეცრაზმელებმა სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც ლოგინს მიეჯაჭვა; მურად გორგაძე, რომან სურმანიძე

### 2007 წელი

მიხეილ კირაკოსიანი – ახალციხეში 2 აპრილს, მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ, საპატრულოს თანამშრომელმა მოკლა; გიგა ჭარბაძე – 25 მარტს თელავში მანქანა დაეჯახა, რომელსაც პატრულის სპეცტორი მართავდა; ალექსანდრე ხოსიტაშვილი – 14 აპრილს სოფელ დილოში პოლიციელების ცემის შემდეგ გარდაიცვალა; ოლეგ მესხიძე – ოზურგეთში 9 მარტს ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს; ჯუმბერ ნაგერვაძემ – 15 ნოემბერს, ოფიციალური ვერსიით, ბათუმის იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო.

### 2008 წელი

თენგიზ გოგია – 1-ელ თებერვალს ჩატარებული სპეცოპერაციისას, სენაკში, საკუთარ სახლში ჩაცხრილეს; როლანდ მახარაძე – ბათუმში მძევლების განთავისუფლებისას, 5 მარტს მოკლეს; გიორგი გამცემლიძე – მეტროსადგურ „რუსთაველთან“ 8 მაისს, პატრულ-ინსპექტორმა მოკლა; როინ შავაძე – 16 აგვისტოს, აჭარაში წამებით მოკლეს (ოფიციალური ვერსიით, გაქცევის მცდელობისას); ნატა ჯიფთაიას – 1-ელ სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მანქანა დაეჯახა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა; ალექსანდრე კვეზერელი – 29 სექტემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ ზიარში, შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილმა უფროსმა, ოთარ ბოლოც-იშვილმა მოკლა; ზურაბ მათნაძე – 30 ნოემბერს, რუსთავის გზატკეცილზე დაკავების შემდეგ, ოფიციალური ვერსიით, დაიღუპა საპატრულო მანქანის ავარიის შედეგად.

### 2009 წელი

გია კრილაშვილი – 20 მაისს თიანეთის გზატკეცილზე ჩატარებული სპე-

ცოპერაციის დროს მოკლეს; ჯიმი მეგრელიძე – ზუგდიდში, 9 მაისს დაკავებისას მოკლეს; მამუკა ჩარჩხალია – 15 ივნისს, ნუცუბიდის პლატოს მესამე მიკრორაიონის ასახვევთან მოკლეს; ვარლამ ნემსინვერიძე – მძევლის განთავისუფლებისას, 18 აგვისტოს მოკლეს; ჩამოთვლილი ადამიანების გვარების უმეტესობა საზოგადოებისთვის უცნობია. რატომ ხდებოდა მათი საქმეების შერჩევითი გახმაურება? ვინ უნდა აგოს ამ ადამიანების გარდაცვალებაზე პასუხი?

ან ასეთი: 2011 წლის 26 მაისს თავისუფლების მოედანზე, მალაზიის სახურავზე გარდაცვლილი სულიკო ასათიანი და ნიკა კვინტრაძე, დიდი ალბათობით, მალაზიის ძაბვის სადენით არ არიან გარდაცვლილები და ისინი მიტინგის დარბევის დროს დაიღუპნენ, შემდეგ კი გვამები მალაზიის სახურავზე შემოდეს, მოგვიანებით ოფიციალურად გააქურებული ვერსიის დასადასტურებლად.

ან ასეთი – ყოფილი ხელისუფლების დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უამრავი ადამიანი ანამეს და მოკლეს...

ჩამონათვალი კიდევ რომ განვაგრძოთ, ამას არც კვებისადმი გადაცემის ქრომონეტრაჟი ეყოფა და არც გაზეთის ერთი ნომერი...

და მაინც, როდის გრძნობდა ჟურნალისტი თავს დაცულად? ალბათ, მაშინ, როცა მის უშფოთველ ძილს იმ სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უზრუნველყოფდა, რომლის საგმირო საქმეებზეც არ მოგვითხრობს გადაცემა „განსხვავებული აქცენტები“.



## ს ქრონიკა ს მაღალჩინოსნები

ლვან ლომიძის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლეს.

### 2005 წელი

ვლადიმერ ხოშტარია – 21 თებერვალს დაკავებისას მოკლეს; აკაკი კორკოტაშვილი – გურჯაანის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციისას 19 მარტს მოკლეს; ავთო და ვახო გუმბაშვილები – ახმეტის რაიონის სოფელ დუისში, 3 ივლისს, სპეცოპერაციისას მოკლეს; ვახტანგ მარგოშვილი – 20 ივნისს, ქვემო ქართლში, ოფიციალური ვერსიით, საზღვრის უკანონო გადაკვეთისას მოკლეს; ალექსანდრე თაბაგარი – 24 სექტემბერს, ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ჩონჩხათში მოკლეს; ხვირა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე – თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, 31 ოქტომბერს მოკლეს; ლევან გულუა – 11 ნოემბერს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე, დაკავებისას მოკლეს; რეზო სარჯველაძე – თბილისში, დაკავებისას მოკლეს 14 დეკემბერს; ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვაძე – აბაშის რაიონში, სოფელ

და მარად ართმელაძე – მეტროსადგურ „სამგორთან“ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს, 12 იანვარს; გია თელია – 13 თებერვალს სპეცოპერაციისას მოკლეს; ჯემალ ჩაფიძე – თერჯოლის რაიონში, სოფელ ქვედა სიმონეთში, 28 აპრილს პოლიციამ დაკავებისას მოკლა; ზვიად ბაბუხაძია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი – 23 თებერვალს ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში, სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

მიხეილ ბერძენიშვილი – საგარეოში 2006 წლის 9 ივნისს, დაკავებისას მოკლეს;

გელა ცინდელიანი – სოფელ ჭუბერში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს 1 ივლისს მოკლეს;

ხვირა კოკია – ხობის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციისას 23 აგვისტოს მოკლეს;

ვალერი ფხაკაძე 2006 წლის 7 დეკემბერს, ქუთაისში, დაკავებისას მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, რადგან პოლიციელებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დახმარება არ აღმოუჩინეს.

2006 წლის 27 მარტს ე.წ. ციხის ბუნტის დროს, ოფიციალური ვერსიით, 7 პატიმარი მოკლეს.

## რდილ პრიმიტივალზე?





ჯეოსელი

# 50 წელი

- უსასხულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასხულო SMS-ები
- უსასხულო ინტერნეტი

მ>სტი უსასხულო

შეიძინეთ გადახდის აპჩატებში ან უფრით \*010#OK

☎ 7036 - ჯეოსელიდან (ზახი უფასო)

☎ 110110 - ყველა ქელიდან

[www.geocell.ge](http://www.geocell.ge)

# მარგველაშვილმა ადმინისტრაცია ბურჯანაძის პარტიის ყოფილ გენერალურ მდივანს ჩააბარა

ქეთი ხატიაშვილი

მუდმივი ინტრიგების მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილი ცდილობს, ხმაურისგან დისტანცირება მოახდინოს და უკვე მერამდენედ კომენტარის გაკეთებას დუმს არჩევს.

ჯერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე არ გააკეთა განმარტებები, როცა ყოფილმა პრემიერმა მრჩეველი დაუნუნა, ვერ გავიგე, ვანო მაჭავარიანი რატომ არის პრეზიდენტის სახეოდ და ახლა მეორედ თქვა უარი უკვე ყოფილი მრჩეველის, რიგ შემთხვევაში, ხმაურისგან დისტანცირების კონცეპტირებაზე.

გიორგი მარგველაშვილი, შეიძლება ითქვას, პირველი უფლებასეკვესტრიტირებული პრეზიდენტი. საქართველო კი მიეჩნევა პოლიტიკურად ამბიციურ და ძლიერ ფიგურებს. ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი – თითოეული მათგანი სწორედ ამბიციურობითა და კონსტიტუციით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით გამოირჩეოდა, რომელსაც ვერავინ ელყოდა.

გიორგი მარგველაშვილი კი პირველია, ვინც არც პოლიტიკური ამბიციურობით გამოირჩევა და არც კონსტიტუციური უფლებებით. ზოგიერთ შემთხვევაში ის უმწოდებელი გამოიყურება. როგორც ჩანს, მის ასეთ ამპლუას ვერ ეგუებიან. ამიტომაც ყოველთვის ხვდება ის ყურადღების ეპიცენტრში.

მეორე, მარგველაშვილი ინტრიგებში გაეხვია იმიტომ, რომ საკუთარი ადმინისტრაცია მეგობრებთან და მასზე უფრო ამბიციური ფიგურებით დააკომპლექტა. მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა თავადაც იგრძნოს საკუთარი უპირატესობა. ამას კი მაშინ ახერხებს, თუკი მის ადმინისტრაციაში სწორება პრეზიდენტზეა. ბავშვობის მეგობრები კი, როგორც ნესი, სუბორდინაციას ვერ იცავენ. მათ უჩნდებათ ამბიციაც, მეგობრებად დარჩენენ და სხვანაირი პროტოკოლური უნარ-ჩვევების ათვისებაზე არც ფიქრობენ. გიორგი მარგველაშვილმა არა მხოლოდ მეგობრის დანიშვნა გაბედა ადმინისტრაციის უფროსად, არამედ გარისკა, მრჩეველის ამპლუაში მასზე უფრო ამბიციური ფიგურა ვანო მაჭავარიანი დაეყენებინა.

ამბიციაც ცუდი სულაც არ არის, თუმცა, როცა ის მუდმივად ფეხებში გებლანდება და თავს გასხვინებს, შეიძლება შემანუხებელიც იყოს. ვანო მაჭავარიანი არასოდეს იცავდა დისტანციას მარგველაშვილთან. საბოლოოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თავად მარგველაშვილის გარემოცვა არ აღიქვამდა მარგველაშვილს პრეზიდენტად. ამბიციისთვის კიდევ ერთი-ორი მნიშვნელოვანი რამ არის დამახასიათებელი: გამოყენების სურვილი და სხვისი წარმატების მიწერა. მაგალითად, ვანო მაჭავარიანმა თქვა, რომ ბევრი სერიოზული და-



**„ეს რვა თვე საკმაოდ რთული იყო, ფაქტობრივად, მართო გვინდოდა მუშაობა, როდესაც მთავრობამ პრაქტიკულად უარი გვითხრა ვიზიტაში მონაწილეობაზე“**

## „ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით ამოვწურეთ, მიხდა სხვებს წარმატებები ვუსურვო...“

ბრკოლების მიუხედავად, მან მაინც მოახერხა და მარგველაშვილი ბაიდენს შეახვედრა:

– მე პრეზიდენტთან მივედი მისივე თხოვნით. ნ თვეში მოვახერხეთ, რომ ადმინისტრაცია გახდა საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანი. იყო ბაიდენთან შეხვედრა. ეს ამ გუნდის დამსახურებაა. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით თუ ამოვწურეთ, მიხდა სხვებს წარმატებები ვუსურვო... ეს რვა თვე საკმაოდ რთული იყო, ფაქტობრივად, მართო გვინდოდა მუშაობა, როდესაც მთავრობამ პრაქტიკულად უარი გვითხრა ვიზიტებში მონაწილეობაზე. ძალიან ზედაპირულ, ფორმალურ ინფორმაციას ვიღებდით ძალიან ბევრ ქვეყანასთან მიმართებაში, სადაც მივდიოდით...

რა თქმა უნდა, მარგველაშვილს, პირველ რიგში, საკუთარი კომფორტისთვის უნდა შეეცვალა კაბინეტი. და მისი განწყობაც გასაგებია, ამ მხრივ.

და, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტის ახალი კაბინეტი ნაკლებ ინტერესს, კრიტიკას ან კითხვის ნიშნებს გა-

მოიწვევდა. ამჯერად შეკითხვები დავით პატარაის მიმართ გაჩნდა. როგორც ჩანს, მას ბავშვობიდანვე ძლიერი ხელი იცავდა. 1992 წელს ის უკვე იმ სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი წევრია, რომელსაც შევარდნაძე მეთაურობს. მაშინ ის სტუდენტი იყო. და რა თქმა უნდა, აქ ის შემთხვევით არ მოხვდებოდა. თუმცა, ეს სულაც არ არის დიდი საოცრება. განსაკუთრებით იმ პერიოდში. ნინო ბურჯანაძეც ხომ ასე მოხვდა პოლიტიკაში, მამამ სთხოვა შევარდნაძეს.

ბურჯანაძე აქ შემთხვევით არ მიხსენებია. გიორგი მარგველაშვილმა საკუთარი ადმინისტრაცია სწორედ ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილ გენერალურ მდივანს ჩააბარა. ანუ დავით პატარაის. გენერალური მდივნის ამპლუაში ის პრესკონფერენციებსაც მართავდა და უსამართლო საარჩევნო გარემოზე საუბრობდა. დავით პატარაია მაშინდელ ხელი-სუფლებას, ანუ ნაციონალურ ზეწოლის გამო აკრიტიკებდა. და ესეც არ არის დიდი საოცრება, ზნეობებზე მაშინ ოპოზიციაში აქტიურად საუბრობდნენ.

თუმცა, გაუგებარია, თუკი თავად პრეზიდენტი მარგველაშვილი აცხადებს, რომ ის პროდასავლურ ღირებულებებს უჭერს მხარს, მაშინ რად უნდა პროპუტინური პარტიის გენერალური მდივანი ადმინისტრაციის უფროსის ამპლუაში? ეს შემთხვევითია?

გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა რომ მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია დასავლური ღირებულებები, რომ კოალიციაში დარჩება, მანამ სანამ თავად კოალიცია იქნება ამ ღირებულებების მატარებელი. ამ განცხადების ფონზე კი ბევრს გაუჭირდება, დავით პატარაია ამ ღირებულებებში ჩასვას. ის, უბრალოდ, ნევრი კი არა, ბურჯანაძის პარტიის გენერალური მდივანი გახლდათ. ვანო მაჭავარიანის გამო მარგველაშვილს ყოველთვის ნაციონალურებთან აკავშირებდნენ, ახლა ის, ნესით, ნინო ბურჯანაძესთან უნდა დააკავშირონ?

პატარა დავითაია ბიოგრაფია პრეზიდენტის საიტზე არ დევს. მშრალი ინფორმაცია ასეთია: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად

დავით პატარაია დაინიშნა. დავით პატარაია 2013 წლის დეკემბრიდან დღემდე იყო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. სხვადასხვა წლებში ის მუშაობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში. დავით პატარაია კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, შემდგომ კი – იურიდიულ ფაკულტეტზე. არის სამართლის დოქტორი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ზოგიერთ საიტს მხოლოდ ის უწერია, რომ ის ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი იყო მხოლოდ რამდენიმე თვით. ნევრი კი არა, გენერალური მდივანი იყო და ეს ინფორმაციები ახლა, ისევე როგორც მისი განცხადებები, მხოლოდ ნინო ბურჯანაძის პარტიულ საიტზეა დაცული.





**საატესტატო  
გამოცდები  
2014  
სარეზიუმეო  
ნარიმართა EXCLUSIVE**

**სალომე გოგონია**

გამოცდების ეროვნული ცენტრის მტკიცების მიუხედავად, სკოლებში საატესტაციო ე.წ. კატ-ის გამოცდებმა სრული კრახი განიცადა. საქართველოს მასშტაბით ერთდროულად 1 500 სკოლაში 40 ათასზე მეტმა მოსწავლემ ჩააბარა საატესტატო გამოცდები. გამოცდები გასულ კვირას დასრულდა. პირველი გამოცდა ქიმიამი ჩატარდა. უკმაყოფილება ცენტრის მიმართ იმავე დღეს გაისმა.

მოსწავლეები პროგრამულ ხარვეზებზე, დაგვიანებულ ტესტებზე და დაბალ ქულებზე ალაპარაკდნენ.

როგორ ვითარდებოდა მოვლენები სკოლებში, ამის გასაგებად „პრაიმტაიმი“ თბილისის რამდენიმე სკოლას ესტუმრა. ჩვენთან საუბარში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ოთხივე საგნის გამოცდაზე პროგრამულმა ხარვეზებმა ისინი „დატანჯა“.

„განსაკუთრებით საშიშელი მდგომარეობა გვექონდა ქიმიის გამოცდაზე. საშინლად შედეგად პროგრამა. სურათებს არ ხსნიდა. პასუხები ვარაუდით შემოვხაზეთ. ძალიან თუ „გაჭყდავდა“ პროგრამა, დამკვირვებლები კომპიუტერს გათიშავენ და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ჩართავენ. დაეიტანჯეთ ბავშვები“. - აცხადებენ სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები.

პირველ დღეს პროგრამული ხარვეზების არსებობა ცენტრის

დირექტორმა მია მიმინოვილმა ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიების გადატვირთვით ახსნა. მისივე განცხადებით, ტექნიკური ხარვეზები იმავე დღეს, 11 საათისთვის გამოსწორდა.

თუმცა, საპირისპიროზე საუბრობენ თავად მოსწავლეები. მათი თქმით, ხარვეზები გამოცდების ბოლომდე გაგრძელდა.

როგორც თბილისის 180-ე სკოლის მოსწავლეებმა გვითხრეს, პროგრამული ხარვეზების გამო საჭირო ხდებოდა კომპიუტერის გამორთვა, რაშიც დიდ დროს კარგავდნენ.

„განსაკუთრებით ქიმიამი იყო ხარვეზები. პროგრამა შედეგად. ბიოლოგიის საგანზეც იყო ხარვეზები. გეოგრაფიამი მეტ-ნაკლებად“, - გვითხრეს მოსწავლეებმა.

ანალოგიური პასუხი მოვისმინეთ 55-ე და სხვა სკოლებშიც.

ასევე, მოსწავლეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ქულებზეც. მათი თქმით, ბევრმა წარჩინებულმა მოსწავლემ საკმაოდ დაბალი ქულები აიღო, რასაც კვლავ პროგრამულ ხარვეზებს უკავშირებენ. დაკარგული დრო, მღელვარება, საბოლოო ჯამში შედეგებზე უარყოფითად აისახა.

ზუგდიდის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე გვიამბო, რომ პროგრამა მაღალ ქულებს არ ნერდა.

„მ-ზე ზევით ქულა არ დანერდა. ბიოლოგიაში მ ქულა ავიღე, არადა უფრო მაღალ შედეგს ველოდი. მანაწვლებელმაც მითხრა, რომ ყველა შეკითხვას სწორად ვუპასუხე. პროგრამა შედეგად და ზოგიერთს საგარეულო პასუხსაც არ უჩვენებდა“. - გვითხრა ზუგდიდელმა მოსწავლემ.

სკოლებში რეპორტაჟის მომზადებისას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმომადგენლებსაც შეეხვით. მათი მოვალეობა გამოცდის დროს გამოვლენილი ხარვეზის დროულად აღმოფხვრა იყო.

„აიტი“ სპეციალისტი ლევან მგელაძე ვარაუდობს, რომ სკოლებში პროგრამული ხარვეზები გადატვირთვით გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ საატესტატო გამოცდები საქართველოს მასშტაბით 1 500-ზე მეტ სკოლაში ერთდროულად ჩატარდა.

„საბედნიეროდ, ისეთი ხარვეზები არ ყოფილა, რომ გამოცდა ჩაშლილიყო. ძირითადი ხარვეზები იყო გრაფიკულ პროგრამაში. ტექსტების გახსნას პროგრამა დიდ დროს არ ანდომებდა, მაგრამ ნახატების გახსნას შედეგად. იქ უკვე შეგახატებზე საუბარი და პროგრამას გახსნა უჭირს. ეს ჩემი ვარაუდია“, - გვითხრა სპეციალისტმა.

მოსწავლეების თქმით, პროგრამული ხარვეზის გარდა, გამოცდებზე მოცემული ტესტები გაცილებით რთული იყო, ვიდრე პრეტესტები. ზოგიერთმა ისიც თქვა, რომ ტესტებში ისეთი საკითხი იყო, რაც პროგრამით არ გაუვლიათ. ზოგიერთმა დაძინა, ყველა საკითხი გავლილი გვექონდა, მაგრამ შეკითხვები დამაბნეველი იყო.

თუმცა, „აიტი სპეციალისტის განმარტებით, პრეტესტის მიზანი მხოლოდ პროგრამის შემოწმებაა ანუ ტექნიკურად რამდენად გამართულად მუშაობს.

საატესტატო გამოცდებზე დაფიქსირებული ხარვეზების შესახებ კომენტარისთვის „პრაიმტაიმი“ გამოცდების ეროვნულ ცენტრსაც დაუკავშირდა. თუმცა, ცენტრის დირექტორთან გასაუბრება ვერ შედეგამიზეზდა მია მიმინოვილის მოუცლელობა დაგვისახელეს.

მის ნაცვლად კომენტარი ცენტრის თანამშრომელმა სოფო დოლიძემ გააკეთა.

როგორც ჩვენთან საუბარში დოლიძემ აღნიშნა, ხარვეზები გამოცდის პირველ დღესვე აღმოფხვრა.

„ინტერნეტის მინოლების პრობლემა იყო. 11 საათისთვის პრობლემა აღმოფხვრა. შემდეგ გამოცდებზე პრობლემები აღარ იყო. პროვაიდერმა გამოასწორა. რაც მთავარია, ეს ხარვეზები საბოლოო შედეგზე არ იმოქმედებს. კომპიუტერის გამორთვის შემთხვევაში მოსწავლეებს ის ნაწილი უნარჩუნდებოდათ, რაზეც იმუშავეს. ისინი, ვინც გამოცდის შედეგებით უკმაყოფილოები არიან ან ჩაიჭრნენ, შეუძლიათ გამოცდაზე მეორედ გავი-



**მაია მიმინოვილი**

დნენ“, - აღნიშნა დოლიძემ.

სკოლის საატესტატო გამოცდები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაინერგა. მაშინდელი განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მისაღებ გამოცდებში შესატანი ცვლილებების ინიციატივით გამოვიდა. საუბარია გამოცდების 8+1 სისტემაზე, რომელიც წარმატებით მუშაობს აშშ-ში. თუმცა, ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო მია მიმინოვილი.

მისი განცხადებით, საატესტატო გამოცდებზე მოსწავლეები იმდენად დაბალ დონეს აჩვენებენ, რომ შეუძლებელია ამ შედეგებით მათი უმაღლესში ჩარტება.

ექსპერტი განათლების საკითხებში თამარ მოსიაშვილი მომავალში კატის გამოცდების ხარვეზების გარეშე წარმართვას სკეპტიკურად უყურებს. მისი თქმით, საკითხავია გვირდა თუ არა კატ-ის გამოცდა, რომელზეც დიდი რესურსი იხარჯება.

„ძალიან ძნელია 1 500 სკოლაში ერთსა და იმავე დღეს გამოცდების ადმინისტრირება. ჩემი აზრით, ხარვეზებს ეს ნივთია. თუ ამ მიდგომით განვითარდა სიტუაცია და ჩვენმა ქვეყანამ უარი არ თქვა გამოცდების ცენტრალიზებულ ადმინისტრირებაზე, მე პესიმისტურად ვუყურებ ტესტირებაზე ხარვეზების გამოსწორებას. შეუძლებელია ყველა სკოლაში ერთ დღეს მოსწავლეები ტესტებს აბარებდნენ და იქ გარკვეული ტიპის ხარვეზი არ იყოს. ეს ცენტრისთვის ძალიან დიდი დატვირთვაა. მეორე თემაა რას ამოწმებს კატ-ის ტესტები, რამდენად მნიშვნელოვანია იმ ცოდნის შეფასება რასაც კატ-ის ტესტები ამოწმებს და რამდენად ღირს მოსწავლეების ემოციების დახარჯვა

ტესტის მოსამზადებლად. მიმართა, რომ არ ღირს. ცენტრალიზებულად ადმინისტრირებულ 12 ტესტში, 8 საატესტატო და 4 სახელმწიფო გამოცდა ძალიან ბევრია. ამ რაოდენობის ტესტების ჩატარებისთვის სახელმწიფო დიდ თანხას ხარჯავს. მიმართა, რომ ამ რესურსების ხარჯვა ამაოა. ცხადია, არ ვგულისხმობ, რომ ზოგადად უარი ვთქვათ ტესტირებაზე, მაგრამ საგანმანათლებლო საზოგადოება უნივერსიტეტების მონაწილეობით უნდა შეთანხმდნენ ტესტების გონივრულ რაოდენობაზე და დამატებით პროცედურებზე. თუნდაც, უნივერსიტეტში მიღების დროს. თვითონ ამ კატ-ის ტესტირების ერთი დიდი კურორიზი გახლავთ ის, რომ სკოლები ატესტატის ვერ გასცემენ. სკოლების ატესტატის გაცემის საფუძველი გახლავთ კატ-ის გამოცდა, რომელიც რა ტიპის ცოდნას ამოწმებს, ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია“, - ამბობს მოსიაშვილი.

მისივე თქმით, მიუღებელია კატ-ის ტესტების საფუძველზე დავასკვნათ რა სიტუაციაა სკოლებში და შევაფასოთ საგანმანათლებლო სისტემა.

„კარგი იქნება თუ უნივერსიტეტში ჩაბარების საფუძველი იქნება უნარების გამოცდა, უნივერსიტეტის მიერ დანიშნული გამოცდა და სკოლაში მოსწავლის შედეგები, ასევე, სკოლის გარეშე საქმიანობის შედეგები. ოპონენტები საუბრობენ იმაზე, რომ სკოლის შეფასება ობიექტური არ არის. სკოლაში კარგად ვერ ასწავლიან და კარგად აფასებენ. ფაქტობრივად, რა მივიღებ? ჩვენ მივიღეთ ხარვეზებით ადმინისტრირებული კატ-ის გამოცდები.“ - დასძინა მოსიაშვილმა.



**თამარ მოსიაშვილი**

# ლომისოზაზე უგზო-უკვლოდ დაკარგული 17 წლის მოზარდის ძებნა გრძელდება

სალომე გოგოხია

ლომისოზის დღესასწაულზე მლეთაში სხვა მომლოცველებთან ერთად 17 წლის გურამი, იგივე გურია დადიანიც იმყოფებოდა. თურმე, მეგობრებს დიდი სურვილი ჰქონიათ, რომ ეს დღესასწაული აღენიშნათ და ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია მოელოცათ. თქმა და შესრულება ერთი იყო. ახალგაზრდებმა ტრანსპორტი იქირავეს და მლეთისკენ მიმავალ გზას გაუდგნენ. ლამისთვის ლოცვას დაესწრნენ, მთიდან დაახლოებით დილის 4 საათზე დაეშვნენ. მწკრივად მოდიოდნენ, რომ ერთმანეთი არ დაეკარგათ. გზად გურიას შეუსვენია. მეგობრებს უთხრა დაგეგნევიო. რამდენიმე წუთში მეგობრებმა უკან მიიხედეს და ლოდი, რომელზეც გურიაკამ შეისვენა, ცარიელი დახვდათ.

თითქოს ცამ უყო პირო, ბიჭის კვალს ვერსად მიაგნეს. გათენებამდე მეგობრები დამოუკიდებლად ეძებდნენ, შემდეგ საქმეში სამაშველო სამსახურიც ჩაერთო. თუმცა, ყველა ცდა ამოგამოდგა. ბიჭის კვალსაც კი ვერ მიაგნეს.

მომხდართან დაკავშირებით გურიაკას მეგობრები საუბარს გაუბრუნეს. კონტაქტზე არც მისი ოჯახი გამოდის. როგორც ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა გვითხრა, უურნალისტებმა რაღაც ფაქტები დაამახინჯეს და უნდობლობაც ამან გამოიწვია.



„თანაც, იმდენჯერ გაშუქდა ეს ამბავი, რომ უკვე აზრი არ აქვს ლაპარაკს ან რა უნდა ვთქვათ? თქვენ გაძლევთ ბოლო ინტერვიუს და იმედი მაქვს ის დაინერება, რასაც ვიტყვი“, - გვითხრა გურიაკას ერთ-ერთმა მეგობარმა მარი პოლტავეცმა.

მეგობრები თვითმკვლელობის ვერსიას გამოირიცხავენ.

- გურიაკა მშვიდი, განონასწორებული ბიჭია. მის ცხოვრებაში რამე ცუდი თუ ხდება, ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. ის დეიდსთან ცხოვრობდა და მას ყველანაირად



**გურიაკა დადიანიკა - ფოტო გადაღებულია ლომისოზაზე**

**EXCLUSIVE**

**„მთაში აღარ ვეძებთ, აზრი არ აქვს. ახლა ფოტოებს დავბეჭდავთ და ბავაპრცელებთან, იქნებ ვინმემ ნახა“**

გვერდში ედგა. რაც შეეხება დაკარგვის დღეს, გურამი მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე ქვემო მლეთაში იყო. ლომისის ტაძრიდან ბრუნდებოდნენ, როცა დაიკარგა. ყველა უკან ბრუნდებოდა, როცა გზად, გურამი ქვაზე ჩამოვდა. მასთან ერთად მისი მეგობარი გოგოც მოდიოდა. მან ჰკითხა, რამე ხომ არ გიჭირსო, რაზეც გურამმა უპასუხა „კარგად ვარ, ჩადი და მალე მოვალ“. მეგობარმაც მარტო დატოვა და წავიდა. იფიქრა, იქნებ საპირპარემოში უნდაო.

**- თვითმკვლელობის ვერსიას გამოირიცხავე?**

- თავის მოკვლას გამოვირიცხავე. ასეთ შემთხვევაში მკვდარს მაინც ვიპოვიდით, მაგრამ სასწაულია, არც მკვდარი ჩანს და არც ცოცხალი. ამდენი ხანი ადამიანი ვერ იპოვო, შეუძლებელია.

**- სხვა რა ვერსია გაქვთ? თუ თვითმკვლელობას გამოირიცხავეთ, იქნებ, სადმე ნახვლა უნდა, ოჯახში უშლიდნენ და გაიქცა?**

- შეიძლება თვითონ წავიდა სადმე, არ ვიცი. ასეთი ვერსია არსებობს. სა-

მწუხაროდ, ამის მიზეზს ვერავინ ხედავს. ალბათ, ვერ გავიგებთ, სანამ თვითონ არ გამოჩნდება. მისთვის არაფერი ისეთი არ შეგვიჩვენია და მის გაქრობასაც ვერაფრით ვერ ვხსნი.

**- როგორც მითხარი, მთაში ძებნა შეწყდა, რატომ?**

- კი, მთაში რამდენიმე დღეა რაც ძებნა შეწყდა, რადგან სადაც კი ფეხის დადგმა იყო შესაძლებელი ყველგან ეძებეს. ერთი და იგივე ადგილას 2-3-ჯერ იყვნენ. დღედაღამე ეძებდნენ. იქ რომ ყოფილიყო იპოვიდნენ. მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნეს. საგამოძიებო ჯგუფი, მეგობრები, ახლობლები, უბრალოდ ადამიანები, რომლებმაც ეს ამბავი გულთან ახლოს მიიტანეს, ყველა იქ იყო და დაულალავად ეძებდნენ.

**- რას აპირებთ?**

- ფოტოებს დავბეჭდავთ და გავრცელებას ვგეგმავთ. ის ვერსია, თითქოს თვითონ წავიდა სადმე, შეიძლება მართალია. მაგრამ იქნებ არც ნახულა თავისი ნებით და რამე დაემართა? ჩვენ მაინც ვეცდებით ყველა კუთხე-კუნჭულში ხალხს ხმა მივანვიძინოთ. იქნებ, ვინმემ იცნოს და დაგვეხმაროს. არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა და გურამიც მალე დაუბრუნდება ოჯახს და მეგობრებს.

**- რატომ არ სურს მის ოჯახს ამ თემაზე უურნალისტებთან საუბარი?**

- მათთვის ამაზე საუბარი რთულია. თან ერთი ფაქტორიცაა, რამდენიმე ტელევიზიამ და უურნალმა გააშუქა მოხმდარი, ეს მათ იმედს აძლევდა, ფიქრობდნენ რაღაც შედეგს გამოიღებდა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო გამოდგა. გურამი არ ჩანს, არც ვინმეა მისი მნახველი ვინც მასზე

იტყვის, რომ ცოცხალი დაინახა. თანაც, ზოგიერთმა უურნალისტმა საოცრებები დანერა, თითქოს გურამი იმ ლამით ნახვამი იყო, კიდევ რაღაც ნამლების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და ათასი სისულელე. ვერ ხვდებიან, რომ ამით ოჯახს ტკივილს აყენებენ. თქვენთან საუბარს, პირველ რიგში, სწორედ ამიტომ ვარიდებდი თავს, რომ ვშიშობდი, სხვა ფორმით დაინერებოდა ჩემი ნათქვამი. თქვენი გაზეთის საშუალებით იმ ადამიანებს მინდა მივმართო, რომლებიც სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებენ ინფორმაციებს თითქოს გურამი გამოჩნდა, ხან საზიზღრობებს წერენ, თითქოს დაღუპული იპოვეს. გონს მოგვეთ, გურამი ჯერ არ გამოჩენილა, რაღაც მიზეზით გაუჩინარდა, მაგრამ ცოცხალია და ის ნამდვილად დაბრუნდება. მინდა ბოლო მოეღოს ასეთი ინფორმაციების გავრცელებას.

**- მარი, ტელეფონი არ ჰქონდა? ხომ არ უცდიათ პირველად ტელეფონზე დაკავშირება?**

- არა, ტელეფონი არ ჰქონია. ავტობუსში ჰქონდა დატოვებული.

**- რატომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ნახვამი იყო? იქნებ, ბიჭებმა მართლაც დალიეს ორი ჭიქა?**

- არა, ნახვამი ნამდვილად არ ყოფილა. ტაძრიდან ჩამოსვლის შემდეგ აპირებდნენ სადმე დასხდომას და მოლხენას. სამძებრო საქმეში ჩართული იყო დუშეთის და მცხეთა-თიანეთის სამაშველო სამსახურები. მე პირადად უკმაყოფილო ვარ მათი დამოკიდებულებით. დღის განმავლობაში სულ რაღაც 4 საათის განმავლობაში ეძებდნენ. შემდეგ კი ადგილს ტოვებდნენ და გურამის ძებნას მისი ოჯახი და მეგობრები განაგრძობდნენ. დუშეთის პოლიციაც ჩართო, მაგრამ აზრი? დამატებით მეტი ძალაა დღემდე საჭირო. არ ვიცი, როგორ ვერ უნდა ეპოვათ რაიმე კვალი. როგორ შეიძლება ადამიანი ასე გაქრეს?!



**რუსეთმა საინფორმაციო ომი საქართველოს უკრაინაშიც გამოუცხადა**



ქეთი ხატიაშვილი

როცა ამ მასალას ვამზადებდი, ზოგიერთმა ექსპერტმა მირჩია, ეს იმდენად დიდი აბსურდია, ავობებს, საერთოდ არ დანეროო. თუმცა, მაინც გადავწყვიტე, გამერკვია, იმდენად რამდენადაც ზვერი ჩემი უკრაინელი მეგობარი შემეხმინა და მკითხა, რამდენად მართალია იყო უკრაინულ სოციალურ ქსელებში საქართველოზე გავრცელებული ინფორმაცია.

ქართული მხარე საჭიროდაც არ თვლის, ამ თემაზე კომენტარი გააკეთოს. მართლაც არიან სისულელესა და აქვს თავისი მასშტაბები. მსგავსი დეზინფორმაცია სჯობს, საერთოდ, უპასუხო დატოვო.

თუმცა, წლების განმავლობაში უკრაინელი ხალხი მიეჩნეოდა საქართველოზე მხოლოდ დადებითი ინფორმაციების მოსმენას, საქართველოსთან მათ მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულება და თბილი გრძობები აქვთ, ახლა კი ხშირად ისეთი რამის ნაკითხვა უნევთ, რომ მათი ინტერესიც ბუნებრივია. აინტერესებთ, რამდენად მართალია ის, რაც იქ ვრცელდება.



„ოდნოკლასნიკები“ უკრაინელებს ფორუმზე აქვთ გახსნილი და ყოველდღიურად იქ საბრძოლო მოქმედებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციებს ან ვიდეოფაილებს ათავსებენ, მიდის ცხარე დისკუსიები, ხშირ შემთხვევაში სწორედ ფორუმებიდან იგებენ ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეებსაც. სწორედ ამ ფორუმზე ერთ-ერთმა იუზერმა დანერა, რომ საქართველოდან უკრაინაში ბაქტერიოლოგიური იარაღი შედის და რომ საქართველო და ამერიკა ერთად ერჩიან მშვიდობიან მოსახლეობას.

„ოდნოკლასნიკების“ ფორუმზე წერია:

„На днях на Украину прибыл груз с бактериологическим оружием из Грузии, изготовленным



под контролем специалистов США. Эта информация была получена штабом Народной республики Луганской (НОА ЛНР) из собственных источников в ВС Украины. Как подтвердили корреспонденту ИА REGNUM в штабе НОА ЛНР, согласно этим данным, в Киев из Грузии прибыл груз с бактериологическим оружием. Речь идет о неких добавках, которые предполагается закладывать в продукты питания. Товары со смертельной начинкой планируется направлять на территорию Луганщины и Донбасса, причем продаваться они будут по сниженным ценам, подчеркнули в штабе. ИА REGNUM ранее уже сообщало, что в Алексеевке (Грузия) функционирует грузино-американская лаборатория, работу которой курирует советник министра обороны США по ядерным, химическим и оборонным программам Вебер. Армянское издание «Еркрамас» также сообщало, что там ведутся прикладные исследования по боевому

применению биологических поражающих средств. Также главный санитарный врач Геннадий Онищенко в свое время сообщал о причастности лаборатории в Алексеевке к распространению вируса африканской чумы свиней в России“.

ქართველი ექსპერტები ამ ინფორმაციას სრულ დეზინფორმაციას უწოდებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ისეთივე აბსურდია, როგორც იმის თქმა, რომ საქართველო ატომს ფლობს.

მეორე ინფორმაცია ისეთია, თითქოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ოფიციალურად აგზავნის თავის საჯარისო ნაწილებს უკრაინაში საომრად. რა თქმა უნდა, ასეთი ტროლები უკრაინელებზე მტკივნეულად მოქმედებს.

როგორც ჩანს, რუსეთმა ახლა საინფორმაციო ომი უკრაინაში გააჩაღა ჩვენს წინააღმდეგ და უკრაინელებს არწმუნებს, თითქოს საქართველოში ამერიკელები მომაკვდინებულ იარაღსაც ამზადებენ და კიევის საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებაში ეხმარებიან.

# ამერიკა ვკვასსი

ქეთი ხატიაშვილი

ბაქო კატეგორიული წინააღმდეგია, აზერბაიჯანიდან მუქარანარევი განცხადებები უკვე გაისმა. ჩანს, ერევანი ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ პროექტის განხორციელებას მიაღწიოს. რუსეთი ყოველთვის თანახმა იყო, საქართველო კი შეეცდებოდა, მოგებული დარჩეს. განახლდა თუ არა მოლაპარაკებები მოსკოვი-თბილისი-ერევნის რკინიგზის აღდგენაზე, რატომ ხვდება გიორგი მარგველაშვილი სერჟ სარგსიანს უკვე ორჯერ და რამდენად რისკიანი და გაბედული იქნება ახალი ხელი-სუფლება საგარეო პოლიტიკაში? საგარეო ვაჭრობა თუ სარფიანი ვაჭრებზე? ექსპერტებს ჯერ დასკვნების გაკეთება უჭირთ.

პროექტი, რომელიც ამიერკავკასიაში კვლავაც დიდი ინტერესების შეჯახებისა და დაპირისპირების მიზეზად რჩება, საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის სერიოზული გამოწვევაა. ეს პოპულმა ლარიბაშვილმა მემკვიდრეობით მიიღო. საქართველოს წინამორბედ პრეზიდენტებს ამ საკითხის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდათ. როგორი იქნება ამჯერად პრემიერ ლარიბაშვილის პოზიცია.

ოფიციალური თბილისი, ერევანთან გააქტიურებული მიმოსვლის მიუხედავად, ჯერჯერობით აცხადებს, რომ მოსკოვი-სოხუმი-თბილისი-ერევნის რკინიგზის აღდგენის საკითხი არ განიხილება.

თუმცა, რუსული მედიის ცნობით, სომხეთის პრეზიდენტი აქტიურად ლობირებს რკინიგზის გახსნის თემას. სერჟ სარგსიანმა მოსკოვში ვიზიტისას პუტინს ამ პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება სთხოვა. ვლადიმერ პუტინი კი, თავის მხრივ, აფხაზეთის ევრეთნოდებულ პრეზიდენტს ალექსანდრე ანკევაბს შეხვდა. რუსული მედიის ცნობით, მათ სწორედ რკინიგზის გახსნის პერსპექტივაზე ისაუბრეს.

მაშინ ვიზიტების შედეგებზე საუბარი თითქმის ყველას გაუჭირდა. მაინც, რა მოლაპარაკა პუტინმა სომხეთისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტებთან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე გამოცდილ ექსპერტებსაც კი გაუჭირდათ.

სამაგიეროდ, როცა აფხაზეთში ანქევაბის გადაყენების ოპერაცია სასწრაფოდ დაიგეგმა და განხორციელდა, ცხადი გახდა, რომ კრემლმა არჩეულ პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოახერხა. ანქევაბს საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება რკინიგზასთან დაკავშირებით არც დაუფარავს და მან რკინიგზის გახსნა ლიად რამდენჯერმე გააპროტესტა.

ერთხელ მაშინ, როცა ზუგდიდში იმყოფებოდა და მეორედ მაშინ, როცა უკვე ერევანს ეწვია ოფიციალური ვიზიტით.

## „რკინიგზაც და საავტომობილო ტრასაც ქართველებსაც და აფხაზებსაც რუსეთის ბაზრისკენ გზას გაუხსნის, რაც აუცილებელი იქნება ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისათვის“



## რატომ ხვდება გიორგი მარგველაშვილი სერჟ სარგსიანს, აღდება თუ არა მოსკოვი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალი და რა ინტერესები აქვთ მხარეებს



– რკინიგზაც და საავტომობილო ტრასაც ქართველებსაც და აფხაზებსაც რუსეთის ბაზრისკენ გზას გაუხსნის, რაც აუცილებელი იქნება ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისათვის, – ყოფილმა პრემიერმა ეს ზუგდიდში თქვა.

– როგორც იცით, ჩვენ, საქართველოსა და სომხეთს, ურთიერთობის პრობლემა გვაქვს რუსეთთან. ვცდილობთ, ძალიან მალე აღვადგინოთ და დავარეგულიროთ ურთიერთობა რუსეთთან, ყველაზე ღრმა პრობლემა ტერიტორიული მთლიანობაა და ალბათ, ეს მალე არ იქნება, მაგრამ რკინიგზის აღდგენა დაკავშირებულია საერთო პრობლემებთან და ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტში იქნება განხილული, რომ ყველა მხრიდან ნების შემთხვევაში საკითხის გადაჭრა უფრო ადრე შეიძლება, – ეს კი უკვე ერევანში განმარტა.

როგორც ხედავთ, არც ახალი ხელისუფლება განიხილავს რკინიგზის საკითხს პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილად. საქართველოში ამ თემაზე ხმაური ატყდა, სოხუმში კი განაცხადეს, რომ რკინიგზის გახსნა მათთვის ბუნდოვანია და მის განხილვას არც აპირებენ.

– არავითარი მომართვა ამასთან დაკავშირებით არც ერთი მხრიდან არ ყოფილა. არავითარი დადებითი იმპულსები „აფხაზი ძმების“ მხრიდან, რო-

# ის დიდი სამკუთხედი



დერთი გამოსავალია. ასე რომ, თუკი რკინიგზა გაიხსნება, ერევანი პირდაპირ და იაფად დაუკავშირდება რუსეთს.

სომხეთის ეკონომიკური ინტერესები გასაგებია, თუმცა, საქართველოს ამ რკინიგზასთან პოლიტიკური ინტერესები აქვს და ეს ოკუპირებული ტერიტორიებია.

თბილისი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის წინაშე დგას. პირველი – ოკუპირებული ტერიტორიებია და მეორე – ბაქო.

საქართველო მზად არის რკინიგზის გახსნისთვის, თუკი ლტოლვილების დაბრუნების პროცესი დაიწყება. ანუ თბილისი ამ პრობლემას პირდაპირ უკავშირებს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

რაც შეეხება ბაქოს, რა თქმა უნდა, თუკი თბილისი ლტოლვილების დაბრუნებაში გაცვლის რკინიგზის გახსნას, აზერბაიჯანი შესაძლოა, ამას გაგებით მოეცილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალიევის ხელისუფლების მხრიდან ამას სერიოზული პროტესტი მოჰყვება. მაგალითად, შეიცვლება გაზის ფასი ან მისი მიწოდება შეფერხდება. ან მაგალითად, ბაქო აფხაზეთსა და ცხინვალს აღიარებს. მინიშნებები ამ მიმართულებით აზერბაიჯანში უკვე გაკეთდა. მინი მეჯლისის ერთ-ერთმა დეპუტატმა უკვე განაცხადა, რომ რკინიგზის აღდგენის შემთხვევაში ბაქო მზარს დაუჭერს აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებს. ბაქოს ისედაც არ მოსწონს, რომ რუსეთი სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით ამარაგებს სომხეთს იარაღით. უფრო ზუსტად, საკუთარ სამხედრო ბაზას.

სწორედ ამ ფონზე ერევანში ჯერ საქართველოს პრეზიდენტი ჩადის და შემდეგ უკვე მისი მონვევით თავად სომხეთის პრეზიდენტი ჩამოდის თბილისში. საქართველოს თავდაცვის მინისტრიც ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით სომხეთში. რუსეთის მედიის ცნობით, ირაკლი ალასანიას თქმით, რკინიგზის საკითხი პოლიტიკური საკითხია, თუმცა ის მთლიანად



**ირაკლი ალასანია:**  
**„დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადაიდგემა“**

მის აღდგენაში ფული, რა თქმა უნდა, რუსულმა მხარემ ჩადო.

რკინიგზასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს აინტერესებს არა მხოლოდ პოლიტიკური საკითხები, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება, ლტოლვილებით დაწყებული და მისი სტატუსით დასრულებული, არამედ უსაფრთხოების თემებიც. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ აღდგენილ რკინიგზას რუსეთი არა მხოლოდ ეკონომიკური კავშირების აღდგენისთვის გამოიყენებს, არამედ ტანკებისა და იარაღის ამიერკავკასიაში შესატანადაც. ამ საშიშროებას ბაქოც ხედავს.

ოფიციალურმა თბილისმა კი ისევ ოკუპირებული ტერიტორიების თემა წამოჭრა. შესაძლოა, ეს მოსკოვის მეორე მოთხოვნაა, რომელსაც ის ხელმოწერის წინ აყენებს, ან თბილისი, საბოლოოდ, რკინიგზის გახსნას არ დასთანხმდა.

საქართველოს რკინიგზა აფხაზეთის მონაკვეთზე 1992 წელს გაჩერდა. რუსეთმა ის 2004 წელს აღადგინა. ამჯერად რკინიგზა რუსეთ-აფხაზეთის მონაკვეთზე მუშაობს და

ადრე თბილისი ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას მოითხოვდა. თუმცა საქვოა, ამაზე უკვე რუსეთის მხარე დასთანხმდეს. ამჯერად თბილისი არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებს პროცესზე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საერთოდ უარყო რკინიგზის თემაზე რაიმე სახის დიალოგი.

ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პროექტის ამოქმედება ეკონომიკურად მიმზიდველია, თუმცა საკითხის პოლიტიკური ნაწილი გასათვალისწინებელია და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რას მოიგებს საქართველო. ჯერჯერობით თბილისში მიიჩნევენ, რომ საკითხის განხილვა მომავლის საქმეა და ამჯერად დიალოგის მიზეზი არ არსებობს.

**P.S. ნოემბერში აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით საქართველოში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, რესპონდენტთა 68%-მა განაცხადა, რომ დადებითად უყურებს საქართველოსა და რუსეთს შორის აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის პერსპექტივას; მხოლოდ 6%-მა გამოხატა სკეპტიკური დამოკიდებულება, ხოლო გამოკითხულთა 24%-მა განაცხადა, რომ არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.**



რეგიონში ეკონომიკური თვალსაზრისით ყველას აწყობს. „დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადაიდგემა“, – განმარტა ერევანში ალასანიამ. ეს ვიზიტები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ გაიმართა, რამაც სერიოზულ ექსპერტებს აფიქრებინა, რომ რუსეთი დუმისის სანაცვლოდ საქართველოსგან სწორედ რკინიგზის გახსნას ითხოვს. ანუ თუ თბილისი სოხუმის გავლით რკინიგზის აღდგენას დასთანხმდება, მოსკოვი, თავის მხრივ, ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებას არ გააპროტესტებს.

მართლაც, თბილისმა რამდენჯერმე უკვე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთი ხელს არ შეუშლის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას. რამდენად ნიშნავს ეს კულისებში რკინიგზის პრობლემის მოგვარებასაც?

რამდენიმე დღის წინ მოსკოვიდან სხვა შეთავაზებაც გაისმა, რომელიც ევროკავშირთან კავშირში არ იყო. სერგეი ლავროვი მოულოდნელად დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე ალაპარაკდა.



გორც ამგვარად, თქვენი სიტყვებით, ივანიშვილმა გამოთქვა, არ ყოფილა. ყველაფერ ამაზე თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ მას... თუ რაიმე კონკრეტული წინადადებები შემოვა ჩვენთან, მაშინ დავსხდებით და მათ კოლექტიურად განვიხილავთ... ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, ყველაფერი ეს როგორ შეიძლება განხორციელდეს...

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილის პოლიტიკა და დამოკიდებულება რუსეთისადმი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა, რკინიგზის თემა ორივე მათგანისთვის პოლიტიკური ხასიათის იყო. ახალ ხელისუფლებას პოზიცია არ შეიცვლია. შეიცვალა მხოლოდ რუსე-

თისადმი დამოკიდებულება. თბილისი ცდილობს, მოსკოვთან ურთიერთობები დათბოს და ქართულ პროდუქციას რუსული ბაზარი გაუხსნას.

სომხეთი ყველაზე მეტად გულშემოტივრობს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობას. ერევანი იმედოვნებს, რომ 20-წლიან ეკონომიკურ ბლოკადას თავს დააღწევს.

ეკონომიკური გათვლებით მოსკოვიდან ერევანში 1 ტონა ტვირთის გადატანა სომხეთს თითქმის 200 დოლარი უჯდება. ყარაბაღის გამო აზერბაიჯანის მხრიდან ის ბლოკადაშია მოქცეული, ბაქოს ამ ბრძოლაში მხარს თურქეთიც უჭერს. სხვა გასასვლელი სომხეთს არ აქვს, საქართველო ერთად-

# ტაქსის მძღოლებს ინგლისურის კურსების გავლა უფასოდ შეეძლება

ნანა შონია

თბილისის ქუჩებში მოძრავი ტაქსის ყველა მძღოლს, ამიერიდან, ინგლისური ენის ორთვიანი სწრაფი კურსის გავლა უფასოდ შეეძლება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტაქსის მძღოლების გადამზადების ახალ პროგრამას იწყებს. იმისთვის, რომ ქვეყანაში მომსახურების სფერო განვითარდეს და ტურისტებს მეტი კომფორტი შეექმნათ, ტრანსპორტის სფეროში მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორ უნდა მოხდეს ტაქსის მძღოლების გადამზადების პროგრამაში დაინტერესებული პირების ჩართვა და რა ძირითადი კრიტერიუმების დაკმაყოფილება ამისთვის საჭირო, ამაზე „პრაიმტიმის“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი ვარლამ ზაძელაუა საუბრობს.

**ვარლამ ზაძელაუა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი:** - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან წლებადედი წელი გამოცხადებულია ხარისხის განვითარების წლად. ბოლო პერიოდში ტურისტების მხრიდან გაზდილი ინტერესიდან გამომდინარე ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ სერვისების განვითარებაზე და მძღოლთა საკმარისობაზე.

ამ კუთხით კი, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, მნიშვნელოვანი მაღალი ხარისხის სატრანსპორტო მომსახურებაა. როდესაც ტურისტი ჩამოდის ქვეყანაში ის ამ მიმართულებით ყველაზე დიდ სირთულეს ტრანსპორტში აწყდება, რადგანაც ენის არ ცოდნის გამო, კომუნიკაცია თითქმის არ არსებობს. სწორედ ამიტომ, შარშან ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საპილოტე პროექტი ტაქსის მძღოლებისთვის. რომლის ფარგლებშიც მძღოლებმა ინგლისური ენის უფასო შემსწავლელი კურსები გაიარეს. საპილოტე პროგრამა 8 კვირა გაგრძელდა. გადამზადების შემდეგ ტაქსის 7 მძღოლს სერტიფიკატი და სპეციალური დასამაგრებელი ნიშანი გადაეცა „English Speaking Driver“, რომელიც ავტომობილის საქარე მინაზე განთავსდება. სპეციალური ნიშანი ტურისტებისთვის ადვილად ამოსაცნობი იქნება. ამ პროგრამას მართლაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა და წელს გადაწყვიტეთ მისი მასშტაბები გაზრდილიყო. აქიდან გამომდინარე, მასში ჩართვა ყველა მსურველს შეეძლება.

**- რა ძირითადი კრიტერიუმებით ხდება ამ ადამიანების შერჩევა და მოქმედებს თუ არა ასაკობრივი ცენზი?**

- არა, არავითარ შემთხვევაში. არავითარი ასაკობრივი ცენზი არ მოქმედებს. მოგემაართონ, შეუძლიათ იმუშაონ ყველამ, ვინც უკვე სრულწლოვანია და გარკვეული გამოცდილება აქვს ამ სფეროში და გროვილი. არ ვართ შეზღუდული. შესაძლოა 60-65 წლის გამოცდილი ტაქსის მძღოლი უფრო კარგად მოემსახუროს ტურისტს. ჩვენ ხარისხზე ვართ ორიენტირებული. რაც შეეხება მიღებას, დაინტერესებულმა პირებმა უნდა დარეკონ



## ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

ნომერზე 2 43 69 99 დეტალური ინფორმაციის მისაღებად კი ეწვიონ ჩვენს ვებ გვერდს <http://gnta.ge/>-ზე. დღეიდან საბუთების მიღება დაიწყო და ერთი თვის მანძილზე, 15 ივლისამდე გაგრძელდება. ასე რომ, იჩქარეთ და ხელიდან არ გაუშვათ ეს შანსი.

**- რამდენ ტაქსისტზე და რა პერიოდზე გათვლილი ეს პროგრამაა?**

- პროგრამის ხანგრძლივობა ორი თვეა. ივლისი და აგვისტო, შედარებით ნაკლებად დატვირთული მგზავრებრუნვის თვალსაზრისით, ვინაიდან ქალაქიდან მოსახლეობა გადის და ტაქსისტებიც მეტი ინ-

ტერესი ხაზი 800 800 909 სადაც შეუძლიათ დარეკონ. ჩვენ უკვე დაიწყოთ აქტიური სარეკლამო კამპანია და გვინდა თქვენი გაზიარების დახმარებით კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ ყველა ტაქსის მძღოლს დროს ნუ დაკარგავენ, ჩვენ უფასოდ შევასწავლით ენას რაღაც დონეზე მაინც. იმ ტაქსის მძღოლებს კი, ვინც უკვე ფლობს ინგლისურ ენას, შეუძლიათ მოგვმართონ და გადამზადების გარეშე ჩაერთონ ჩვენს პროექტში.

ახალი პროგრამით კმაყოფილები არიან ის ტაქსის მძღოლები, რომლებმაც ინგლისური ენის უფასო შემსწავლელი კურსები გაიარეს.

რადგან დღეს ტურისტების დანახვისთანავე ქართულ სტუმარ-მასპინძლობას ხელს ენობრივი ბარიერი აღარ შეუშლის. მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ კულტურულ მემკვიდრეობაზეც შეძლებს გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას.

**გიორგი ნახუცრიშვილი, ტაქსის მძღოლი:** „რადიოს მეშვეობით გავიგე ამ პროგრამის შესახებ. მივედი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში და დავტოვე ჩემი მონაცემები. შეიკრიბა თუ არა ჯგუფი დამიკავშირდნენ და ორი თვის მანძილზე ინტენსიური, ზეპირი მეცადინეობის კურსი გავიარეთ.“

პროგრამამ გაამართლა, იმიტომ რომ აუცილებელი მინიმუმი შეგვასწავლეს. რაც უცხოელებთან კავშირში გამოგვადგება. ეს იყო საპილოტე პროგრამა და სულ 7 ტაქსის მძღოლი ვიყავით ჩართული, ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. როდესაც ენას არ ფლობ, ძალიან ძნელია. უცხოელს რომ ხედავ გსიამოვნებს, მაგრამ თუ ენა არ იცი, იმასაც კი ვერ იგებ რომელ ქუჩაზე გთხოვს მიყვანას. ამიტომ აქამდე ეს პრობლემა არსებობდა. ახლა პასუხის გაცემა შემიძლია, იმის გაგება, სად მიდის. მეტიც, თუ კი მეტყვიან, რომ მათ აინტერესებთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები თავისუფლად შემიძლია გავიყვანო და ავუხსნა ესა თუ ის ნაგებობა რას ნარმოადგენს. ეს ყველაფერი გადამზადების პროგრამაში იდო. რა თქმა უნდა, სიღრმისეულად გიდის მომსახურებას ვერ გავწევ, თუმცა აუცილებელი მინიმუმის დაკმაყოფილება თავისუფლად შემიძლია. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ბოლო პერიოდში ქალაქში უცხოელების ნაკადის ზრდა მართლაც შეიმჩნევა, მომავალ წელს თბილისში ახალგაზრდული თამაშები, რაც ტურისტების და უცხოელი სტუმრების რაოდენობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის. ჩვენს სფეროზე ეს ზრდა აუცილებლად აისახება, ამიტომაც ყველას მინდა მოვუწოდო, რომ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვან და სწრაფად დაუკავშირდნენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.



ტენსივობით შეძლებენ კურსების გავლას. ჯგუფში სავარაუდოდ 20 ადამიანი იქნება წარმოდგენილი. მთლიანობაში კი, ინტერესის შემთხვევაში, 200-დან 300 ტაქსის მძღოლის გადამზადებას შეეძლება. ყველას შეუძლია მოგვმართოს. კურსი იმდენად კარგად არის მომზადებული, რომ არავის გაუჭირდება მისი გავლა. ამ კურსის დასრულების შემდეგ, გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები შეძლებენ კომუნიკაციის დამყარებას ტურისტებთან, ისინი შეძლებენ გარკვეული ინფორმაცია მიანოდონ მათ ამ ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებით. ამასთან ამ გადამზადების პროგრამაში დევს ეტიკეტის ყველა ნორმა, რომელსაც ამ პროგრამის გავლის შემდეგ ყველა ტაქსის მძღოლი დაიცავს. ყველაფერთან ერთად კი შეიქმნება ერთიანი ბაზა და თბილისში ჩამოსულ ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ მათი მომსახურებით ისარგებლონ. ამისთვის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში მუშაობს

როგორც ტაქსის მძღოლი გიორგი ყალიჩავა აცხადებს, ინგლისურ ენაში დასამაგრებელი ნიშნის მიღების შემდეგ უცხოელ მგზავრებთან კომუნიკაცია გაუადვილდა. „ამ კურსების გავლის შემდეგ ძალიან გამიადვილდა ტურისტებთან ურთიერთობა. შემთხვევით გავიგე ამ ყველაფრის შესახებ და ძალიან კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ასეთი კარგი შემთავაზებისთვის, მართლაც ყველას ვურჩევ ისარგებლოს და ხელიდან არ გაუშვას ეს შანსი.“

ტაქსის მძღოლი გიორგი ნახუცრიშვილი 60 წლისაა, თბილისის ქუჩებში ის საკუთარი ავტომობილით უკვე წლებია გადაადგილდება. ადრე უცხოელ ტურისტებთან ენობრივი ბარიერის გამო კომუნიკაციას ერიდებოდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპილოტე პროექტის შესახებ რეკლამის მეშვეობით შეიტყო. დღეს ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია,





# არჩევნების დადებითი ფაქტორები და ჩარეცხილი პარტიები

ქეთი ხატიაშვილი

რით გამოირჩეოდა ეს ადგილობრივი არჩევნები სხვებისგან, ვინ ტოვებს პოლიტიკას, რომელი პარტიები ჩაირიცხნენ და რა პოზიტივებზე საუბრობს უცხოელი ექსპერტი. საინტერესო პარალელები სააკაშვილის საპრეზიდენტო არჩევნებთან. რატომ არ აღიარა მაშინ მმართველმა პარტიამ მეორე ტური საპრეზიდენტო არჩევნებში და რას ნიშნავს ამ ხელისუფლების მხრიდან უკვე მეორე არჩევნებზე მეორე ტურის აღიარება. რატომ არ შეეძინდა „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო ბარიერის 50%-მდე აწევა და რატომ თქვა უარი ნინა ხელისუფლებამ მეორე არჩევნებზე 40%-იანი ბარიერის დაწესებაზე. მარკ მალენის საინტერესო შეფასება და პარალელები.

მანამდე კი ცოტა რამ არასაპარლამენტო ოპოზიციანეც.

პოლიტიკაში არა მხოლოდ შემოსვლას აქვს მნიშვნელობა, არამედ გასვლასაც. ზოგი ამას ღირსეულად ახერხებს, ზოგიც – ვერა. ბევრმა პირობა დადო და ლამის დაიგინა კიდევ, პოლიტიკაში ჩემი ფეხი აღარ იქნებოდა, მაგრამ მე არამხოლოდ დარჩა, გადარჩა კიდევ. კლასიკური მაგალითი გუბაზ სანიკიძეა. ადრე „ფორუმის“ ლიდერმა თითქმის ორჯერ თქვა: პოლიტიკიდან წავალ, მაგრამ ახლა ის მმართველი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერია. მართალია, ისეთი წმარულიანი აღარ არის, როგორც ადრე ოპოზიციის იყო, მაგრამ პოლიტიკურ ფორმას ინარჩუნებს.

ადგილობრივი არჩევნები, ამ მხრივ, სხვა პოლიტიკური ლიდერებისა თუ ფიგურებისთვისაც იყო საინტერესო. პოლიტიკა დატოვა გიორგი თარგამაძემ. „ქდმ“-ს ყოფილი ლიდერი ახლა ბიზნესშია. ბურჯანაძესთან გაერთიანების გამო პოლიტიკიდან წავიდა ლევან ვეფხვაძეც, გიორგი თარგამაძის თანაპარტიელი.

ახლა პოლიტიკურ ასპარეზს კახა კუკავაც ტოვებს. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება.

თითოეულ მათგანს პოლიტიკაში საკუთარი ბიოგრაფია აქვს.

თუმცა, ისეთებიც ბლომად გვყავს, ვისაც ბიოგრაფია არ აქვს და მხოლოდ ვაჭრობით იყო დაკავებული.

ისე, საინტერესოა, რომ ამ არჩევნებში და, ალბათ, პირველად არჩევნებში, ეგრეთწოდებული ეროვნული მოძრაობის ნარჩენ პარტიებს კენჭი არ უურიათ. აქვე ვიტყვი, რომ თამარ ჭავჭავაძე ერთადერთია, ვისაც პატივს ვცემ და პოლიტიკოსად მივიჩნევ. დანარჩენების პოლიტიკური ლიბერულება მაინც ვაჭრობას უკავშირდება.

მაგალითად, ედუ არც ერთმა პოლიტიკურმა ბლოკმა არ გაიკარა. ბევრი ივაჭრა ქარდავამ სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან თუ ცოტა, საბოლოოდ აბსაიტში დარჩა. მაინც როგორი იყო „სტავკა“ ამ არჩევნებში?

თუმცა, ამჯერად ვაჭრობა და ვაჭრები გვერდზე გადავდეთ და მნიშვნელოვან თემებზე გადავიდეთ.

ადგილობრივმა არჩევნებმა დიდ პოლიტიკაში სურათი ვერ შეცვალა. ძირითადი მოთამაშეები ისევ ქოცები და ნაცები არიან. მმართველ პარტიას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, საქართველოს მასშტაბით კოალიციამ 67% აიღო, ნაცებმა კი მხოლოდ – 13%.

მმართველმა კოალიციამ დამაჯერებლად გაიმარჯვა. ახალმა ხელისუფლებამ, ნინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, გაარისკა და მეორე არჩევნებზე ბარიერი 50%-მდე აწია. მარკ მალენმა პარალელი გაავლო ნინა ადგილობრივ არჩევნებთან და თქვა, რომ ნაციონალურმა ბარიერი მათივე კანდიდატის რეიტინგის მიხედვით დაახსენეს. მაშინ ორი ვარიანტი განიხილებოდა – 40% და 30%.



**მარკ მალენი: „თუმცა მათ არ უჩალიჩიათ“, რომ თავიანთი კანდიდატის 50%-ზე ნაკლები ხმა თუნდაც 51%-მდე აენიათ, აღიარეს მეორე ტური. ეს არის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნიშანი, განსხვავებით იმისგან, როდესაც მეორე ტური არ დაუშვან, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეორე ვადით სააკაშვილს მეორე ვადით ირჩევდნენ პრეზიდენტად...“**



ნაციონალურმა 30% არჩიეს.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მარკ მალენის განცხადებით:**

– ეს არჩევნები მორიგი ნინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების გზაზე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ამ მხრივ, 50%-იანი ბარიერია. ნინა არჩევნებზე, ყველა კვლევის მიხედვით, გიგი უგულავას რეიტინგი იყო 32% და მაშინდელმა უმრავლესობამ კანონში ცვლილება შეიტანა და ბარიერი 30%-მდე დაწია. ეს იყო ცინიკური უმრავლესობის მხრიდან. ამასთანავე, მოხდა ისე, რომ უგულავამ უკეთესი კამპანია აწარმოა, ვიდრე ირაკლი ალასანიამ. თუმცა ამ ცვლილებით მას თეორიულად მასივი ჰქონდა, იმ შემთხვევაშიც კი გაემარჯვა, თუ უფრო ცუდ კამპანიას აწარმოებდა. ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა საარჩევნო კოდექსი, ბარიერი 50%-მდე აწია და შემდეგ თავად „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვერ გადალახა ეს ბარიერი. თუმცა მათ არ უჩალიჩიათ“, რომ თავიანთი კანდიდატის 50%-ზე ნაკლები ხმა თუნდაც 51%-მდე აენიათ, მეორე ტური აღიარეს. ეს არის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნიშანი, განსხვავებით იმისგან, როდესაც მეორე ტური არ დაუშვან, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეორე ვადით ირჩევდნენ პრეზიდენტად და მაშინ არსებობდა ეჭვი, რომ მეორე ტური უნდა დანიშნულიყო.

**მისივე განმარტებით, ეს ის პირველი თვითმმართველობის არჩევნებია, როცა ადგილობრივ თვითმმართველობებს ექნებათ გარკვეული ძალაუფლება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალება:**

– ზოგადად, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არც ისე მნიშვნელოვნად ითვლებოდა, იმიტომ რომ ადგილობრივი ხელისუფლება, ფაქტობრივად, არანაირ ძალაუფლებას არ ფლობდა. ეს დამოკიდებულება თანდათან იცვლება, პირველად ისტორიამ ადგილობრივ თვითმმართველობებს გარკვეული ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნებათ. ეს არის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი.

**მარკ მალენის შეფასებით, საზოგადოებაში ნაკლები პოლარიზაციაა და ელექტორატი უკვე კანდიდატის უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული:**

– დიდი ხანია, რომელიც მოსახლეობასთან შეეხება, ისინი არ ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ამა თუ იმ პოლიტიკურ გუნდთან. ადამიანების პოლიტიკური ანალიზი უფრო პრაქტიკული გახდა. მათი განხილვის საგანია კონკრეტული კანდიდატის უნარ-ჩვევები, ვიდრე ის, თუ რომელ გუნდს წარმოადგენს ის. ეს ნინგადადგმული ნაბიჯია.

ერი 50%-მდე აწია და შემდეგ თავად „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვერ გადალახა ეს ბარიერი. თუმცა მათ არ უჩალიჩიათ“, რომ თავიანთი კანდიდატის 50%-ზე ნაკლები ხმა თუნდაც 51%-მდე აენიათ, მეორე ტური აღიარეს. ეს არის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნიშანი, განსხვავებით იმისგან, როდესაც მეორე ტური არ დაუშვან, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეორე ვადით ირჩევდნენ პრეზიდენტად და მაშინ არსებობდა ეჭვი, რომ მეორე ტური უნდა დანიშნულიყო.



# სოსო ცისკარიშვილი: „ინტერესი ახალი საკრებუ


ხათუნა მგალობლიშვილი

არჩევნების საბოლოო შედეგებამდე ჯერ მეორე ტურია ჩასატარებელი, თუმცა პოლიტიკური ძალების გადანაწილებაზე მსჯელობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს. არჩევნები რომ დემოკრატიული იყო, ამაზე არაფერია დასაბუთებული. არჩევნები შედეგების ბათილად ცნობას ითხოვენ, არც ეს არის ყურადღებაშიაქცევი, რადგან არჩევნებისადმი უნდობლობის დაფიქსირება, ნაგებული პოლიტიკოსების მხრიდან, მიღებული და რაც მთავარია, ყველაზე ძველი ხერხია.

კახა კუკავას „ოცნებას“ არაფერია შეუსრულებს. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მისი მოთხოვნა ხმების ხელახლა გადათვლასთან დაკავშირებით შესრულდა. სწორედ განმეორებითი ნულოვანი შედეგის მიღების შემდეგ მოითხოვა კუკავამ შედეგების არაღიარება. მის მხარი აუბეს შალვა ნათელაშვილი და ნინო ბურჯანაძე. პრინციპში, დანარჩენის პოზიციები გასაგებია, მაგრამ ბურჯანაძის მოთხოვნა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აღსაშფოთებელია. მართალია, ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, ბურჯანაძეს პრორუსულობის იარაღის მტრები აკრავენო, მაგრამ ფაქტია, რომ პრორუსული იმიჯის მქონე პოლიტიკოსმა გარკვეული მაჩვენებელიც დადო და დედაქალაქის საკრებულოშიც შევიდა. თანაც სამი კაცი.

წინასწარი მონაცემებით, თბილისის საკრებულოში „ქართულ ოცნებას“ 37 წარმომადგენელი ეყოლება, ნაციონალებს – რვა, ნინო ბურჯანაძეს – სამი, ირმა ინაშვილის პარტიას, ანუ „პატრიოტთა ალიანსს“ – ორი და ერთი ალექო ელისაშვილი. ექსპერტების ვარაუდით დაახლოებით ასეთივე შედეგები დაიდება დანარჩენ საკრებულოებშიც მთელი საქართველოს მასშტაბით. ანუ ისინი გამოწვევას, გორის გარდა, არსად არ ვარაუდობენ. რაც შეეხება გორს, იქ „ქართულ ოცნებას“ ირაკლი ოქრუაშვილი ებრძვის. ოქრუაშვილი „ქართული პარტიის“ მერობის კანდიდატს ყველა შეხვედრაზე პირადად დაჰყვებოდა და უფრო მეტად საკუთარი პიარით იყო დაკავებული, ვიდრე პარტიის ან თუნდაც კანდიდატის. მისი მთავარი დაპირება ნაციონალების სამაგალითოთ დასჯაა, ანუ სამართლიანობის აღდგენის დაპირება კარგად მოქმედებს.

მაჟორიტარების „ბედი“ ხმების საბოლოო დათვლის შემდეგ გამოვლინდება. წინასწარ პოზიციების დაფიქსირება არაფერია სურს. რაც შეეხება პროპორციულ სიას თბილისშიც და დანარჩენ საქართველოშიც პირველი სამეული უკვე გამოვლენილია: „ქართული ოცნება“ თბილისში 46,01%-ით ლიდერობს, დანარჩენი საქართველოს მასშტაბით კი 50,82% აქვს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“



## „შეიძლება გარდას ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება იმდენად მიუღებელი აღმოჩნდეს ამ ცამეტი ოპოზიციონერი კაციისთვის, რომ „ოცნების“ წინააღმდეგ გაერთიანდნენ კენჭისყრისას“

თბილისში 26,12% აიღო, ხოლო საქართველოს მასშტაბით პროპორციულ სიაში – 22,41%. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მისმა პროპორციულმა სიებმა თბილისში 10,35% შეადგინა, ხოლო დანარჩენ რეგიონებში – 10,22%.

დედაქალაქის საკრებულოს მსგავსად, ვარაუდობენ, რომ სიახლე დანარჩენ საკრებულოებშიც სწორედ ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები იქნებიან. როგორ შეიძლება შეცვალოს აღნიშნულმა სიახლემ პოლიტიკური განწყობები საკრებულოებში და რა საკითხებზე შეიძლება ითანამშრომლონ ნაციონალებმა და ბურჯანაძემ? ამ კითხვებზე ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– ახალი საკრებულოს წევრთა პარტიული კუთვნილება ორმაგი მიდგომის საფუძველი გახლავთ. ერთი მხრივ, ეს არის

წინვლა, როდესაც ერთი ან ორი პოლიტიკური ძალის გარდა, კიდევ სხვა ახალი პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ საკრებულოს შემადგენლობაში. თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ

„ოცნების“ 37 წევრი ოპოზიციის 13 წევრთან სერიოზული სხვაობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრებულოში არც ერთი კენჭისყრისას არ იქნება ოპოზიციის მოსაზრებები გათვალისწინებული. ამის ვალდებულება არ იარსებებს. თავისთავად არანაკლები წარმატება აქვთ არამმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებს სხვა რეგიონებშიც. როგორც ვიცი, ბათუმში თბილისზე უფრო მეტი სუბიექტია წარმოდგენილი. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში ინტერესი ახალი საკრებულოს მუშაობის მიმართ ძალიან მაღალი იქნება და იმედია, აქ მაინც ვნახავთ, „ნაციონალური მოძრაობის“ შედეგად რაზე იჩინებენ თუ არა მუდმივად თავის მართლების რეჟიმში ოცდამეცხრამეტეკაციანი „რაზმს“. მე მგონი, ამ დაპირისპირებამ უკვე გამოიწვია საკმარისი რეაგირება საზოგადოებაში და თუ ასე გაგრძელდება კინკლაობა მათ შორის, თანაც არასერიოზული მიზეზების გამო, დიდი ალბათობით, საპარლამენტო არჩევნების წინ პარტიები საზოგადოებაში ნდობას დაკარგავენ. ასეთ დროს შესაძლოა, უპირატესობა ამომრჩეველმა არაპარტიული, პროფესიონალი კანდიდატების სასარგებლოდ გააკეთოს.

– თუმცა ოპოზიციის ცამეტ კაცში, რომლებიც თბილისის საკრებულოში გავიდნენ, იგულისხმებიან, ერთად, ნაციონალები, ბურჯანაძე, ინაშვილი... ისინი ხომ ნაციონალებთან არ ითანამშრომლებენ?

– ცხადია, თუმცა შეიძლება გარდას ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება იმდენად მიუღებელი იყოს ამ ცამეტი ოპოზიციონერისთვის, რომ „ოცნების“ წინააღმდეგ გაერთიანდნენ კენჭისყრისას. თუმცა ბუნებრივია, იმასაც ვგვებობთ, რომ არც ეს ცამეტი ხმა ეყოფათ.

– რა საკითხი შეიძლება იყოს ისეთი, რომ ინაშვილი და ნაციონალები გაერთიანდნენ?



– მაგალითად, კენჭისყრაზე რომ დადგეს საკითხი, რომ არჩეულ მერს

**„ამომრჩეველს  
კარგად უნდა  
ახსოვდეს, რომ გაბუტვის,  
პროტესტის გამოსატვის,  
გაბრაზების ჟამი გავიდა და  
ახლა თუ არ იმოქმედებს,  
შედეგი ოთხი წელი  
იქნება უკეთესი იქნება, ცუდ  
ხასიათზე ყოფნა  
მოითმინოს“**

### პროპორციული



#### თბილისი

სულ 729 უმნიდან მონაცემები დათვლილია 723+6\* უმნის მიხედვით



#### საქართველო

სულ 3637 უმნიდან მონაცემები დათვლილია 3617+20\* უმნის მიხედვით



### 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საქართველოს მასშტაბით საკრებულოებში არჩეული მაჟორიტარების სტატისტიკა

კოალიციის მართლმადიდებელი ოცნება	77.31% (811 მაჟორიტარი)
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო	12.20% (128 მაჟორიტარი)
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	6.1% (64 მაჟორიტარი)
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის	2.67% (28 მაჟორიტარი)
არასაპარლამენტო თანხმობა (კახა კუკავა, შიშქარა ჩხარაძე)	0.38% (4 მაჟორიტარი)
საქართველოს აპარტიოტთა ალიანსი	0.29% (3 მაჟორიტარი)
ქართული პარტია	0.29% (3 მაჟორიტარი)
საპ. ძალთაშორის ვატიანაძე მოძრაობა	0.19% (2 მაჟორიტარი)
ლიბერალური პარტია	0.1% (1 მაჟორიტარი)
ქმე	0.1% (1 მაჟორიტარი)
სხვა	0.38% (4 მაჟორიტარი)

## გია ნოდია: „ახლა მთავარი კითხვაა, რამდენად შეიცვლება პოლიტიკური კონსერვაციის როლი და თანამშრომლობის პირობები“



თხეს. შესაბამისად, კარგად უნდა გაათვითცნობიერებინონ ამომრჩეველებს, რომ ნაციონალურ მოძრაობის საფრთხე არსებობს.

სოსო ცისკარიშვილისგან განსხვავებით, გია ნოდიას მიაჩნია, რომ ახლა ყველაფერი იმაზე დაბრუნდება, როგორი თანამშრომლობა გაგრძელდება პროდასავლურ ძალებს შორის. ექსპერტის განცხადებით, საფრთხე ისეთი პატარა რეიტინგის მქონე პარტიებისგან, როგორც ბურჯანაძესა და ინაშვილს აქვთ, გამოირიცხება. ნოდია აზრით, მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენიმე მაჟორიტარის საკრებულოში გაყვანა პოლიტიკურად არაფრისმთქმელია და მით უფრო, ვერ მოახერხებენ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას.

### გია ნოდია, ექსპერტი:

– პოლიტიური იყო ის, რომ ეს არჩევნები უფრო კონკურენტული აღმოჩნდა, ვიდრე წინა. რაც შეეხება შედეგებს, გააჩნია, რა საზომით გავზომავთ. ჩვენ რომ ვიყოთ ჩამოყალიბებული ქვეყანა, ვიტყვით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მართალია, მისმა რეიტინგმა დაიკლო, მაგრამ მან ყველგან გაიმარჯვა. თუ გავითვალისწინებთ მმართველი პარტიის გამოცხადებულ მიზანს, რომლის თანახმადაც ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ გაქრობას ვარაუდობდნენ, უნდა ითქვას, რომ ეს არ შესრულდა. პირიქით, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ თვითმმართველობის არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წინ გადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება მეორე ტურს, სავარაუდოდ, „ოცნება“ გაიმარჯვებს. ახლა მთავარი კითხვაა, რანდენად შეიცვლება პოლიტიკური კონკურენციის როლი და თანამშრომლობის პირობები. „ქართული ოცნება“ აქამდე არ აღიარებდა „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას, ან კიდევ უფრო აღარ მოახდენს ამის აღიარებას.

### როგორ ახსნით საკრებულოში ინაშვილისა და ბურჯანაძის შესვლას?

– ერთადერთი პარტია, რომელმაც „ქართული ოცნების“ შემცირებული რეიტინგით იხეირა, ეს ირმა ინაშვილის პარტიაა. ინაშვილის მომხრეები არიან ადამიანები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მკაცრ დასჯასა და აკრძალვას ითხოვენ. და მათ ემატება ამომრჩევლის ის რაოდენობა, რომლებიც გაღიზიანებულები არიან ზედმეტი პროდასავლური პოლიტიკით, შესაძლოა, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით. იგივე შეიძლება ვთქვათ ნინო ბურჯანაძეზე, მანაც იხეირა. ინაშვილისა და ბურჯანაძის მომხრეები ხელისუფლების პროდასავლურობით განზილბულები არიან.

ნაცვლად ოთხი წლისა ვადა გაუხადონ ოცი წელი.

### – როგორც ფიქრობთ, ინაშვილი და ბურჯანაძე რა კუთხით შეცვლიან საკრებულოს?

– მართალი გითხრათ, ჩემთვის დიდი სიმომგვრელია ბურჯანაძისა და ინაშვილის პრორუსული განწყობები. ეს იარლიყი მათ დიდი ხნის წინ მიაკერეს და პერიოდულად შეიძლება გამოიყენონ კიდევ საკრებულოში. თუმცა ჯერჯერობით ამის ნიშანს ნამდვილად ვერ ვამჩნევ და ვერც ამის პერსპექტივას წარმოვიდგენ. ვერ წარმოვიდგენ, რომ ამ ორი ძალიდან ვინმემ რუსეთის ინტერესი საქართველოს ინტერესზე მალა დააყენოს. ჩემთვის ეს გამოირიცხება. ხოლო იარლიყების მინება ვისი პროფესია იყო, კარგად გვახსოვს, სამწუხაროა, რომ იმ პროფესიონალებს ახალი პროფესიონალებიც შეემატებიან.

– ანუ თვლით, რომ ახალ საკრებულოში ბურჯანაძისა და ინაშვილის წინააღმდეგ პრორუსულობას გამოიყენებენ?

– რასაკვირველია, გამოიყენებენ, შიში ოპოზიციის მიმართ რას არ ათქმევინებს ადამიანს.

### – თბილისში მიღებული სურათის მიხედვით, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით იგივე წარმომადგენლობა იქნება საქართველოს დანარჩენ რეგიონებშიც, თუ შეიძლება რადიკალურად განსხვავებული შედეგები მივიღოთ?

– 15 ივნისის არჩევნების დემოკრატიულობის რამდენიმე მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი სწორედ შედეგების არდამთხვევაა. ანუ თბილისში საკრებულოს გადანაწილება რადიკალურად განსხვავდება მაგალითად, გორის მიღებული სურათისგან. ზოგადად, მეორეადგილოსნის გაპირველადგილოსნება იმ შედეგებიდან გამომდინარე, რაც დღეს არსებობს,

ადვილი წარმოსადგენი ნამდვილად არ არის, ასეთი შესაძლო პერსპექტივა შეიძლება გაჩნდეს გორში. იქ „ოცნების“ სერიოზული კონკურენტი ოქრუაშვილია. ვნახოთ, რა იქნება სხვა რეგიონებში. თუმცა ასეთი ფაქტი სხვაგან ნაკლებადაა მოსალოდნელი. თუმცა ამომრჩეველს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ გაბუტვის, პროტესტის, გაბრაზების ფაზა


გავიდა და თუ ახლა არ იმოქმედებს, შემდეგი ოთხი წელი იძულებული იქნება, ცუდ ხასიათზე ყოფნა მოითმინოს. შესაბამისად, ვისურვებდი, რომ აქტივობა რაც შეიძლება მეტი იყოს. ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოტივაცია მაღალი მაშინაა, როდესაც ისინი ხედავენ მათთვის არასასურველ საფრ-

**„მართალი ბითხრათ, ჩემთვის დიდილინ მოგვარელია ბურჯანაძისა და ინაშვილის პრორუსული განწყობები. ეს იარლიყი მათ დიდი ხნის წინ მიაკერეს და პერიოდულად შეიძლება გამოიყენონ კიდევ საკრებულოში“**

### არჩევნები 2014

#### საკრებულოებში არჩეული დეპუტატების რაოდენობა

საბარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“	67.6% (1391 დეპუტატი)
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	13.7% (281 დეპუტატი)
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის	7.2% (148 დეპუტატი)
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	2.3% (47 დეპუტატი)
საქართველოს ლიბერალური პარტია	1.5% (31 დეპუტატი)
არასაპარლამენტო ოპოზიციის (კ. შალვაშვილი, შ. ჩხიკვაძე)	0.7% (15 დეპუტატი)
საინიციატივო ჯგუფი	6.5% (134 დეპუტატი)
სხვა	0.5% (11 დეპუტატი)



**„ჩემი ამბობენ, ქართველი არ არისო, ამბობენ, რომ დაჭირილი ვიყავი, მერა თქვეს, გაქცეულიაო... ასეთი ხერხებით ცდილობენ ხმების წართმევას“**



**მერაბ  
თოფჩიშვილი:  
„კადრები რომ  
ჩანს ადამიანი,  
საერთოდ  
არ ვიცი, ვინ  
არის... ისიც  
კი არ ვიცი,  
ადგილობრივია  
თუ არა...  
როგორ  
შეიქცევა, ეს  
ადამიანი ჩემი  
ნათესავი იყო“**

**my View**  
საბუნების  
მეცნიერებათა  
კანდიდატი

მარნეულში, ოცდამეორე საოლქო კომისიის ორ უბანზე დაფიქსირებული არჩევნების გაყალბების ფაქტები გამოძიებულია. ბიულეტენების ჩაყალბების ბრალდება უკვე წარედგინა ცამეტ ადამიანს. დანარჩენების იდენტიფიკაციის პროცესიც მიმდინარეობს. ძიების მიხედვით, მათი უმრავლესობა ერთმანეთის ნათესავი და ახლობელია, ორი მათგანი კი - ნაციონალურების მხრიდან წარდგენილი დამკვირვებელი და აქტივისტი.

ინტერნეტში გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს პირი, რომელიც ყუთში სათითაოდ აგდებს ბიულეტენებს. უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ამ ადამიანმა კადრების გავრცელებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე დატოვა საქართველო, რაც თავისთავად კითხვის ნიშნებს აჩენს. უმრავლესობა დანაშაულის კვალს ნაციონალურად მიჰყავს, თქვენი დადგენილი სექტაკალია და მთავარ გმირს გაქცევის დრო თქვენვე მიეცითო. თავად ნაციონალური კი ირწმუნებიან, რომ ის პიროვნება მარნეულის „ოცნების“ კანდიდატის, მერაბ თოფჩიშვილის ნათესავია და სწორედ საკუთარი ნათესავის სასარგებლოდ მოქმედებდა საარჩევნო უბანზე.

გამოძიებამ ტელევიზიით გასული კადრების სრული ვერსია გაავრცელა, სადაც სხვა პირებიც მკაფიოდ ჩანან. ყველა მათგანი გამოფრულია. ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად გაყალბებაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები - ნემათ რუსთაშვილი, გუსეინ გალანდაროვი, ნოვრუზალ რაგიმოვი; დამკვირვებლები - ნურადინ ახერდ-იევი, რასიმ პირიევი, ტალეხ ბინატოვი; კომისიის თავმჯდომარე - მამედ პირიევი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მირამა მუსტაფაევი. გამოძიების თანახმად, ტელევიზიით გავრცელებული „ჩანაწერები“ არის მონტაჟი და არა ერთი მთლიანი ნაწილი, სადაც ნათლად ჩანს ციფრული დაშუქების კვალი.

შესაბამისად, მერაბ თოფჩიშვილი მარნეულის კანონიერ და გამარჯვებულ გამგებლად ითვლება.

**მერაბ თოფჩიშვილი, „ქართული ოცნების“ მარნეულის გამგებელი:**

- ის, რაც ტელევიზიით გავრცელდა, იყო სუფთა სექტაკალი და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. თქვენ, უურნალისტები, ძალიან ბევრ კადრს ნახულობთ და დარწმუნებული ვარ, მარნეულის საარჩევნო ოლქზე გადაღებული კადრების ნახვის დროს დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ ის პიროვნება პირდაპირ პოზირებდა კამერის წინ. არ არის ასე? ბევრი კითხვა მაქვს თავად, ფაქტი დაფიქსირებულია, თუმცა ისიც საინტერესოა, ვის სასარგებლოდ ყრიდნენ იმ ურნაში ბიულეტენებს. ეს ადამიანი კამერის წინ დგას და დემონსტრაციულად, სათითაოდ ყრის ბიულეტენებს ურნაში... ბუნებრივია, ეს ბევრ ვეზს აჩენს.

**- როგორც უმრავლესობა აღნიშნა, ამ ადამიანმა საქართველო დატოვა...**

- კადრებში რომ ადამიანი ჩანს, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის და გამოძიება თავის სათქმელს იტყვის.

**- ითქვა, რომ ის თქვენი ნათესავი იყო...**

- საერთოდ არ ვიცნობ, ისიც არ ვიცი, ადგილობრივი იყო თუ არა. როგორ შეიძლება, ის ადამიანი ჩემი ნათესავი ყოფილიყო?

**- თქვენი კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება უშუალოდ პრემიერმა მიიღო და განაცხადა, რომ ამით ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებას იცილებდა თავიდან. რეალურად იყო დაპირისპირების საფრთხე?**

- ვფიქრობ, პრემიერამდე არასწორი ინფორმაცია მიიტანეს. ბუნებრივია, ყველაფერი ნაციონალურების მიერ იყო დაგეგმილი. ხელის შეშლის ნებისმიერ გზას მიმართავდნენ. ისინი ეთნიკურ საკითხებზე ამბვილებდნენ ყურადღებას. ჩემზე ამბობდნენ, ქართველი არ არისო, ამბობდნენ, რომ დაჭერილი ვიყავი, თავად კანდიდატები დადიოდნენ, საარჩევნო ოლქებში შედიოდნენ და ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს მე დაჭერილი ვიყავი და ტყუილად არ მოეცათ ჩემთვის ხმა. სხვა კანდიდატზე ამბობდნენ, გულმა დაარტყა და მოკვდო... ასეთი ხერხებით ცდილობდნენ ხმების

წართმევას, პროვოკაციული გზებით და სიბინძურით უნდოდათ არჩევნების ჩატარება, თუმცა ჩვენ არ მივეციეთ ამის საშუალება.

**- ამ კონკრეტულ ფაქტებზე განცხადებას მაშინვე აკეთებდით?**

- მე ვხვდებოდი ხალხს, ისინი ხედავდნენ, რომ არც დაჭერილი ვიყავი და არც გაქცეული. ბუნებრივია, ამ ყველაფერს დამარცხების შიშით აკეთებდნენ, ჩვენ ძალიან დიდი რეიტინგი გვქონდა, პარტიასაც და პირადად მეც.

**- ითქვა, რომ თქვენი კანდიდატურის მოხსნა და მოგვიანებით თქვენი წინააღმდეგობა გათამაშებული იყო...**

- რეალურად პარტიის მიერ მიღებული ნებისმიერ გადაწყვეტილებას ყოველთვის პატივს ვცემდი და დღესაც პატივს ვცემ. როდესაც პრემიერმა განაცხადა, რომ ჩემი კანდიდატურა უნდა მოხსნილიყო, ცესკოს წარმომადგენლობამ მაშინვე დაადასტურა, რომ კანდიდატურა ვერ მოიხსნებოდა, რადგან უკვე დაგვიანებული იყო და სიამი მაინც დაგრჩებოდი. შესაბამისად, ცესკოს გადაწყვეტილებით, მე მაინც დაგრჩი კანდიდატად. საბოლოოდ კი სწორედ მოსახლეობამ და ხმებმა გადაწყვიტა ყველაფერი. ჩვენმა ხელისუფლებამ კი საზოგადოების აზრი გაითვალისწინა და დამტოვა.

**- შეზინაღმდეგების გამო საყვედური ხომ არ მიგიღიათ პარტიისგან?**

- არა, ყოველ შემთხვევაში, მარნეულში ჩვეულებრივად ვაგრძელებდი აქტიურობას და ამის გამო არავის არავფერი უთქვამს, არც პრობლემები შემქმნია, უბრალოდ, ამომრჩევლის ხმები დაკარგე, ბუნებრივია.

**- რა რაოდენობის ხმები დაკარგეთ?**

- ამის თქმა ძნელია, ვერ ვიტყვი. თანაც ხმების დაკარგვის სხვა მიზეზებიც იყო. ეს ფაქტი ნაციონალურმა სათავისოთ გამოიყენეს, ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს მარნეულიდან გავიქეცი, რადგან არჩევნებიდან მომხსნეს. ათასი ქორი და ათასი უბედურება გამიცრცელეს.

**- ხომ არ აპირებთ, სარჩელი შეიტანოთ ოპონენტების წინააღმდეგ, ვინც ღებინფორმაციას გივრცელებდა?**

- ვნახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.



# „საზოგადო არ დარჩით,

**my View**  
საბუნების  
მეცნიერებათა  
კანდიდატი

კორკოტამ პირობა შეასრულა: თვითმპრთველობის არჩევნებზე მას მერობის საკუთარი კანდიდატი არ ჰყავდა და, შესაბამისად, ხმა დავით წარმანას მისცა. თუმცა წარმანა თვით კორკოტაშვილის ხმარდაჭერმაც ვერ გადაარჩინა და მეორე ტურის წინ ისევ თავად რადიონამყვანი აქტიურობს. ამჯერად ის ძირძველ თბილისელებს, ჯიგრებს, თბილისური გაგების შქონე ადამიანებს, ვაკე-ვერის მაცხოვრებლებსაც კი მოუწოდებს, მეორე ტურისთვის სახლში არ დარჩენენ და ხმა მხოლოდ და მხოლოდ წარმანას მისცენ. ბუნებრივია, კორკოტას ასეთი უცნაური თავდადება გაცხადებს ინვესტ, რადგან ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს მისი კრიტიკა არათბილისელების მისამართით. არ არის გამორიცხული, კორკოტაშვილს აზრი სწორედ წარმანასთან შეხვედრის შემდეგ შეეცვალა. შეხვედრის დეტალები აქამდე არ განმარტებულია, თუმცა, როგორც ირკვევა, სწორედ ამ შეხვედრის დროს დაითანხმა კორკოტამ წარმანა სპეციალური საბჭოს შექმნაზე. საბჭო დედაქალაქის ხელისუფლებას მკაცრად გააკონტროლებს.

იცოცხლე დაღეს ისეთი ძალა ითვლება, რომელიც აუცილებლად ატყენდა საქვეყნოდ კვირის. ცალკეულ უბნებზე შეიძლება ვილაცხა რაღაცას ჩალონობდა, ანგლოზი არავინ არის, მაგრამ საერთო მასშტაბით თვითმპრთველობის არჩევნები აღიარა როგორც დასავლეთმა, ასევე აღმოსავლეთმა, ჩრდილოეთმა და სამხრეთმა.

**- ადრე ამბობდით, თუ საკუთარი კანდიდატი არ გვეყოლება, წარმანას მივცემ ხმასო. ახლა განაცხადეთ, ხმა იმას მივეცი, ვისაც მნამს და მჯერაო, ასეთია წარმანა?**

- წარმანას ვენდობი და რადგან გუნდური თამაშის პრინციპი იყო, ჩავთვალე, რომ მას უნდა დავეგმომოდი გვერდით. ისე მეგობრობა, ნაცნობობა და ახლობლობა ყველა კანდიდატთან მქონდა, დისკუსიამაც შევსულვარ მათთან და ჩემი მოსაზრებებიც ამიხსნია.

**- არ გვეტყვი, ხმა ვის მივცით?**

- ხმა მივეცი დავით წარმანას.

**- თქვენმა მხარდაჭერამაც ვერ გადაარჩინა წარმანა... როგორი ფიქრობთ, როგორი შანსები აქვს მეორე ტურში?**

- ამის ანალიზი ძალიან რთულია. ყველა ადამიანს შეუძლია, დააფიქსიროს თავისი აზრი, თავისი სიმპათიები. ამ მიმართულებით ზოგი ლოგიკურად ფიქრობს, ზოგი ემოციურად. მე ერთი რამის თქმა შემიძლია, არჩევნებში მოიტანა ის შედეგი, რაც არის დღესდღეობით: კომუნიკაცია საზოგადოებასა და დღევანდელ ხელისუფალს შორის ცოტად დამორყეულია. რატომ მოხდა ეს? ამაზე უმჯობესია, თავად ხელისუფლებამ იფიქროს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ძალიან ძნელია, გამოიჩინო ისეთი ნიჭიერება, რომ ორ წელიწადში ასეთი მხარდაჭერა და ასეთი დონის ნდობა ასე შეამცირო. არავის თავს არ ვახვევ, მაგრამ ახსენი, რატომ მოხდა ასე: საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებას აზრს იყო განაწყენებული, სახლში დარჩა; ელექტორატი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთგულია და ყოველთვის მათ აძლევს ხმას, დღევანდელ დღესაც ერთგულად ემსახურება მათ; ამომრჩ-

**„მართლმ  
პარტიას,  
ბუნებრივია,  
თავისი ადგილი უნდა  
ქმონდეს, მაგრამ არიან  
თბილისისთვის უფრო მეტნი  
გამაქმებლები, ვიდრე „ოცნების“ წევრები“**



# ეპას მოვუწოდებ – სახლში თორემ ვაპა მოვივით, ვაპა!



„თუ თბილისელები  
გაიზუტებით და  
არჩევნებზე არ  
მიხვალთ, ჩათვალთ,  
რომ „ნაციონალური  
მოძრაობის“ ნისქვილზე  
დაასხამთ წყალს“

**გიორგი კორკოტაშვილი:**  
„ნარმანია  
მზად არის,  
საზოგადოებრივი  
საბჭო აირჩიოს,  
სადაც  
ღვანულადი,  
პროფესიონალი  
თბილისელები  
შევლენ და  
საზოგადოების  
საერთო  
მოთხოვნებს  
გააბტარებენ“

ველის ის ნაწილი, რომელიც ნიპილი-სტურადაა განწყობილი და ახალ ხელი-სუფლებშიც ვერ დაინახა დადებითი, უბრალოდ, არ მივიდა არჩევნებზე. ამან სერიოზული როლი ითამაშა ხმების გა-დანაწილებაში. გარდა ამისა, გამოჩნდნენ პარტიები, რომლებიც მონაწილეობ-დნენ ნიპი ბურჯანაძის, კახა კუკავას, „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით. ეს ადამიანები გამოვიდნენ არჩევნებზე და პრაქტიკულად ხმების ის რაოდენ-ობა აიღეს, რომელიც ეკუთვნოდათ. ამ პარტიებს თავისი ელექტორატი ჰყავთ. ადამიანებს მოსწონთ ამ პარტიების კუ-რსი, მიმდინარეობა, რწმენა, ეს ყველაფ-ერი ემთხვევა მათ ხედვას და ამიტომაც

აძლევენ ხმას. ხმების ის ნაწილი, რომე-ლიც „ოცნებას“ დააკლდა, სწორედ ამ პარტიებზე გადაწინადა. რაც შეეხება მეორე ტურს, კარგია, რომ ესეთი რამ დაფიქსირდა, პრინციპში, სილა გაან-ნეს ხელისუფლებას. მთლად ისე „და-ვარცხნილად“ არ არის საქმე. ქალაქში, სადაც ტირანების ძალიან დიდი კასტა დამარცხდა ნაციონალების სახით, დღე-ს „ოცნების“ კანდიდატი, დავით ნარმ-ანია 46%-ს არ უნდა იღებდეს. აქ არის ერთადერთი მომენტი – ხალხის ჩართ-ულობა იყო ძალიან დაბალი, რამაც მათი ნიპილისტური განწყობა გამოიწ-ვია. მე პირადად ჩემს თბილისელებს მოვუწოდებ: დღეს, როდესაც მეორე ტური დაინიშნა, სადაც ერთმანეთის პირისპირ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ დგანან, მხარი „ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ. თბილ-ისელებმა თავიანთი აზრი უკვე დააფ-იქსირეს მეორე ტურის დაინიშნით. ეს ძალიან კარგია, მაგრამ დღეს ორი ჯგუფი აღმოჩნდა ერთმან-ეთის პირისპირ და ადამიანებმა გონივრულად უნდა განსაჯონ, ვის მისცენ ძალაუფლება. თუ თბილისელები გაიზუტებით და არჩევნებზე არ მიხვალთ, ჩათვალთ, რომ „ნაციონალ-ური მოძრაობის“ ნისქვილზე დაასხამთ წყალს. ვილაცხამ შეიძლება თქვას, არც „ოცნე-ბამ“ გაამართლაო, მაგრამ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, აქ სა-უბარი სხვა რამეზეა; როდესაც ხელისუფალთან ერთიერთზე და-ვრჩებით, როდესაც ძალაუფლება მთლიანად „ოცნებას“ ექნება, უკვე შე-მდეგ მოვთხოვთ პასუხს. ახლა კი მათ შეიძლება გვითხრან, რა ვქნათ, ვერ ვაკონტროლებთ სასამართლოს, ვერ ვაკონტროლებთ მერიასო. დავეხმარ-ოთ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებ-ის მთლიანად აღებაში, ამ შემთხვევაში ისინი ხალხის წინაშე მარტო აღმოჩნ-დებიან და უკვე შემდეგ ბოლომდე მო-ვთხოვოთ, ის, რაც ჩვენი მოსათხოვია. გაბუტვით საქმე არ გამოვა.

– გვერათ, რომ ამის შემდეგ შეა-სრულებენ თქვენს მოთხოვნებს?  
– ეს სხვა საკითხია. ამ კითხვას დავს-ვამ მას შემდეგ, რაც ხელისუფალი სრ-ულ პასუხისმგებლობას აიღებს საკუ-თარ თავზე და მარტოდმარტო დარჩ-ება ხალხთან. ახლა ხელისუფლება იმით მანიპულირებს, რომ ნაციონალები კი-დევე არიან ხელისუფლებაში და მათ ვერ აკონტროლებენ. არავის ვაშინებ, მაგრ-ამ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს ნაციონ-ალების რეჟიმისდროინდელი უბედურ-ებები. ხვალისდელი დღისა ხვალ ვილა-პარაკოთ. თუ ახალი ხელმძღვანელობა ისე არ მოიქცევა, როგორც საჭიროა, რისი ფრამენტებიც უკვე გამოჩნდა,

იას გამეგრების შემთხვევაში ვიცე-მე-რი აუცილებლად ნამდვილი თბილის-ელი უნდა იყოსო...  
– იგივე აზრზე ვარ ახლაც, ბატონ და-ვით ნარმანიასთან მქონდა საუბარი ამ საკითხზე და მას კიდევ აუფხვნი ეს. მი-ვახვედრე, რომ ასე უფრო პარამონიული და კარგი იქნება თავად დედაქალაქისთ-ვის და წამგებიანი პარტიული ინტერე-სების მიხედვით მოქმედება. არჩევნების დან ჩამოსულები თამაშობენ ხოლმე, ამ შემთხვევაშიც უნდა შედგეს გუნდი, მმ-ართველ პარტიას, ბუნებრივია, თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ არიან თბილისისთვის უფრო მეტის გამკეთებ-ლები, ვიდრე ოცნების წევრები. ამომავ-ალი წერტილი ხომ არ არის სიტყვა „ქა-რთული ოცნება“? ამომავალი წერტილი უნდა იყოს საქართველო და ის, თუ რა იქნება მისთვის კარგი.  
– რა რეაქცია ჰქონდა თქვენს ინ-იციატივაზე ნარმანიას?  
– ნარმანია ამაზე დამეთანხმა და თქვა, რომ მართალია ასეთი მოსა-ზრება. შეიძლება მოვლენებს გა-ფუხსრო, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ნარმანია მოიგებს ამ არჩევნებს და ამიტომ ვიტყვი, ნარმანია მზად არ-ის, საზოგადოებრივი საბჭო აირჩ-იოს, სადაც ღვანულადი, პროფ-ესიონალი თბილისელები შევლენ და საზოგადოების საერთო მოთხოვნებს გაატარებენ. საბჭო შეიქმნება იმ მიზ-ით, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც მერიაში იმუშავებს და პირველ რიგში ხელმძღვანელობას, არ მისცეს შეცდ-ომის დაშვების საშუალება.  
– ანუ ძალაუფლება ექნება საბჭ-ოს?  
– რა ექნება და რა არ ექნება, ეს არ ვიცი, მაგრამ მეფეები გლეხურად გა-დაცემულები დადიოდნენ, რომ გაეგოთ, ხალხში რა ხდებოდა და მერიაში რომ საბჭო შეიქმნას საზოგადოების აზრის ხელმძღვანელობამდე მიტანის მიზნით,

მგონი, გენიალური იქნება.  
– თქვენ იქნებით ამ საბჭოში?  
– მე ვიქნები თუ არა ამ საბჭოში, არ ვიცი, ჩემზე ათი ათასჯერ მაგარი ბი-ჭები, პროფესიონალები, ხანმოშული ადამიანები არიან. ამ საბჭოში უფრო ხევისბერები შევლენ.  
– როდის შეხვდით ნარმანიას?  
– ზუსტად არ მახსოვს, არჩევნ-ებამდე, როცა მისი წინასაარჩევნო კამპანია იწყებოდა. მაინტერესებდა, როგორი ხედვა ჰქონდა მას თბილის-ის განვითარებაზე. მას თავისი გეგმა და არგუმენტები აქვს. არის თემები, რომელიც პროფესიონალებთან ერ-თად უნდა გაიარონ, მაგრამ არის თე-მები, მაგალითად, საზოგადოებრივი, კულტურული თემები, რომელიც მან ხალხთან ერთად უნდა გაიაროს. თბ-ილისელებს მოფერება გვჭირდება, იგივე ფუთხარი ზუსტად ნარმანიას. ხომ არ შეიძლება, თბილისელებზე სულ ისაუბრონ, თითქოს ჩვენ კასტა ვართ? ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენთვის. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ვილაცხაზე მეტი ვართ, მაშინ ადგენენ და მოგვ-ბაძიონ.  
– როგორ ფიქრობთ, რატომ მისცა ხმა ივანიშვილმა ნატანაშვილს და ხომ არ იყო ეს მარგველაშვილის მწარე გა-მოცდილების შემდეგ თავის არიდების მცდელობა?  
– ასეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილე-ბებს მე ვერ შევაფასებ. ვფიქრობ, ივან-იშვილი, უბრალოდ, ნატანაშვილს ჩანერი-ლი და იქ ამიტომ მისცა ხმა.  
– თუმცა საპრეზიდენტო და საპა-რლამენტო არჩევნებისას ის თბილის-ში იყო ჩანერილი...  
– ბიძინა ივანიშვილი არ მგონია, ის კაცი იყოს, თუ ნარმანია არ მოენონება, ეს ხმა მალა ვერ თქვას, როგორც ეს მა-რგველაშვილის შემთხვევაში გააკეთა. იგივეს იტყვის ნარმანიას შემთხვევაშიც, თუ მისი რომელიმე ნაბიჯი არ მო-ენონება. თუმცა ჯერ წინ მეორე ტურია და ის უნდა მოვიგოთ. საზოგადოებას მოუწოდებ – სახლში არ დარჩეთ, თო-რემ ვავა მოგვით, ვავა!

**„თბილისელებს  
მოვუწოდებ:  
დღეს, როდესაც  
მეორე ტური  
დაინიშნა,  
სადაც  
ერთმანეთის  
პირისპირ  
„ნაციონალური  
მოძრაობა“  
და „ქართული  
ოცნება“  
დგანან, მხარი  
„ოცნებას“ უნდა  
დაუჭიროთ“**

**„მონანილოვა  
მივიღე  
არჩევნებში და ჩემი  
აზრი ღვაწიქსირა,  
რისიც მნამდა და  
მჯეროდა, იმას  
მივეცი ხმა... ხმა  
მივეცი ღვაწით  
ნარმანიას“**

**„საბჭო შეიქმნება იმ მიზნით, რომ თითოეულ ადამიანს,  
რომელიც მერიაში იმუშავებს, და პირველ რიგში  
ხელმძღვანელობას, არ მისცეს შეცდომის დაშვების საშუალება“**

## „მთავარია, პო



## „ადრე აღვიღო კონდა დანაშაულის დამალვას, დღეს პრესა სრულიად თავისუფალია“

ძლოა, გაჩნდა მოსაზრება, ხომ არ მოიმატა მსუბუქმა დანაშაულმა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის საფუძველზე. რეალურად, გვახსოვს დრო, როდესაც ნაკლებად მძიმე დანაშაულების ჩამდენების მიმართაც აღმკვეთი ღონისძიების სახედ პატიმრობა რჩებოდა. „ნაცმოძრაობა“ ახდენდა ყველას იზოლირებას სასჯელალსრულების დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინა ამა თუ იმ ადამიანმა. ისინი ქმნიდნენ ფონს, რომ ქუჩაში წვრილმანი ხულიგანიც, შესაძლოა, აღმოჩენილიყო სასჯელალსრულების დაწესებულებაში. შიში იყო, როგორც პოლიციის მიმართ, ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში, საპატიმრო დაწესებულებაში აღმოჩენისა. გახსოვთ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აქტიურად კონტროლდებოდა პრესა. ის ტელემუხრებლები, რომლებიც დღეს დანაშაულზე საუბრობენ, ორი წლის წინ ვერ გაბედავდნენ ვინდუფირზე დაფიქსირებული დანაშაულის ჩვენებას საინფორმაციო გამოშვებებში. ამიტომაც, როდესაც დღეს გათავისუფლდა მედია ზენოლისგან, უფრო მეტად აქვთ საშუალება მედიის წარმომადგენლებს, დააფიქსირონ და გააშუქონ კონკრეტული ფაქტები. ამავდროულად, კონკრეტულ ფაქტებზე საუბრის შიში აღარ აქვს თავად მოსახლეობას. მიმაჩნია, რომ იმ მონაცემების საფუძველზე თუ ავიღებთ დღევანდელ მონაცემებს, დავინახავთ, რომ კლება დაფიქსირებულია. შსს-მ უნდა შეიმუშაოს პრევენ-



**„ნაციონალური მოძრაობა“ შეგნებულად ცდილობს მეტად ისაუბრონ კრიმინალის გაზრდაზე, რომ უკმაყოფილების განცდა დაუგროვდეთ ადამიანებს, რათა შეიქმნას ფონი, თითქოს უმართავია ქვეყანაში პროცესები...“**

ნანა შონია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2014 წლის 5 თვის და მაისის თვის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა. როგორც განცხადებამია აღნიშნული, დანაშაულის მაჩვენებელმა 13,63%-ით იკლო.

2014 წლის 5 თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 11 912 დანაშაული, აქედან 7 932 დანაშაული გაიხსნა. დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი 66,59%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულმა 9,86 %-ით იკლო.

2014 წლის მაისის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2 250 დანაშაული, აქედან 1 388 დანაშაული გაიხსნა. დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი 61,69%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით და-

ნაშაულის პროცენტული კლებაა -13,63 %.

ამ ციფრების მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კვლავ აქტიურად ისაუბრობენ ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის ზრდაზე. როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში ექსპერტი კახი კახიშვილი ამბობს, შსს მონაცემებში ეჭვის შეტანის საფუძველი ამ შემთხვევაში არ არსებობს.

**კახი კახიშვილი, ექსპერტი:** - შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის შესაბამისად, სახეზეა დანაშაულის კლება. სიმართლე გითხრათ, რის საფუძველზე უნდა შევიტანო ამაში ეჭვი, ისე, როგორც ამას აკეთებს „ნაციონალური

მოძრაობა“, ჩემთვის გაუგებარია. მით უმეტეს, როდესაც ჩვენ გვაქვს ციფრები და არ გვაქვს ის პარამეტრები, რომლითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს. მეტიც, ბოლო პერიოდში ისმის განცხადებები, რომ თურმე „ნაცმოძრაობის“ დროს დანაშაული არ ხდებოდა. ამაზე არაერთხელ დავსვი კითხვა - თუ დანაშაული არ ხდებოდა მათი მმართველობის პერიოდში, რის საფუძველზე გავედით პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილზე ევროპაში და რეკორდსმენები გავხდით მსოფლიოში? ვინაიდან მიდგომა შეიცვალა და „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში არსებულმა ნულოვანი ტოლერანტობის ეპოქამ ჩაიარა, შესა-

**„კარგი იქნება თუ საპატრულო ეკიპაჟები, განსაკუთრებით კი ღამის საათებში, ცენტრალური ქუჩების შემოვლებით არ შემოიფარგლებიან და უბნების სიღრმეებშიც განახორციელებენ პატრულირებას“**



**„ბოლო პერიოდში ისმის განცხადებები, რომ თურმე „ნაცმოძრაობის“ დროს დანაშაული არ ხდებოდა. ამაზე არაერთხელ დავსვი კითხვა - თუ დანაშაული არ ხდებოდა მათი მმართველობის პერიოდში, რის საფუძველზე გავედით პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილზე ევროპაში და რეკორდსმენები გავხდით მსოფლიოში?“**

# შაჰულა 13,63%-ით იკლო

## ლიცია არ დაეალოს დანაშაული



### EXCLUSIVE

## „შს სტატისტიკაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს“



**„ეს არის ცნობილი ტექნოლოგია, როდესაც გინდა წარმოაჩინო ხელისუფლების უუნარობა, მაქსიმალურად უნდა გააშუქო ნეგატივი, რომელიც სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუტებს მიაყენებს ჩრდილს“**

ბით კი ღამის საათებში, ცენტრალური ქუჩების შემოვლებით არ შემოიფარგლებიან და უბნების სიღრმეებშიც განახორციელებენ პატრულირებას. ეს ასევე ეხება შსს-ს კრიმინალურ სამსახურსაც.

- ამხელა ინტერესი, მსგავსი ფაქტების გაშუქებისადმი, ბუნებრივად ნევს თუ არა დანაშაულის ზრდის ფონს საზოგადოებაში?

- ბუნებრივია. ეს არის ცნობილი ტექნოლოგია, როდესაც გინდა წარმოაჩინო ხელისუფლების უუნარობა, მაქსიმალურად უნდა გააშუქო ნეგატივი, რომე-

ლიც სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუტებს მიაყენებს ჩრდილს. კარგად გახსოვთ ეს ტექნოლოგია მუშაობდა 2000-დან 2003 წლამდე. როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო იმ მთავრობის უუნარობის ჩვენება, რომლის შემადგენლობიდან თვითონ გამოვიდა შევარდნაძის ხელისუფლებისგან. დღეს, ვფიქრობ, არ უნდა მივცეთ საშუალება პრესას, ჩაიკეტოს და აღარ გააშუქოს ასეთი ფაქტები. ძალიან კარგია, თუ შედიასაშუალებას აქვს სურვილი, ყოველდღიური უბედური შემთხვევით დაიწყოს კონკრეტული საინფორმაციო საშუალება და ქელებიდან ანარმოს პირდაპირი ჩართვები, ეს მათი არჩევანია, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა ჩაერიოს ამ საკითხში. იმ ადამიანებისთვისაც კი, რომელთაც სურვილი აქვთ რაღაც ტიპის დანაშაულის ჩადენისა, საჭიროა იმის დემონსტრირება, რომ პოლიცია აკონტროლებს სიტუაციას და უნდა დაიწყო მასობრივი პატრულირება. გარდა ამისა, მიდგომა საპროცესო შეთანხმებებზე უნდა იყოს კონკრეტული კრიტერიუმებით გაჯერებული, რადგანაც ჩვენ სახეზე გვაქვს, ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთი მაგალითები, როდესაც ადამიანს, რომელიც პირველად ჩადის დანაშაულს, პროკურატურა კი საპატიმრო სასჯელს ითხოვს და არის შემთხვევები, რომ პროკურატურა პატიმრობაზე უარს

აცხადებს. ზოგჯერ ეს მიდგომა არ არის სამართლიანი. არის შემთხვევა, როდესაც პოლიციელი ფორმაში დაასრულებს უფლებამოსილებას და ჰქონდა მცდელობა, მოჩხუბრები გაეშველებინა ქალაქის ცენტრში, ამ პოლიციელს რომ ეს ადამიანები აყენებენ მძიმე ხარისხის დაზიანებას და შემდეგ სასამართლო მათ მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებით შემოიფარგლება, აქ კარგად გაანალიზებული უნდა იყოს კონკრეტული მოტივები.

- ყველაზე მეტი განცხადება, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებაზე მაინც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან კეთდება...

- „ნაციონალური მოძრაობა“ ნებისმიერი საკითხის კომენტარებისას ცდილობს, რომ მისთვის სასარგებლო პოლიტიკური კონტექსტი იპოვოს. ისინი, ნებისმიერი საკითხის კომენტარებისას გამოდიან პირადი ინტერესებიდან. დღეს მათი მიზანი არის, რაც შეიძლება მეტად ისაუბრონ კრიმინალის გაზრდაზე, რომ უკმაყოფილების გრძობა დაუგროვდეს ადამიანებს, რომ შეიქმნას ფონი თუ რა უმართავი პროცესებია ქვეყანაში. ეს არის ის ცნობილი ხერხი, რომელსაც იყენებდა „ნაციონალური“ 2003 წლამდე. არ მინდა ისე მოხდეს, რომ ხელისუფლებაში აღმოჩნდეს როდესაც რევოლუციური ტალღა. ჩემთვის მთავარია, პოლიციამ დანაშაულის დამალვა არ დაიწყო.

(ციული ღონისძიებები - ნაკლებად მძიმე დანაშაული, ქუჩის დანაშაული (ამაში ვგულისხმობ, როგორც ხულიგნობას, ასევე სხეულის სხვადასხვა სა-

ხის დაზიანებას), პრევენციული ღონისძიებები, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი რამ. ალბათ, კარგი იქნება თუ საპატრულო ეკიპაჟები, განსაკუთრე-

# თბილისში გველები მომრავლდნენ?

სალომე გოგობია

ბოლო ხანებში საზოგადოება დედაქალაქში გველების მომრავლების შესახებ ალაპარაკდა. ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ ბევრი ადამიანი შეაშფოთა. მით უმეტეს, რომ შარშანდელთან შედარებით, წელს აშკარად ცხელი ზაფხული დაგვიდგა. შესაბამისად, სიცხის დროს უფრო დიდი ალბათობაა, რომ სადმე გველს გადავეყაროთ.

რა მდგომარეობაა დედაქალაქში, აქვს თუ არა მოსახლეობას პანიკის საფუძველი, ძირითადად რომელ უბნებში გვხვდება ქვეწარმავლები, ამის გასაგებად „პრაიმტი-აიმი“ შინაური და გარეული ცხოველების კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსს თემურ ფხალაძეს ესაუბრა.

ჩვენი რესპონდენტის თქმით, ზაფხულის დადგომასთან და სიცხის მატებასთან ერთად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოსახლეობის ზარები საგრძნობლად გაიზარდა.

**- ბატონო თემურ, მართლაც მომრავლდნენ თუ არა გველები დედაქალაქში?**

- ეს სამსახური ორი წელია, რაც შეიქმნა. მოსახლეობა რაც მეტად იგებს, რომ არსებობს, რა თქმა უნდა, მეტი გამოძახებაც არის. ტემპერატურის მომატებასთან ერთად გველებიც გააქტიურდნენ. შესაბამისად, მოსახლეობის მხრიდან ზარებმაც იმატა. თუმცა, საგანგებო სიტუაცია არ არის.

**- ძირითადად რომელი უბნებიდან ხდება გამოძახება?**

- მეტ-ნაკლებად, დედაქალაქის ყველა უბნიდან. თუმცა, გარეუბნებში უფრო მეტად. ამას წინათ შემთხვევა იყო ნუცუბიძეზე, სადაც გველი საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულზე, აივანზე იპოვეს. ანკარის ჯიშის იყო. არის გამოძახებები თბილისს დაქვემდებარებული სოფლებიდანაც. რამდენიმე დღის წინ კოჯრიდან დარეკეს. ჩვენი თანამშრომლები რომ მივიდნენ, გველი აღარ დახვდათ. მოსახლეობას ხევში უნახავს და დარეკეს.

**- ამ დრომდე რამდენი გამოძახება გქონდათ?**

## ტექნიკური მომართვასთან ერთად გველებიც ბააქტიურდნენ

- დაახლოებით, 270 გამოძახება იყო. აქედან, დაახლოებით 120-150 გველია დაჭერილი. არის შემთხვევები, როცა გველი ჰგონებიათ, შემინებულეს დაურეკავენ და ადგილზე ხელიკი უპოვიათ. ჩვენი თანამშრომლები მოსახლეობას ადგილზე უტარებენ ინსტრუქტაჟს თუ როგორ უნდა მოიქცნენ.



„დაახლოებით, 120-150 გველია დაჭერილი“

გილები თუ არის, სადაც შეიძლება თავი შეაფარონ, ეს ადგილი უნდა გაასუფთავონ, რომ გველი ვერ შეძვრეს.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომელ არნო ბაგრამოვს თითქმის ყოველდღე უწევს გამოძახებებზე გასვლა.

- წინა წელს ვარკეთილში გვექონდა გამოძახება. გველი მეთხე სართულზე იყო, ფანჯრის რაფაზე. პატარა ზომის, არაშხამიანი იყო. წელს გამოძახებების რაოდენობა გაიზარდა. შარშან მაინცდამაინც ცხელი ზაფხული არ გვექონდა, როგორც წელს. ადგილზე მისულები მოსახლეობას ვეუბნებით როგორ უნდა მოიქცნენ. არის შემთხვევები, როცა გველებს საკუთარ სახლშიც პოულობენ, ბასეინებში, ბაღებში, სარდაფებში. ასეთ დროს არ უნდა შეეხოთ, დარეკონ 112-ზე. დროულად მივიღვართ.

**- გველი ხშირად ჰყოფს ენას, რაზე მიგვანიშნებს ეს?**

- გველი პატარა მანძილზე კარგად ხედავს. შორს მოძრავ საგნებს ვერ ხედავს. ენის გამოყოფით ადამიანის მიერ

**EXCLUSIV**



- ალბათ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ გველს თავს არ უნდა დაესხა. უნდა მოერიდო და 112-ზე დარეკო. ჩვენი თანამშრომლები ოპერატიულად მოახდენენ რეაგირებას.

**- ალბათ, მათი მომრავლების ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია საცხოვრებელ სახლებთან არსებული ბალახებიც...**

- რა თქმა უნდა, გველისთვის ბალახი ერთ-ერთი კარგი ადგილია, მაგრამ უფრო დანგრეულ, მიტოვებულ შენობებში ბუდობს, სარდაფებში. ეზოში ისეთი ად-

გამოყოფილ სიტოხს გრძნობს. ასევე, ენის გამოყოფის დროს ყოველთვის აკონტროლებს გარემოს ტემპერატურას, წვიმა იქნება თუ არა. ერთი სიტყვით, კლიმატს აკონტროლებს. ენას ედება პატარა მიკრობები, რომელიც გველს ინფორმაციას აძლევს რა ხდება, როგორი ამინდია, სად არის საჭმელი. ამიტომ, გველი მოძრაობისას ყოველთვის ენას გამოყოფს. მზიან ამინდში ენით პოულობს გრილ ადგილს, სად დაიმალოს ადამიანებისგან.

**- როგორ უნდა მოვიქცეთ გველის დაკბენის შემთხვევაში? რა რჩევებს მისცემთ მოსახლეობას?**

- თბილისში შხამიანი გველი ჯერ არ დაფიქსირებულა. თუ არაშხამიანი დაკბენს, პრობლემა არ არის. მესმის, ეს ძალიან დიდი შოკია, მაგრამ ასეთი ნაკბენი საშიში არ არის.

**- და როგორ უნდა მივხედოთ შხამიანმა გველმა დაგვინა თუ არა?**

- მერნმუნეთ, ამის გაგება ძალიან ადვილია. უშხამო გველის დაკბენის დროს ადამიანს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ათასობით ნემსი შეერჭო. უშხამოს ენაზე ძალიან ბევრი ნერტილები აქვს. შხამიან გველს ორი კბილი აქვს. შხამიანის ნაკბენი სხვა სურათია. ის ძალიან საშიშია. ნაკბენი ადგილი მაშინვე შესიფუტება და ადამიანს აუტანელი ტკივილები დაეწყება.





# „ალმა მატერის“ გაცვლითი პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის უპირატესობებზე საუბრობენ

ნანა შონია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ალმა მატერის“ გაცვლითი პროგრამის სტუდენტები, უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების უპირატესობებზე საუბრობენ და აბიტურიენტებს გონივრული არჩევანისკენ მოუწოდებენ.

განცხადება, ამასთან დაკავშირებით, სტუდენტებმა „პრაიმტიმის“ პრესკლუბში, დღევანდელ პრესკონფერენციაზე, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან, ნატო მახათაძესთან ერთად გააკეთეს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ის უნივერსიტეტია, რომელიც, ევროკავშირის კვლევების მიხედვით, ხუთეულში მოხვდა, რომლის მიხედვითაც „ალმა-მატერის“ სტუდენტები თავიანთი პროფესიით არიან დასაქმებული.

**ნატო მახათაძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** „ახლა სწორედ ის დროა, როდესაც აბიტურიენტები არჩევანის წინაშე დგანან. ჩვენ გვინდა მოვყვეთ ის რეალობა, რაც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტშია. ეს არის რეალური ცოდნა, რეალური გამოცდილება და ამიტომაც, აბიტურიენტებს აქტივობისკენ მოვუწოდებთ“.

**ანიკო კონცელიძე, სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი:** „ჩვენი უნივერსიტეტის კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა, უკვე რამდენი წელია, ჩვენი სტუდენტები წარმატებულს აღწევენ სხვადასხვა სფეროში. ჩვენ გვყავს კვალიფიცი-



ური, აკადემიური პერსონალი, რომლის ანალოგიაც ქართულ სივრცეში ადვილად არ მოიძებნება. მე, „მაქს-პანკის“ გაცვლითი პროგრამის სტუდენტი ვიყავი, სადაც ცხოვრების და სწავლის ხარჯები მთლიანად უნივერსიტეტმა დაფარა. დღესდღეობით, ვარ ჩემი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩვენ ვამართლებთ სახელწოდებას, „ალმა-მატერს“, და ის არის ჩვენი ცოდნის წყარო“.

**თენგიზ ქუსტალი, მეორე კურსის სტუდენტი, ბიზნეს ადმინისტრირების ქართულ-ბრიტანული პროგრამა:** „აღბათ, ძალიან ბევრი სტუდენტი დამეთანხმება, რომ უცხოეთში განათლება პრიორიტეტულია. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს ბევრი შესაძლებლობა აქვს ამ მიმართულებით. პირადად, ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ სწორედ ამ პროგრამით ვიყავი ოქსფორდის ბრუკის უნივერსიტეტთან, რომლის მიხედვითაც, ჩვენი სტუდენტები მეოთხე კურსზე მიდიან და იღებენ ორმაგ დიპლომს. მინდა, სტუდენტებს სწორი არჩევანისკენ მოვუწოდო. ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს წარმოვადგენ“.

**ალექსანდრე მეშანიშვილი, სამართლის სკოლის სტუდენტი:** „წ დღეა დარჩენილი ეროვნულ გამოცდებამდე და მე მათ ყველას ვუსურვებ წარმატებას და იმედი მაქვს, რომ ყველა კმაყოფილი დარჩება. რაც შეეხება ერასმუსის პროგრამას, ჩვენ საფრანგეთის მასშტაბით ვიყავით პირველები. იყო შესარჩევი ეტაპი, რაც გამჭვირვალე და ღიაა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რაზეც მყისიერი რეაქცია მოვახდინეთ. საბედნიეროდ, ჩვენი კრიტერიუმები აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. ჩვენი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ნიშნები გადავავაზენეთ და მოვიდა დადებითი პასუხი. შემთხვევით, თამამად ვთქვა, რომ არც ერთი თეთრი არ გადაგვიხდია, „ალმა-მატერმა“ სრულად აიღო თავის თავზე ხარჯები და შემთხვევით, თამამად ვთქვა, რომ საკუთარი ხარჯებით იქ წასვლას ვერ

შევძლებდი. მაღლობა ამისთვის ბატონ მამუკას“.

**გიორგი მახარაშვილი, გრ. სამართლის სკოლის სტუდენტი:** „ჩვენთან ძალიან მაღალია აკადემიური პერსონალის დონე. ისინი თავად არიან იმ სახელმძღვანელოების ავტორები, რომელზეც დგას საქართველოში ესა თუ ის სფერო. ჩვენ ნატო მივიღეთ აკადემიური ცოდნა. რაც შეეხება თავად სწავლების პროცესს, ესწავლობდით საერთაშორისო სამართალს. მეორე დღე მის ფარგლებში გაიზარდა, რაოდენობაც - თუ ჩვენს შემთხვევაში იყო 2 სტუდენტი, დღეს-დღეობით მათი რაოდენობა გაზრდილია“.

**სწავლის პარალელურად „ალმა-მატერში“ სტუდენტური ცხოვრება ძალიან აქტიურია.**

**დავით სარიშვილი, სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური:** „ჩვენმა უნივერსიტეტმა უამრავი წარმატება მოიპოვა სტუდენტური აქტივობის კუთხით. ჩვენ დავინერგეთ ისეთი ფესტივალები, რომლებიც ხორციელდებოდა ჩვენი უნივერსიტეტის ეგიდით. ყველა სტუდენტს, რომელიც ნიჭიერია და ნიჭის გამოხატვის სურვილი აქვს, ჩვენ ხელს ვუწყობთ. უნივერსიტეტი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის აქტივობაში. მე სხვადასხვა სტუდენტებთან ვიყავი ნასული, პოლონეთში. ჩვენმა უნივერსიტეტმა განხორციელებული პროექტებით მხარდაჭერა მოიპოვა. მაქსიმალურად ღია ჩვენი აქტივობები, ეს შეუძლია ყველამ ნახოს ჩვენს ვებ-გვერდზე“.




**ბიზნოს ხიზაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

# WWW.REMONTEBI.GE



ჩვენი კვალიფიციური და ენერჯიული მომსახურე პერსონალი ყველაზე უმოკლეს ვადებში და ხარისხის უმაღლესი გარანტიით შეასრულებენ თქვენს დაკვეთას

**597 370901    599 370901    555 050717**



**როგორ სძალავენ  
მამაკაცებს ფულს  
სოციალური ქსელის  
მეშვეობით?**



სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკებს“, რომლის საშუალებითაც ეს ახალგაზრდა ქალბატონი სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ ფულის გადარიცხვას სთავაზობდა. მართლაც გადაარიცხვინა ფული, თუმცა, მეორე მხრივ, ქალბატონს პირობა არ შეუსრულებია.

– რა ანგარიშზე გადაურიცხა ეს თანხა?  
– თანხის გადარიცხვა „აჭარაბეთის“ ანგარიშზე მოხდა. ამ ქალბატონს

სოციალურ ქსელში განთავსებული ჰქონდა თავისი ტელეფონის ნომრები და დაინტერესებულ პირებს სექსუალური სთავაზობდა. მსურველები მითითებულ ნომრებზე უკავშირდებოდნენ, თანხმდებოდნენ, რა ადგილას უნდა შეხვედროდნენ, მომსახურებისთვის რამდენი უნდა გადაეხადათ. ქალბატონი უთითებდა „აჭარაბეთის“ ანგარიშის ნომრებს, სადაც ეს თანხა უნდა ჩაერიცხათ მომსახურების განევის სანაცვლოდ...

**მამაკაცმა თავის მეუღლეს სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკებზე“ ერთდროულად რამდენიმე გვირგვინი გაუხსნა. მის მიერ მოვიქრებული სცენარით, 22 წლის გოგონას მამაკაცებისთვის საქსომოსახურება უნდა შეეთავაზებინა**

**my View**  
მირიან ბოქოლიშვილი

კარგად მოფიქრებული თაღლითური სქემა, რომლის მახეშიც არაერთი პირი გაება, უკვე გაშიფრულია. რამდენიმე დღის წინ სამართალდამცველებმა ცოლ-ქმარი – 22 წლის ნინო კ. და 24 წლის ანრი ჯ. დააკავეს.

მათ ერთმანეთთან თანაცხოვრების ერთწლიანი პერიოდი და რამდენიმე თვის განმავლობაში წარმატებით მოქმედი თაღლითობა აკავშირებთ. როგორც „პრაიმტიმმა“ საგამოძიებო ორგანოში გაარკვია, სქემა ანრი ჯ-ს მოფიქრებულია და ის ასე გამოიყურება: მამაკაცმა თავის მეუღლეს სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკებზე“ ერთდროულად რამდენიმე გვირგვინი გაუხსნა, სადაც მიუთითა მისივე ტელეფონის ნომრები და საქართველოს სხვადასხვა ქალაქები (თბილისი, ფოთი, რუსთავი, ქუთაისი და ა.შ). მეუღლის მიერ მოფიქრებული სცენარით, 22 წლის გოგონას „ოდნოკლასნიკების“ მეშვეობით სექსუალური მომსახურება უნდა შეეთავაზებინა მამაკაცებისთვის. როგორც ჩანს, ნინო კ-მ მეუღლის დავალებას წარმატებით გაართვა თავი. მას „ოდნოკლასნიკებზე“ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე დღის განმავლობაში რამდენიმე მამაკაცი უკავშირდებოდა. ტელეფონზე ხდებოდა ვაჭრობაც, თანხაზე შეთანხმების შემდეგ კი ნინო კ. მორიგ მსხვერპლს სთხოვდა, ფული წინასწარ ჩაერიცხა „აჭარაბეთის“ ანგარიშზე. ცოლ-ქმარი „აჭარაბეთზე“ მართავდა ფიქციურ ონლაინ-თამაშს, საიდანაც ეს თანხა უკვე მათ საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა, რომელიც ანრი ჯ-ს ბუბის სახელზე ჰქონდა გახსნილი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულიებმა ამ გზით 14 სხვადასხვა მოქალაქის კუთვნილი 775 ლარის ოდენობის თანხა მიითვისეს, თუმცა, სავარაუდოდ, იმ დაზარალებულთა რიცხვი, რომლებმაც საგამოძიებო ორგანოებს არ მიმართეს, გაცილებით დიდია.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ფოთში, საცხოვრებელ სახლში ზუსტად მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი მორგ მსხვერპლს აბამდნენ მახეში.

დეტალების დასაზუსტებლად „პრაიმტიმი“ შს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსს, გია მუჯირიშვილს ესაუბრა. სწორედ ამ განყოფილებაში შევიდა პირველი დაზარალებულის განცხადება.

**გია მუჯირიშვილი:**  
– გამოძიებას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი მოქალაქის განცხადება, რომელმაც შეგვატყობინა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით გოგონამ თაღლითური გზით გამოისძალა თანხა. მამაკაცი უთითებდა



## მერიის თანამშრომელი ქრთამის აღებაში ამხილეს



შს-მ ქრთამის აღების ფაქტზე მერიის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელი დააკავა. უწყების ინფორმაციით, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელი თამარ ჭანტურია.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თამარ ჭანტურიამ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეს, მშენებლობის კოფიც-

ენტის მაქსიმალურად გაზრდის ნებართვის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, მოსთხოვა 30 000 აშშ დოლარი და წინასწარ აიღო მისგან 10 000 აშშ დოლარი.

გამოძიება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ნ-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს შს-ს ანტიკორუფციული სააგენტო.



# „მუდმივად ვაჭრთხილავ ჩემს კოლეგებს როგორც დამნაშავეთა გაერთიანებას“

**my View**  
მირიან ბოქორიძე

ცოტა ხნის წინ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ, მოძრაობა „ეროვნულების“ თავმჯდომარე, სანდრო ბრეგაძე დაინიშნა. პრემიერ-მინისტრმა შესაბამის ბრძანებას ხელი რამდენიმე კვირის წინ მოაწერა ხელი. „პრაიმტი-აიმი“ ხელისუფლების ახალ ჩინოსანს მიმდინარე პოლიტიკური თემებისა და არჩევნების შეფასების მიზნით დაუკავშირდა.

რას ყვება სანდრო ბრეგაძე ხელისუფლებაში ჩანერგილ კადრებზე? ვინ და რა გზით ცდილობს „სიტუაციის აყირავებას“? რა გაფრთხილებას აძლევს მმართველ გუნდს და ვის ისურვებდა ქვეყანაში რეალურ ოპოზიციად?

„პრაიმტი-აიმი“ ამ თემებზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა:

– შესაძლოა ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ მე, როგორც პოლიტიკოსმა, შემოძლია გითხრათ, რომ ამ არჩევნებით კმაყოფილი ვარ. კმაყოფილი ვარ არა იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი პირველ ტურში ვერ გავიდა, არამედ იმ კუთხით, რომ ქვეყანაში აშკარად გამოიკვეთა დემოკრატიის ნიშნები. მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის ოცნება იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტები, ან თუნდაც პარტიები არ ირჩეოდნენ 90-პროცენტური მხარდაჭერით. ასეთი მაღალი პროცენტით გამარჯვება, საბოლოოდ, იმაზე მეტყველებს, რომ ეს ქვეყანა არ არის ცივილიზებული საზოგადოებისგან შემდგარი ქვეყანა. ასეთი საზოგადოება უფრო ჯოგს ჰგავს, რომელსაც უნდა, რომ გააყვეს ბელადს, მწყემსს და დამერწმუნებინ, რომ 21-ე საუკუნეში ეს სრული ანომალიაა. ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ქართული საზოგადოება პოლიტიკურად აშკარად გაიზარდა და მათთვის პოლიტიკური სიტყვები ტრაგედია არ არის. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, პირველი ოქტომბრის გამარჯვების მონაპოვარია, რომ ქვეყანაში რეალურად ჩამოყალიბდა წყმმარტად დემოკრატიული და მრავალპარტიული სისტემა. რაც შეეხება ამ არჩევნების ცულ მხარეს, ეს არის ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზე გავიდა, პარტია, რომელსაც პირადად მე დამნაშავეთა ძალას ვუნდობ, რომელსაც სურს, ქვეყანაში ერთადერთი ოპოზიციური გაერთიანების ადგილი დაიკავიოს. მე მუდმივად ვაფრთხილებდი და ვაფრთხილებ ჩემს კოლეგებს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც დამნაშავეთა გაერთიანებამ, პოლიტიკურ სივრცეში არ უნდა იარსებოს. ანომალიაა, რომ დამნაშავე-კრიმინალური დაჯგუფებები პოლიტიკური ოპოზიციის ქურქში გა-

# „ისინი გამოიყენებენ ყველანაირ ბერკეტებს, შიარაღებულ გადატრიალებათა და ნავლენ იმისთვის, რომ ჩვენთვის გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში“



ხვეული ცდილობდეს ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში თავის დამკვიდრებას.

– თუმცა ეს არც თქვენი და არც თქვენი კოლეგების გადასახვევით არ არის... ამას წვევებს ხალხი, რომელმაც, მოგონით თუ არა, მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსი არგუნა თქვენ მიერ დამნაშავეთა გაერთიანებად ნოდებულ „ნაციონალურ მოძრაობას“...

– დიხ, ეს არ არის ჩვენი გადასახვევით, ეს ხალხისა და დამოუკიდებელი სასამართლოს გადასახვევითაა. რაც შეეხება ნაციონალურ მხარე ადგილს, ვიტყვი, რომ ეს გარკვეულწილად არის შედეგი იმისა, რომ, სამწუხაროდ, დანარჩენი არასაპარლამენტო ოპოზიციის სუსტობა და გაერთიანებას ვერ ახერხებს. გარდა ამისა, ჩემდა სამწუხაროდ, იქ არიან ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელი პოლიტიკური ფიგურები. მოდით, პირდაპირ გეტყვი, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ძალიან დაახარა იმან, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილ „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ შეეკრა ამ არჩევნებზე.

– ეს არის ბურჯანაძის ერთადერთი ნაკლი?

– უნაკლო არავინაა და ნარსულში ყველას აქვს დაშვებული პოლიტიკური მეცდომები, მაგრამ ამ არჩევნებზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია იმან, რომ გიორგი თარგამაძის პოლიტიკური ძალა ბურჯანაძის გაერთიანების ავანგარდში აღმოჩნდა. ამან საკმაოდ დაახარა, ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციის.

– ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე ბურჯანაძე არ გახლდათ „ქმ“-სთან გაერთიანებული, თუმცა მაშინაც მესამე ადგილს დასჯერდა და დაახლოებით იგივე შედეგი აჩვენა, რაც ადგილობრივ არჩევნებზე... ხომ არ ფიქრობთ, რომ მისი მთავარი პრობლემა არა რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებასთან ალიანსი, არამედ საგარეო ორიენტაცია და ნარსულაა?

– მე მხოლოდ ბურჯანაძეზე არ ვსაუბრობ. აქვე აღვნიშნავ, რომ საკმაოდ შთაბეჭდილებები შედეგი აჩვენა ირმა ინაშვილმა და მისმა გუნდმა. ახლად დაარსებული პოლიტიკური ძალისთვის მართლაც მნიშვნელოვანია ის შედეგი, რომელიც მათ აჩვენეს და ვფიქრობ, ინაშვილის პარტიის რეიტინგი კიდევ უფრო მოიმატებს. თავად ირმა, საკმაოდ საინტერესო და უკომპრომისო

გაემარჯვა და მეორე ადგილზე „ნაციონალური მოძრაობა“ არ მუხილა.

– თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმაც თქვა, რომ მას რეალურ ოპოზიციად ნინო ბურჯანაძე და ირმა ინაშვილი ესახებიან... მაგრამ რეალურად ხომ ეს ხალხის ნებაზეა დამოკიდებული და არა პოლიტიკოსების სურვილებზე... მოდით, პირდაპირ გითხრათ – რატომ გსურთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არსებობდეს?

– ჩემთვის მიუღებელია არა კონკრეტულად რომელიმე პარტია, არამედ დამნაშავეთა ორგანიზაცია. რატომ არის „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავეთა ორგანიზაცია, ამაზე არაერთხელ მისაუბრია და დამატებით აღარ შეგანყენ თავს თქვენს მკითხველს. ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა. რა განსხვავებაა ამ ძალასა და თუნდაც ინაშვილის, ან ბურჯანაძის პარტიებს შორის? „ნაციონალური მოძრაობა“ არის ქვეყნის მტერი, ინაშვილი-ბურჯანაძე კი რეალურად არიან ოპოზიციური ძალები, რომლებსაც აქვთ მმართველი გუნდისგან განსხვავებული სამიზნო და საგარეო ხედვა. „ნაციონალური მოძრაობა“ არის მიზანდასახული მტერი, რომელიც განწყობილია რევანშისტულად და დარწმუნებით შემოიღია გითხრათ, რომ ისინი ყველანაირ ბერკეტს გამოიყენებენ, შეიარაღებულ გადატრიალებათა და ნავლენ იმისთვის, რომ რევანშის გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალისა და ოპოზიციის განსხვავება, ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

– ანუ, რომ დავაკონკრეტოთ: „ნაციონალური მოძრაობა“ არის ქვეყნის მტერი და ბურჯანაძე, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ სწორედ ქვეყნის დამპყრობელთან ერთად იბარებ-




**„უნაკლო არავინაა და ნარსულში ყველას აქვს დაშვებული პოლიტიკური მეცდომები“**

პოლიტიკური სახეა, მას ჰყავს თავისი ელემენტობა. ბურჯანაძე-ინაშვილი-კუკავა-ნათელაშვილი რომ გაერთიანებულიყვნენ, ვფიქრობ, სერიოზულ ნინაშვილს გაუწევდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. არ დავიგნავთ და გეტყვი, რომ, სხვათა შორის, ჩემი სურვილიც ის იყო, რომ „ქართულ ოც-

# გეგს – „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ამ, ძველანაში არ უნდა იარსებოს“

## სანდრო ბრეგაძე:

„დაუშვებლად მიმაჩნია ჩანერბილი ბანდის წევრებით იყოს სავსე კონკრეტული უწყებები. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი ხელნერა, მაშინ ამას ჟვანია-სააკაშვილის ბეთოდს ექახდნენ“



# EXCLUSIVE

უნდა დაუმტკიცდეთ დანაშაული და არა მხოლოდ სიტყვიერ დონეზე, ისე, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა.

– ამბობენ, რომ მალე მთავრობაში საკადრო ცვლილებები იგეგმება... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– საკადრო ცვლილებები ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში სავსებით ნორმალური პროცესია, თუმცა ვფიქრობ, ამ ეტაპზე მთავრობის მალე დონეზე რაიმე გადაადგილება არ იგეგმება. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა ცნობილი. მე ვფიქრობ, გარკვეული ზომები მისაღები სამომავლოდ ე.წ. ჩანერბების პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაქვს ინფორმაცია, რომ სხვადასხვა უწყებებში ქვედა დონეზე „ნაციონალური მოძრაობის“ ჩატოვებული ჰყავს თავისი კადრები, ისინი ხშირ შემთხვევაში ცდილობენ საბოტაჟის მოწყობას იქ, სადაც ხელი მიუწვდებათ. ასეთ ხალხს, ნამდვილად არაფერი ესაქმება საკვანძო თანამდებობებზე. არ ვთვლი, რომ პარტიული ნიშნით უნდა მოხდეს საჯარო სამსახურებიდან ადამიანების გაშვება, ან მიღება, მაგრამ დაუშვებლად მიმაჩნია ჩანერბილი ბანდის წევრებით იყოს სახელმწიფო უწყებები. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი ხელნერა, მაშინ ამას ჟვანია-სააკაშვილის მეთოდს ექახდნენ, როდესაც კონკრეტულ პარტიებსა თუ სტრუქტურებში თავიანთ კადრებს ნერგავდნენ და შემდეგ შიგნიდან ცდილობდნენ სიტუაციის აყირავებას. ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ მეხუთე კოლონამ არც ერთ სტრუქტურაში არ იარსებოს.



და სამხედრო ალუმს, კონსტრუქციული და რეალური ოპოზიციაა?

– მე ნამდვილად არ გამოვდებო არც ბურჯანაძის და არც სხვა ოპოზიციური პარტიის ადვოკატად. ისინი თავიანთი ქმედებებზე, ალბათ, თავად გასცემენ პასუხს მოსახლეობას. შეიძლება რომელიმე პოლიტიკოსის ნაბიჯი მომწონდეს ან არ მომწონდეს, ეს გემოვნების საკითხია. რა თქმა უნდა, მე რომ მთლიანად ვიზიარებდე ქალბატონი ბურჯანაძის, ან სხვა პარტიის მოსაზრებებსა და გადადგმულ ნაბიჯებს, მათ გვერდით ვიქნებოდი და არა იქ, სადაც ახლა ვარ. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, იგივე ბურჯანაძე, ინაშვილი, ან კუკავა არასდროს იკადრებენ იმას, რაზეც შეიძლება ნავიძენ „ნაციონალები“. ისინი ძალაუფლებაში დაბრუნებისთვის არ ნავიძენ ქვეყნის დაქვევებაზე. „ნაციონ-

ალები“ კი ამ მიზნისთვის არათუ ქვეყანას, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებსაც განირავენ. დარწმუნებული ვარ, მალე სხვა პოლიტიკური პარტიებიც გამოჩნდებიან და ეს მხოლოდ მისასალმებელია. შესაძლებელია, რომ კოალიციისა და ჩვენი ხელისუფლების შიგნითაც არსებობს სხვადასხვა შეხედულებები და მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ქვეყნის მართვაში. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში მეც არ ვიზიარებდე გარკვეულ იდეოლოგიურ შეხედულებებს, მაგრამ ეს ხელს არ უნდა გვიშლიდეს კომუნიკაციასა და პარტნიორობაში. მაგალითად, რესპუბლიკელები, რომელთაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ, ჩემს პატივისცემას იმსახურებენ, სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლისა თუ თავიანთი პრინციპული პოზიციების გამო.

– ნინა არჩევნებთან შედარებით, რით ხსნი მმართველი გუნდის რეიტინგის ვარდნას... რატომ ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის დედაქალაქში, პირველივე ტურშივე წარმატების მიღწევა?

– მთავარი პრობლემაა პიარის სისუსტე. რბილად რომ ვთქვათ, ამ მიმართულებით სერიოზული ხარვეზებია. ვერ ხერხდება საზოგადოებაზე იმ საქმეების სათანადოდ მიწოდება, რაც გაკეთებულია. გვახსოვს, „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერს აკეთებდა, მაგრამ ისეთი სპექტაკლები ჰქონდათ დადგმული, რომ ხალხს ყველაფერს აჯერებდნენ, მართო ის რად ლირს, რომ ნაგებული ომი გამარჯვებულ წარმოადგინეს და ხალხის რალაც ნაწილი დააჯერეს, რომ რუსეთს ომი მოუფუტო. თუნდაც

ჩემი სამინისტროს მაგალითზე უნდა ვთქვა, რომ უამრავი პროექტი განხორციელდა, შენდება ახალი საცხოვრებლები და ეს არის უპრეცედენტო პროგრამა, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს დევნილთა განსახლების პრობლემას, მაგრამ, სამუხაროდ, ეს ყველაფერი სათანადოდ არ მიეწოდება საზოგადოებას. და აქვე ერთი საკითხი, რომელზეც არავის საუბრობს: დღეს, პირველად საქართველოს ისტორიაში, გვყავს ხელისუფლება, რომელსაც საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამაგიეროდ პარადოქსთან გვაქვს საქმე – არსებობს ე.წ. ოპოზიციური, მტრული ძალა, რომლის დაქვემდებარებაშია ორი და სამი ტელეკომპანია და ეს ტელევიზიები წარმოადგენენ პირდაპირ პროპაგანდისტულ მანქანას. და რაც მთავარია: ვერ მოხდა სამართლიანობის აღდგენა სწრაფი ტემპით. დაჩაგრულ ადამიანს, რომელსაც ქონება ჩამოართვეს, უკანონოდ იხდიდა სასჯელს, სურს მყისიერად მოხდეს დამნაშავეის დასჯა, მაგრამ მეორე მხრივ, ხელისუფლება და პროკურატურა იქცევა სრულიად სამართლებრივად, ადამიანებს კონკრეტული მტკიცებულებებით



# რა სრიკეპითა და კანონდარღვევ

მარიამ ნადირაძე

ბოლო წლებში ქართული კინოს გამოცოცხლებას სახელმწიფო პოლიტიკის მიდგომებს უკავშირებდნენ. თუმცა, ხარისხზე ჯერ კიდევ დაობენ...

მაგრამ ამჯერად განსახილველი თემა არც სიმრავლეა და არც ხარისხი... როგორც აღმოჩნდა, კინოცენტრში მიმდინარე პროცესები იმ დიდი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელმაც რევოლუციური ხელისუფლების პირობებში, სხვა სფეროების მსგავსად, „განვითარების“ სახელით კრიმინალური შტრიხები შეიძინა. შედეგად კი ნეპოტიზმი, „ატაკატი“, ფულის გარეცხვა და ახლად ჩამოყალიბებული პრივილეგიებული კასტა მიიღო.

როგორც ჩანს, პროკურატურის დაინტერესების საგანიც სწორედ ეს „შტრიხები“ გახდება...

ყოველ შემთხვევაში, ამას რეჟისორ ლევან ანჯაფარიძეს თავად გიორგი ბადაშვილი დაჰპირდა და მისი თერთმეტდღიანი აქტიაც „ოცნების“ ოფისთან ჯერჯერობით ამ შეხვედრით დასრულდა.

ჩვენ კი, „პრაიმტიმის“ მკითხველთან ერთად, მოვლენებს მცირედით გავასწრებთ და იმ დოკუმენტების ფონზე, რომელიც ამჯერად პროკურატურაში გადაინაცვლებს, კინოცენტრში არცთუ ყველაზე კრეატიულ მოვლენებს განვიხილავთ.

ყველაფერს რომ თანმიმდევრულად მივყევით, დავინწყით კინოცენტრის მთავარი ფუნქციის გაშიფვრით: აქ ახალი ფილმების დაფინანსება მხოლოდ და მხოლოდ კონკურსის წესით ხდება. კონკურსი კი წელიწადში ერთხელ ტარდება შემდეგ კატეგორიებში: მხატვრული სრულმეტრაჟიანი, მხატვრული მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი, დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი, სადებიუტო სრულმეტრაჟიანი და ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსი. დგება კომპეტენტური ჟიური (თუმცა, მისი კომპეტენტურობა გარკვეული წრეებისთვის ეჭვქვეშ დგება. – მ.ნ.), და კინოს დაფინანსებისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაახლოებით 2 მილიონი ლარი ჟიურის წევრების მიერ შესაბამის გრაფაში 0-დან 5-მდე ციფრის დასმით ნაწილდება... თუმცა, თუ გამოიკვეთა, რომ რომელიმე ფილმს ქულები არ ჰყოფნის, უკვე ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დოკუმენტების შესაბამის გრაფებში ციფრების გადაკეთებაც მოსულა. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს ის ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც კინოცენტრიდან „პრაიმტიმის“ ხელში აღმოჩნდა.

უკვე 12 წელია, ამ კონკურსებში სხვადასხვა კატეგორიებში მონაწილეობს ცნობილი რეჟისორი, ლევან ანჯაფარიძე, თუმცა მისმა ფილმმა ვერც ერთხელ ვერ მოიპოვა დაფინანსება. ხან იმომილა, ხან სასამართლოს მიმართა, ხანაც – კულტურის სამინისტროს, ბოლოს – პროკურატურასაც კი... ამასობაში სამართლის ძებნაში, რაც მეტი გაქვება, მით მეტი გამაოგნებელი, სკანდალური ფაქტი აღმოაჩინა, თანაც შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული. ეს ჩვენც გაგვიზიარა, ჩვენ კი – მკითხველს, რომელიც დარწმუნებული ვართ, უამრავ კანონდარღვევას თვალნათლივ დაინახავს...

თუმცა, როგორც ირკვევა, ამას ვერ ხედავს კინოცენტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი, ქალბატონი ნანა ჯანელიძე, რომელსაც სიტუაციაში გარკვევის შემდეგ მივმართეთ:

– თქვენთან სახელმწიფო აუდიტის სამსახური იყო შემოსული, რომელმაც დარღვევები აღმოგჩინათ...

– მან ვერაფერი კანონდარღვევა ვერ ნახა, რაღაც რეკომენდაციები მოგვცა (ამონაწერებს აუდიტის დასკვნებიდან ქვემოთ წარმოგიჩინათ...)



ლევან ანჯაფარიძე

„ეს არის მისი მთავარი სატკივარი და წუხილი, რომ მას სჭირდება 750 000 ლარი“

# EXCLUSIVE

ოგიდგენთ. – მ.ნ.) ჩვენც, ჩვენი მხრივ, შევქმენით კომისია, რომელშიც შედიან მინდია უგრეხელიძე, ელდარ შენგელაია, მერაბ კოკჩიაშვილი, სოსო რუხაძე. ამ რეკომენდაციების განსახილველად გუშინ იყო შესაბამისი (ინტერვიუ დაახლოებით 10 დღის წინ ჩანს რეკორდი. – მ.ნ.) ეს განვიხილეთ და ზოგიერთი რეკომენდაცია ნამდვილად გასათვალისწინებელია.

– კონკრეტულად რა?  
– მაგალითად, ჟიურის არჩევის წესი...

– ლევან ანჯაფარიძემ უამრავი დოკუმენტი წარმოგვიდგინა ჩვენც და პროკურატურასაც, სადაც კანონდარღვევები იკვეთება...

– აქ საქმე იცით, რა არის? მან მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთ კონკურსში, სადაც მე-10 ადგილზე გავიდა. ის ითხოვდა, ეს შედეგები გაუქმებულიყო და მთელი თანხა, 750 ათასი ლარი მას წაეღო. ეს არის მისი მთავარი სატკივარი და წუხილი, რომ მას სჭირდება 750 000 ლარი.

– ქალბატონო ნანა, ჩვენ გავეცანით სახელმწიფო აუდიტის დასკვნას და კიდევ სხვა დოკუმენტებს, სადაც დარღვევები თვალსაჩინოა...

– იცით, რა? თქვენ არ ხართ იურიტი. ეს არის იურიდიული საკითხები... უბრალოდ, მე თქვენ მოგიყვებით საქმის არსი. ლევან ანჯაფარიძე სასამართლოში ჩივის იმის გამო, რომ ვინც ფილმები გადაიღო, კონკურსში პირველ-მეორე ადგილზე გასულ შემთხვევაში ფული მას მისცენ. თქვენ, ალბათ, ნახეთ ის ვიდეო, რომელიც კულტურის სამინისტრომ გამოაქვეყნა თავის საიტზე, როდესაც ის შიმშილობდა, სადაც ანჯაფარიძე იმეორებდა: „მე არ ვიცი, რა არის ეს, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ფული მას მისცენ“.

ნისტრომ გამოაქვეყნა თავის საიტზე, როდესაც ის შიმშილობდა, სადაც ანჯაფარიძე ამბობს, – „ფარჩაკი, ხომ არ ვარ, მომეცი 750 ათასი ლარი, გურამ, და ავადგები აქედან“ (იგულისხმება გურამ ოდიშარია. – მ.ნ.).

– ჩვენ ამ თემას ერთი რეჟისორის კონტექსტში არ განვიხილავთ... არსებობს ინფორმაციები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმის თაობაზე, როგორ აფინანსებდა ჟიურის წევრი საკუთარ ფილმს...

– ჩვენ კონკურსის ვატარებთ სხვადასხვა კატეგორიებში და ერთ კატეგორიაში რომ ხარ ჟიურის წევრი, არ გეკრძალება, სხვა კატეგორიის კონკურსზე გაიტანო შენი საკუთარი ფილმი.

როგორც წესი, მხარის პოზიციას, რომლის მიმართაც არსებობს პრეტენზია, მკითხველს მას შემდეგ წარმოუდგენენ, როცა ფაქტები ლაგდება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვარღვევთ ამ სტანდარტს, ვინაიდან კინოცენტრის ხელმძღვანელობასაც ამ სტატიის მკითხველთა რიგებში განვიხილავთ და ვუშვებთ იმ ალბათობასაც, რომ შესაძლოა, მათ ეს ყველაფერი არ იციან.

ამიტომაც, კონკრეტული დარღვევების შესახებ ახლა მოგახსენებთ. სტატიაში შემოთავაზებულ თემაზე უფრო კონკრეტული წარმოდგენის შესაქმნელად ჯერ ინტერვიუს შემოგთავაზებთ ლევან ანჯაფარიძესთან:

– 2005-2007 წლებში, იმ გახმაურებულმა მკვლევარებმა, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, გადაწყვეტინა, ჩემივე სახსრებით გადამეღო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „მას საქართველო ჰქვია“, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა. 7 ნომებზე არსებული მომხდარი იყო... სწორედ ამ ავადსახსენებელ მოვლენებს ეხება მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „მას საქართველო ჰქვია“. ამ პერიოდში ზუგდიდში, ოპოზიციონერ კახა მიქაიათან ჩასვლა, ფილმების სკვერში გაშვება და იქვე კარავში ლამის თენება, დამეთანხმებით, საკმაოდ სარისკო საქმე იყო. გარდა ამისა, გამუდმებით იბეჭდებოდა ჩემი სცენარები, მოთხრობები, საგაზეთო წერილები, პუბლიკაციები,



ნანა ჯანელიძე

„ჩვენ კონკურსს ვატარებთ სხვადასხვა კატეგორიებში და ერთ კატეგორიაში რომ ხარ ჟიურის წევრი, არ გეკრძალება, სხვა კატეგორიის კონკურსზე გაიტანო შენი საკუთარი ფილმი“

**„2002 წლიდან 2013 წლის ჩათვლით არაერთხელ შევიტანე ჩემი სცენარები (პროექტები) კინოცენტრში, რომელიც 12 წლის მანძილზე არც ერთხელ არ დაფინანსდა. ჩემდა სამწუხაროდ, იგივე გრძელდება დღესაც...“**

# ეპითი ფინანსდება ასალი ფილმები



## პროკურატურა კინოცენტრის საქმიანობით ინტერესდება

სადაც ვამხელდი და ვაკრიტიკებდი ნაციონალურ ხელისუფლებას. ასევე, ემონანოლობდი საპროტესტო გამოსვლებში, ვიყავი ოპოზიციის აქტიური საზოგადოებრივი სახე. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მე, როგორც რეჟისორი, მიუღებელი აღმოჩნდა ნინა ხელისუფლებისთვის და ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ ჩემს დაბლოკვას. იყო ამკარა მუქარები, გამაფრთხილებელი სატელეფონო ზარები, გამათავისუფლებელი სამსახურიდან ცემ-უშობიდი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვიყავი კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ჯგუფის ხელმძღვანელი, გაურკვეველმა პირებმა დამიჭრეს შვილი, იარაღი ჩაუდეს ობოლ ძმისშვილს, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა. ის გაათავისუფლეს პოლიტპატიმრის სტატუსით არჩევნების შემდგომ, 2012 წელს. წლები მანძილზე არც ერთი ტელევიზია ჩემს ფილმებს არ უშვებდა. 2010 წელს დამინვესტურა, სადაც ვიღებდი ფილმებს და, ფაქტობრივად, ეს სტუდია წარმოადგენდა ჩემი ოჯახის საარსებო წყაროს... მიუხედავად ჩემი ამგვარი შევიწროებისა და დევნისა, ჩემივე სახსრებით მაინც გადავიღე ორი პოლიტიკური ფილმი – ჩანახატი „ურჩხული“, „21-26 მაისი“. მინდა აღვნიშნო ერთი უმთავრესი ფაქტი – 2002 წლიდან 2013 წლის ჩათვლით არაერთხელ შევიტანე ჩემი სცენარები (პროექტები) კინოცენტრში, რომელიც 12 წლის მანძილზე არც ერთხელ არ დაფინანსდა. ჩემმა სამსახურად, იგივე გრძელდება დღესაც...

**– ისევ გატერორებენ?**  
– 2013 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ დიდი იმედები გამოჩნდა და კინოცენტრში კვლავ შევიტანე სცენარები „ციციხეთელეები“, რომელიც ქართულ-აზნაზურ კონფლიქტს ეხება. სამსახურად, ზემოხსენებულ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში – კინოცენტრში,

არაფერი შეცვლილა, იქ ისევ ძველი ნაციონალური კადრები მუშაობენ. სცენარმა მე-10 ადგილი „დამისახურა“. ამდენი წლის დაუმსახურებელმა დევნამ, ჩემი, როგორც შემოქმედი პიროვნების მრავალწლიანმა იგნორირებამ, ჩემში დიდი პროტესტი გამოიწვია. ჩემი და სხვა დაზარალებული კონკურსანტების შეფასების ფორმულარების ნახვის შემდგომ, დიდი ეჭვი გამიჩნდა კინოცენტრის დირექტორის, ნინა ჯანელიძის მიერ მოწვეული ექსპერტების არაობიექტურ და მიკერძოებულ საქმიანობაზე, სცენარების, პროექტების შეფასების არადაზარალებელ კრიტერიუმებზე, გამოვითხვეთ საბუთები, სადაც ჩემი ეჭვები დადასტურდა და ამკარა ინტერესთა კონფლიქტი გამოიკვეთა.

**– რას გულისხმობ?**  
– „შეფასების ფორმულარებს“ ერთი და იგივე პირები ავსებდნენ. ამას ჰქვია გაყალბებული დოკუმენტები, სადაც ორიანი გადაკეთებულია ხუთიანიად, ერთიანი – ოთხიანიად, სამიანი – ხუთიანიად და ა.შ. ამ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომელი პროექტები უნდათ, რომ გავიცი და რომელი – არ უნდათ. ამის გარდა, 2013 წლის ფილმწარმოების კონკურსზე, რომელიც სხვადასხვა კატეგორიებში ჩატარდა, მონეული ექსპერტები თვითონ მონაწილეობდნენ, უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ თავიანთ პროექტებს და სახელმწიფო სუბსიდიით ფინანსდებოდნენ.

**– ლელა მაქაცარია, ლევან ანჯაფარიძის მეუღლე და პროდიუსერი:**  
– ხუთივე კატეგორიის კონკურსი, არის გაყალბებული. მაგალითად, სრულმეტრაჟიანი სადებიუტო მხატვრული ფილმის წარმოებაში კომისიის თავმჯდომარე იყო ბუბა ხოტივარი, ზურაბ ინაშვილი იყო კომისიის წევრი. საკუთარი პროექტი აქვთ დაფინანს-

ებული 250 ათასი ლარით. ეს არის საპროდიუსერო კომპანია „სინტეკის“ პროდუქცია „სხვისი სახლი“. „სინტეკის“ დამფუძნებლები არიან ელდარ შენგელაია და კინოკავშირი. კინოკავშირის გამგეობის წევრები არიან ბუბა ხოტივარი და ზურაბინაშვილი. მართალია სქემაა, არა? სხვათა შორის, ეს დარღვევა თავად კულტურის სამინისტროს აღმოუჩენია, როდესაც სასამართლოში შესაგებელით შემოვიდა. თუმცა, თავის მხრივ, არავითარი ადმინისტრაციული რეაგირება

**წინდება პროკურატურის დაინტერესების საგანი:**  
**ბუბა**  
2011 წლის 4 თებერვალს კინოცენტრის მაშინდელი დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრია ირაკლი სოლომონაშვილი. კომისიამ მეორე ტურში გადაიყვანა ხუთი პროექტი, მათ შორის ანთიციური ფილმი „ბუბო“. 17 ოქტომბერს, ტატიშვილის ბრძანებით, „ბუბო“ 35 ათასი ლარით ფინანსდება. მისი პროდიუსერია შპს „20Steps film“. სამწარმოო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ამ კომპანიის 45-პროცენტის ნიშნის მფლობელი ირაკლი სოლომონაშვილის ძმა, ბესიკ სოლომონაშვილია.

**„მადონა“**  
2012 წლის 23 მარტს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიამ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმწარმოების კონკურსში გამარჯვებულად გამოაცხადა არასამწარმოო იურიდიული პირის „ლიბ.ჯი“-ს პროექტი „მადონა“. არადა, მ ავეისტოს კინოცენტრის მაშინდელმა დირექტორმა, თამარ ტატიშვილმა თავისი ბრძანებით 50 ათასი ლარი გამოიყო „CineMark“-ის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტისთვის „მადონა“. ფაქტობრივად, კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა იურიდიულმა პირმა, ხოლო ფინანსდება სხვა იურიდიული პირი, რომელსაც მანამდე არავითარი კავშირი არ ჰქონდა საბიუჯეტო თანხების განმკარგველთან, კინოცენტრთან. არსებობს ეჭვი, რომ „ლიბ.ჯი“ ჰქონდა ფინანსური პრობლემები ნინა პროექტებიდან, თანხების მისაღებად კი საჭირო იყო სუფთა ფინანსური წარსულის კომპანია. თუ გამოძიება ამ ეჭვს დაადასტურებს, გამოვლინდება სახელმწიფო სახსრების ჯგუფური მითვისება.

**„დინოლა“**  
2012 წლის 29 მაისს საექსპერტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა შპს „სტუდია 99“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტს „დინოლა“. 3 დეკემბერს დირექტორმა ტატიშვილმა გასცა ბრძანება 64 ათასი ლარით დაფინანსდეს „დინოლას“ შექმნისთვის შპს „აბკ სტუდია“. 2013 წლის 4 ივნისს უკვე ახალი დირექტორი, ნინა ჯანელიძე, კინოცენტრის დაფინანსების მენეჯერი, მანანა მელაძე და „აბკ სტუდიას“ დირექტორი, მამუკა ჩხირაძე ადგენენ აქტს, რომლითაც მოკლემეტრაჟიანი ფილმი ცხადდება დასრულებულად, ხოლო 64 ათასი ლარის გახარჯვა – მიზნობრივად.

**„მთელი სიცოცხლე და ერთი დღე“**  
უკვე ახალი ხელმძღვანელობის პირობებში, 2013 წლის 27 ივლისს, ნინა ჯანელიძის ბრძანებით, 30 758 ლარი გამოიყო დაგეგმიური გამარჯვებულ პროექტს „მთელი სიცოცხლე და ერთი დღე“. 2013 წლის 1-ლი ივლისის საბანკო ამონაწერებით ირკვევა, რომ ეს თანხა გადაერიცხა შპს „Digital Kitchen Studio“-ს, სადაც გუგუზაძის წილი მხოლოდ 20 პროცენტია, დირექტორი კი გიორგი თავართქილაძეა. ალბათ, აქვე საჭიროა განმარტოს, რომ კომპანიაში წილობრივი მონაწილეობა არ ნიშნავს ფიზიკური პირისთვის მიწიჭებული უფლების სამართალმემკვიდრეობას შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაში.

ამ კონკრეტული ფილმწარმოების ირგვლივ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები სრულიად დენგრირია „მადონასა“ და „დინოლას“ შემთხვევებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი წარმართა თამარ ტატიშვილის მიერ, ხოლო მისგან დანგრეული ტრადიცია სრული სიზუსტით არის გაზიარებული ახალი ხელმძღვანელის, ნინა ჯანელიძის მიერ.







დიდი დრამატურგია, დიდი მწერალი, ძალიან ბევრ სხვადასხვა ფორმაშია გასასხნელი, მიხარია, რომ პირველი ვიყავი, ვინც ქართულ სცენაზე, კლდიაშვილის ცხენი ითამაშა.

- თქვენ წასული იყავით პიტერ ბრუკთან, მერაბ ნინიძე საერთოდ წავიდა საქართველოდან, ანუ გზა ერთგვარად გაკვალული იყო, ყოველ შემთხვევაში წინ მაგალითი გქონდათ და თქვენც შეგეძლოთ წასვლა, რა იყო მიზეზი, რატომ გადაწყვიტეთ აქ დარჩენა?

- იმ პერიოდში ძალიან არეული სიტუაცია იყო, დაუსრულებლად მიტინგები იმართებოდა ჩვენთან ას მეტრში, ძალიან ხშირად უთქვამთ კიდევ, რა გეთაბრეხათ, რა გეთამაშებთ, როცა გარეთ მიტინგებია. ერთი პერიოდი პროტესტიც გამოვთქვით და აღარ ვთამაშობდი მცირე სცენაზე. მერე ისე მოხდა, რომ მე, მერაბი და ნანუკა მიგვიწვიეს ინგლისში, ერთ-ერთ თეატრალურ პროექტზე. პროექტის დასრულების შემდეგ ნანუკა თბილისში დაბრუნდა, მერაბი ვენაში გაფრინდა, მე ჯერ კიდევ ლონდონში ვიყავი და სწორედ იმ დროს მოხდა აქ სახელმწიფო გადატრიალება, დაიწყო ომი, მე, ზუსტად ხუთ წუთში შემეძლო მოქალაქეობა თუ არა, ინგლისში ცხოვრების უფლება მომეპოვებინა, რადგან დედოფალმა გამოაცხადა, რომ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც იმ პერიოდში ბრიტანეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, მისი მფარველობის ქვეშ შედიოდნენ. მე უარი ვთქვი ამაზე, სადმე კი არ განმიცხადებია, შინაგანად ვთქვი უარი და დავბრუნდი საქართველოში, მე ვფიქრობდი, რომ უნდა ვყოფილიყავი აქ. მაგრამ აქ ძალიან მძიმე სიტუაცია იყო, თეატრში კი ვიყავი, მაგრამ არაფერს ვაკეთებდი, მაშინ დაიწყო ფიქრი, რეჟისურაზე, რომელიც მსახიობების გამო მივინწყებოდა და მომეცა კიდევ შანსი, პიტერ ბრუკისგან მივიღე მინვესტირება და ცოტა ცინიკურადაც უყურებენ... თავიდან ვერც ქალბატონ ზაზას ვუბედვდი, ბოლოს შევბედე... ქალბატონმა ზაზამ თქვა ვცადოთ, მაგრამ ვერკვეული პერიოდის შემდეგ უარი თქვა, ვერ ვიმუშავებო და კარგად ამხსნა, მე კი არ მთვლიდა უნიჭოდ და ამიტომ კი არ წავიდა რონდანი, პერსონაჟთან ჰქონდა პრობლემები, არ ესმოდა იმ ქალის... აღმოჩნდა, რომ უნდა შეემეცვალა მსახიობი... მერე მარინასთან მივედი სტუმრად. მარინას ახალი გარდაცვლილი ჰყავდა მეუღლე და სულ სხვანაირი მარინა ვნახე, ჩვეულებრივი ქალი, რომელიც არის ტრადიციული მოცული, ფიქრობს შვილის გაზრდაზე, ცხოვრების გაგრძელებაზე და ეს ყველაფერი ცნობის სახეზე და მე მივხვდი, ეს იყო ის ბერნარდა, რომელიც მე მინდოდა და შევთავაზე. ვიმუშავეთ და გამოვივიდა ის, რაც გამოვივიდა. სპექტაკლი, რომლისაც მე არ მრცხენია, ეს იყო წარმატებული სპექტაკლი, რომლის შემდეგაც მე სერიოზულად შემომხედეს ჩემმა კოლეგებმა, რეჟისორებმა, ამ სპექტაკლის შემდეგ უკვე ყველა მსახიობთან შემეძლო მისვლა და როლის შეთავაზება და არასოდეს უარი არ მიმთხარა არც ერთი მსახიობისგან. მასსოვს, პრემიერაზე, პირველი მოქმედების დამთავრების შემდეგ, წამოვდგა გურანდა გაბუნია, მიუბრუნდა რეჟისორებს და ვთქვამს ხმაზე გასახს, რეჟისორებო, ნახეთ, როგორ უნდა დაიდგას სპექტაკლი. ეს იყო აქციასავით, დიდი გამოწვევა, მსახიობებმა ხელთათმანი გადაუდგეს რეჟისორებს...

## EXCLUSIVE

# ბორჩა

# პაპანაძის

# პრაიმტაიმი

„პირველად ვამბოვ ახას და შეიძლება გიჟო უორდანი გაგიზრადეს კიდეც, ახას რომ ვამბოვ ღიად...“

უტანტი ვიყავი, თან მსახიობის გადასვლას რეჟისურაში ყოველთვის ძალიან სკეპტიკურად და ცოტა ცინიკურადაც უყურებენ... თავიდან ვერც ქალბატონ ზაზას ვუბედვდი, ბოლოს შევბედე... ქალბატონმა ზაზამ თქვა ვცადოთ, მაგრამ ვერკვეული პერიოდის შემდეგ უარი თქვა, ვერ ვიმუშავებო და კარგად ამხსნა, მე კი არ მთვლიდა უნიჭოდ და ამიტომ კი არ წავიდა რონდანი, პერსონაჟთან ჰქონდა პრობლემები, არ ესმოდა იმ ქალის... აღმოჩნდა, რომ უნდა შეემეცვალა მსახიობი... მერე მარინასთან მივედი სტუმრად. მარინას ახალი გარდაცვლილი ჰყავდა მეუღლე და სულ სხვანაირი მარინა ვნახე, ჩვეულებრივი ქალი, რომელიც არის ტრადიციული მოცული, ფიქრობს შვილის გაზრდაზე, ცხოვრების გაგრძელებაზე და ეს ყველაფერი ცნობის სახეზე და მე მივხვდი, ეს იყო ის ბერნარდა, რომელიც მე მინდოდა და შევთავაზე. ვიმუშავეთ და გამოვივიდა ის, რაც გამოვივიდა. სპექტაკლი, რომლისაც მე არ მრცხენია, ეს იყო წარმატებული სპექტაკლი, რომლის შემდეგაც მე სერიოზულად შემომხედეს ჩემმა კოლეგებმა, რეჟისორებმა, ამ სპექტაკლის შემდეგ უკვე ყველა მსახიობთან შემეძლო მისვლა და როლის შეთავაზება და არასოდეს უარი არ მიმთხარა არც ერთი მსახიობისგან. მასსოვს, პრემიერაზე, პირველი მოქმედების დამთავრების შემდეგ, წამოვდგა გურანდა გაბუნია, მიუბრუნდა რეჟისორებს და ვთქვამს ხმაზე გასახს, რეჟისორებო, ნახეთ, როგორ უნდა დაიდგას სპექტაკლი. ეს იყო აქციასავით, დიდი გამოწვევა, მსახიობებმა ხელთათმანი გადაუდგეს რეჟისორებს...

- „ბერნარდას“ შემდეგ ისევ წავიდა ლონდონში, ლონდონში რომ დადიხარ, დედოფალს რომ უყურებ, ვესტ მისტერის სასახლეში როგორი რიტუალია, გინდა არ გინდა მოქმედებ... მერე სტიუარტი გამახსენდა, ნიგო ვნახე ელისაბედი პირველზე, ნელ-ნელა დავიწყე ფიქრი, ჩანანერების, ჩანახატების კეთება, აქ რომ დავბრუნდი, შილერი ავიღე, მაგრამ ძალიან ცუდად მოვექცევი შილერს, ტექსტის 20 % თუ შევიწარმუნე მხედობოდა და აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე, ან 9 დღეში უნდა დაგვედგა სპექტაკლი, ან გადასულიყო შემდეგ სეზონზე. 9 დღეში დაიდეგ, მარია სტიუარტი“, დილით ცხრა საათზე რომ შევდიოდი რეპეტიციაზე, შუალამეს გამოვდიოდი, დავიხოცეთ და 9 დღეში წარვდექით მაყურებლის წინაშე, და ეს იყო ჩემი მეორე გამოცდვა, ერთი წლის შემდეგ, მარია სტიუარტი“ ნავიდა ვაიამარში, შილერის საერთაშორისო ფესტივალზე და ავიღეთ გრან-პრი... ძალიან მიყვარს ეს სპექტაკლი, დღემდე მალევევს ძალაუფლების, მისი კანონიერების თემა, ის, თუ როგორ იწოვს ძალაუფლება ადამიანურ რესურსებს, როგორ ცვლის და ანგრევს ტახტი ადამიანებს შინაგანად... ძალიან მიყვარს „მოხუცი ჯამბაზები“, მართლაც საუკეთესო პერიოდი იყო ასეთ არტიტულ თანავრსკვლავედთან მუშაობა, ეს იყო ყველა სკოლის ერთად გავლა - თუმანიშვილის, დოდო ალ-

ექსიდის, სტურუას... ამ სპექტაკლმა დიდი წარმატება მომიტანა და ეს იყო იმ დიდი მსახიობების დამსახურება...  
- სხვა რომელ პერიოდს გამოარჩევდით თქვენი ცხოვრებიდან?  
- ჩემთვის, როგორც არტისტისთვის, ყველაზე საინტერესო და ყველაზე მთავარი პერიოდი იყო მაშინ, როდესაც ვითამაშე ჰამლეტი. დღემდე არ ვიცი, რატომ, რა ნიშნით ამომარჩია ავთო ვარსიმაშვილმა იმდენ კარგ არტისტში? „ჰამლეტი“ არის პიესა, რომელზეც წლები ფიქრობენ რეჟისორები და ზოგი ისე მიდის, ვერც ახორციელებენ. უცებ ჰამლეტს გაძლევს შენ, ესე იგი მან დაინახა რაღაც, რაც მე თვითონ არ ვიცი. დიდი მადლობა ავთოს, მოწინებთა და პატივისცემით, რომ მომეცა საშუალება ჩავსულიყავი იმ სიღრმეებში, იმ ხვეულებში... ისეთი ტექნიკა აქვს ამ როლს, იმდენ კარს გიხსნის, იმდენი პლასტი უნდა გამოავლინო შენი შესაძლებლობები, რომ ამ როლის შემდეგ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ იყავი. ეს არტისტული უნებობაა, შური კი არაა, სურვილია, მუშაობის სურვილი. მაშინ არ მესმოდა და მწყინდა, როცა არ მაკავებდნენ, მაგრამ როგორც კი რეჟისურაში გადავედი, ყველა რეჟისორის მიმართ გამიარა გაბრაზებამ, მივხვდი, რომ იმიტომ კი არ გაკავებხს, რომ ან არ მოსწონხარ, ან უნიჭოდ გთვლის, იმიტომ რომ კონკრეტულ როლზე იმას ხედავს, თუმცა შენ ნიჭიერებასაც ხედავს. მეც ასე ვარ, ხანდახან მსახიობს იმიტომ კი არ ან ვერ ვაკავებ, რომ არ მომწონს, არა, კონკრეტულ როლზე მჭირდება ესა თუ ის მსახიობი...

- კი, როგორ არა, ახლაც ძალიან მინდა ედმუნდი ვითამაშო „მეფე ლირში“, მაგ მონოლოგს მაინც ჩავენერ. არც ლირი, არც მასხარა, ედმუნდი მინდა. მეტი არაფერი, რასაც მაძლევენ, იმისგან ვფიქრობ მერე გააკეთო მაქსიმუმი, რომ არავის ვგავდე. როგორც მსახიობს 25-მდე როლი მაქვს შესრულებული, მაგრამ ისე 700-მდე როლი მაქვს, ყველა როლი, რაც ჩემ დადგმულ სპექტაკლებშია, ჩემს ქურაშია გამოტარებული, რომელსაც შემდეგ ფიზიკურად სხვა აკეთებს... როგორც მსახიობი კი ვითამაშე მარჯანიშვილის თეატრში, როცა მაკავებენ და ყველა რეჟისორთან ვარ ძალიან დამყოლი მსახიობი, ვერც ერთი რეჟისორი ვერ გეტყვის, რომ ვჭირვებულხ. რეჟისურამ მასწავლა მეორე მხრიდან ყურება, გამათავისუფლა წყენებისგან, ბოლმისგან... როცა მსახიობი ვიყავი და არ მაკავებდნენ თეატრში, მეგონა, რომ ის ჩემი როლი იყო, რატომ მისცა იმას, და არ მომცა მე. ეს არტისტული უნებობაა, შური კი არაა, სურვილია, მუშაობის სურვილი. მაშინ არ მესმოდა და მწყინდა, როცა არ მაკავებდნენ, მაგრამ როგორც კი რეჟისურაში გადავედი, ყველა რეჟისორის მიმართ გამიარა გაბრაზებამ, მივხვდი, რომ იმიტომ კი არ გაკავებხს, რომ ან არ მოსწონხარ, ან უნიჭოდ გთვლის, იმიტომ რომ კონკრეტულ როლზე იმას ხედავს, თუმცა შენ ნიჭიერებასაც ხედავს. მეც ასე ვარ, ხანდახან მსახიობს იმიტომ კი არ ან ვერ ვაკავებ, რომ არ მომწონს, არა, კონკრეტულ როლზე მჭირდება ესა თუ ის მსახიობი...

# pop



ქეთი მელაშვილი



ქეთი მელაშვილი



ქეთი მელაშვილი



ნიკა გვარამია მარინა ბერიძე



გოგა ცულავა



ნიკა გვარამია მარინა ბერიძე



# როჯი



ალექსანდრე იაშვილი



ნანკა და დუტა



გიორგი გაბუნია და თამთა გოდუაძე



ნინა სუბლატი



ნიკა რამიშვილი (დრუპი)

# ბანახლეხული სასტუმრო „ოაზისი“ რაქვში



სასტუმრო „ოაზისი“ შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმიდან 15 კმ-ში მდებარეობს. ის 42 000 კვ.მ-ზე გადაჭიმული უნიკალური კომპლექსია, მოხმარებლისთვის შექმნილი ყველა სახის კომფორტით. „ოაზისი“ სრულიად განახლდა ბოლო ორი წლის მანძილზე და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით, ევროპული სტანდარტების ნომრებითა და კარგი მომსახურებით ცდილობს საუკეთესო შთაბეჭდილებები და მოგონებები დაუტოვოს სტუმრებს. უზარმაზარი, გამწვანებული, მოვლილი ტერიტორია და იქ შექმნილი მყუდრო, სასიამოვნო ატმოსფერო სრულიად ამართლებს სახელს - ეს არის ნამდვილი „ოაზისი“ მათთვის, ვისაც უყვარს გემოვნებით, კომფორტულად დასვენება და ზღვის გარემოთი ტკობა.

## ბანახლეხული სასტუმრო „ოაზისი“ და „პრაიმთაიმი“ გიწვავთ რაერთო უნიკალურ აქციაში:

1. დაგვირეკეთ: +995 32 247 22 33 +995 592 29 60 60 +995 592 84 72 72
2. დაასახელეთ კოდური წინადადება „We Create Oasis For You“
3. დაჯავშნეთ ნომერი 4 ივლისამდე
4. მიიღეთ 15%-იანი ფასდაკლება!
5. გაატარეთ დაუვიწყარი დღეები „ოაზისში“

ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თავისუფალი ოთახების რაოდენობა შეზღუდულია. დამატებითი ინფორმაციისთვის, მოგვმართეთ მითითებულ ნომრებზე.

სასტუმრო „ოაზისი“ ამჟამად სამი დამოუკიდებელი კორპუსი და ჯამში 155 ნომერი აქვს. მას შეუძლია ერთდროულად 500 ადამიანს უმასპინძლოს. ნომრის ტიპები მორგებულია ყველანაირი მოთხოვნის მქონე დასვენებელზე, სასტუმროში არის როგორც სტანდარტული, ასევე დელუქსის სტილის ნომრები, სუიტები და პენტჰაუსი.



სასტუმროში ფუნქციონირებს ღია და დახურული საცურაო აუზები, საუნა და ფიტნეს ცენტრი, სპა ცენტრი, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, „ტენისის“ კორტები, საბილიარდო კუთხე, პლაჟის ფრენბურთის მოედანი. პატარებისთვის მოწყობილია ცალკე გასართობი კუთხე, სათამაშო მოედნითა და აკვა პარკით. მათ გამხიარულებასე სხვადასხვა პროგრამებით მიმდინარე სეზონზე უკრაინიდან სპეციალურად მოწვეული 5 ანიმატორი იზრუნებს.



„ოაზისი“ საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებს სთავაზობს თავის სტუმრებს. სხვა მსგავსი კლასის სასტუმროებისგან განსხვავებით კი, ნომრის ღირებულებაში შედის სამჯერადი კვება ფართო ასორტიმენტითა და უგემრიელესი კერძებით.

ის, რაც ყველაზე მეტად გამოარჩევს „ოაზისის“ კომპლექსს სხვა სასტუმროებისგან არის დაცული, 200 მეტრი სიგანის კეთილმოწყობილი და სუფთა პლაჟი, ჩაქვის ზღვის განსაკუთრებულად სუფთა წყლით. პლაჟზე დამსვენებლებისთვის ფუნქციონირებს ბუნგალოს ტიპის ბარი, საშხაპეები და საპირფარეოები.



მომხმარებლებისთვის უფასოა თეთრი შეზღონგებით, ქოლგებითა და საზღვაო პირსახოცებით სარგებლობა. მათთვის, ვისაც დამატებითი კომფორტი, სიმყუდროვე და მაღალი კლასის შეზღონგებით სარგებლობა უნდა, სანაპიროზე მოწყობილია ფასიანი „VIP ზონა“.

გართობისა და განტვირთვისათვის „ოაზისში“ ფუნქციონირებს ორი ბარი პლაჟსა და ეზოში, ლობი ბარი და ლაუნჯის ტიპის დახურული ბარი „მედუზა“. გურმანებს შესაძლებლობა აქვთ უგემრიელესი კერძები დააგემოვნონ ორ, ღია და დახურულ რესტორანში.

„ოაზისში“ წარმოდგენილი მრავალფეროვანი სერვისები სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა. სასტუმროში სხვადასხვა სიდიდის ხუთი საკონფერენციო დარბაზია. აქ არის ყველაფერი ერთ სივრცეში, რაც ორგანიზაციებს დიდ კომფორტს უქმნის კორპორატიული ტრენინგების, თიმბილდინგის და სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

„ოაზისი“ აგრეთვე საუცხოო ადგილია ქორწინებისათვის. ზღვის პირას, კომფორტულ კომპლექსში გემოვნებით გამართული ცერემონია ამ დღეს ყველასათვის დაუვიწყარ მოვლენად აქცევს.

თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ თქვენი „ოაზისი“, რადგან მას ამ სასტუმროში ქმნიან სწორედ თქვენთვის.

# სოხუმელი მეცენატის პროვინული სახე - სოხუმის „ცხუმი“ - კატარა გუნდი დიდი გემგებით

მაგდა კლდიაშვილი

19 ივნისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალგაზრდული საფეხბურთო კლუბი, სოხუმის „ცხუმი“ ყოფილი შარტავას სახელობის თასის მოგებისთვის მედლებითა და თასით დააჯილდოვეს. ამ გუნდს, რომელიც სოხუმის „დინამოს“ განშტოებაა, აფხაზი ბიზნესმენები საკუთარი სურვილით და სიყვარულით ინახავენ.

როგორ აღდგა და მოვიდა ეს გუნდი დღემდე და ვინ პატრონობს ამ ქართულ საქმეს - „პრაიმტიმში“ „ცხუმის“ კვლავი კვლავ. სოხუმის „ცხუმი“ 1990 წელს, სოხუმის „დინამოს“ განშტოების შედეგად შეიქმნა. „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში დარჩა, „ცხუმმა“ კი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გადამწყობა მოახდინა. გუნდი არც თუ ურიგოდ გამოდიოდა, მაგრამ ომის გამო, ის ჩემპიონობას გამოეთიშა. მას შემდეგ, იყო გუნდის აღდგენის რამდენიმე მცდელობა, თუმცა იდეა ჩავარდა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, მურად ანჯაფაროვი გუნდის ხელახალი აღორძინებისთვის, სოხუმელ ბიზნესმენს, მეცენატს, ალექსანდრე ნულაიას ემადლიერება, რადგან მან ქართულ საქმეს მოიკიდა ხელი გუნდის აღორძინების გამო. ანჯაფაროვიც სჯერა, რომ გუნდს, რომელმაც მესამე ლიგიდან დაიწყო ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლა და მოგორი კედელს ლიგა, დიდი წარმატებები ექნება.

„დღეს, საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგის გუნდს, სოხუმის „ცხუმს“, ყოფილი შარტავას სახელობის თასის მოგებისთვის ვაჯილდოებთ. გუნდმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში აღორძინდა და ხელახლა დაფუძნდა, პერსპექტივა დიდი აქვს. მისი დამფუძნებელი ალექსანდრე ნულაია და მისი მეგობრები არიან. კარგი შედეგი აჩვენეს ამ ბიჭებმა და დღეს უკვე ვფიქრობთ, ამ გუნდის ბაზაზე, შევქმნათ ისეთი გუნდი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს და ლირსული მეტოქე იქნება ჩემპიონატში მონაწილე სხვა კლუბებისა“, - განაცხადა ანჯაფაროვი.

მას გამოჩენა არ უყვარს, საქმის კეთება ჩუმად სურს, თუმცა ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, მაინც გვეუბნება საკუთარ გულსტიკივლს. ალექსანდრე ნულაია, გუნდის გენერალური სპონსორია და სახელმწიფოს ფულს არ სთხოვს, მას მხოლოდ ხელისუფლებისგან დახმარება სჭირდება.

გუნდი თემქაზე, „შატილის“ სტადიონზე ვარჯიშობს და იქვე თამაშობს, თუმცა არსებული პირობები უკეთესის იმედს ტოვებს. „სამწუხაროდ, ამჟამად, ვიმყ-



ოვებით თემქაზე, „შატილის“ სტადიონზე, ბაზა თუ ჰქვია მას. არენდით გვაქვს ალბუნი და ყოველთვიურად ვიხდით ფულს. გვინდა და გვაქვს იმედი, რომ ეკონომიკის სამინისტრო დაგვეხმარება და გუნდს ბალანსზე გადასცემს რაღაც ვადით, თუნდაც 10 წლით მინაშ, რომელზეც ჩვენი სახსრებით ავაშენებთ სტადიონს. ერთ მოედანზე საუბარი, დანარჩენს, ყველაფერს - დრენაჟს, მინდვრის საფარს, ტრიბუნებს, ტექნიკურ მხარეს ჩვენ მოვავაგებთ. ადგილებიც გვაქვს შერჩეული გარეუბნებში და ეს ისეთი მინა იქნება, რომელიც კომერციულ ღირებულებას არ წარმოადგენს და საინტერესო არ არის სახელმწიფოსთვის“, - აცხადებს ნულაია.

გარდა მოედნისა და ერთი ძირითადი გუნდისა, ნულაიას აკადემიის დაარსებაც სურს. „ცხუმს“ ახლაც ჰყავს ასაკობრივი გუნდი, თუმცა ამ მხრივ, უფრო სერიოზული გეგმები აქვთ. როგორც ალექსანდრე ნულაია ამბობს, გუნდი 16,17 და 18 წლის ბიჭებით არის დაკომპლექტებული. იმის გამო, რომ მათ მეტი მოტივაცია ჰქონდეთ, გუნდის გენერალური სპონსორი მათ ფულადი პრემიებითაც ახალისებს.

„სტიმულის სახით, როდესაც პირველი წრე დასრულდა, პრემიები დაფურთგეთ. ლიგის მოგების შემდეგ, ისევ წავახალისეთ. ამის სურვილი სულ გვაქვს და წარმატებებზეც ვფიქრობთ. მეორე ლიგაში გადმოვიდით. იმ გუნდებს, ვისაც ამხანაგურად ვეთამაშეთ მეორე ლიგიდან, ყ-

ელასთან მოვიგეთ ან ფრედ დავასრულეთ შეხვედრა, ამიტომ, გვეჯერა, რომ მეორე ლიგაშიც წარმატებულები ვიქნებით“, - ამბობს ალექსანდრე ნულაია.

მისივე თქმით, თუ სახელმწიფო გუნდს რაიმეთი დაეხმარება, მისი სპონსორები მზად არიან ორმაგი თანხა დახარჯონ გუნდისთვის, დახმარებაში კი, როგორც ვითხარით მოედნის ასაშენებლად საჭირო მინაშ გული-სხმობენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, რეზი არველაძე აცხადებს, რომ „ცხუმის“ მსგავსი გუნდების არსებობა, ნებისმიერ კონტექსტში, მათი ხსენება, საქართველოს შემადგენლობაში, ეროვნული თუ ერთიანი ჩემპიონატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ცხუმის“ მსგავსი გუნდების არსებობა და ნებისმიერ კონტექსტში მათი ხსენება, საქართველოს შემადგენლობაში, ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც არსებობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გუნდები და ჩვენც მაქსიმალურად ხელს ვუწყობთ, რომ უფრო კარგად იყვნენ. ახლა მიდის სახელმწიფოსთან მოლაპარაკება იმაზე, რომ თანხები დაიხარჯოს ფეხბურთის განვითარებისთვის. ეს უნდა იყოს რაღაც საერთო იდეათა თანხვედრა. ჩვენ, სხირად თუ არა, უმეტესწილად, ვცდილობთ, დავხმაროთ კონკრეტულ ღონისძიებებს. ამ ეტაპზე, შესაძლოა, ჩვენი მხარდაჭერა მინიმალურია, მაგრამ თუ საჭიროება იქნება, ეს გუნდებს, ვისაც ამხანაგურად ვეთამაშეთ მეორე ლიგიდან, ყ-



რაზი არველაძე



მურად ანჯაფარიძე



ალექსანდრე ნულაია

**ალექსანდრე ნულაია სახელმწიფოს მოედნის ასაშენებლად ვინის ნაკვეთის არენდით გადმოცემას სთხოვს**

# ლაშა ბულაძე „ნავიგატორის“ პრემიერას პარიზიდან სკაიპით ჩაერთვება



„ძვირფასო FB მეგობრებო! 26, 27 და 28 ივნისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე პრემიერა მაქვს! დავდგი ლაშა ბულაძის პიესა „ნავიგატორი“. ამ სპექტაკლით, სოსხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, პირველად წარვსდგები მაყურებლის წინაშე. ამიტომ ორმაგად ვნერვიულობ. ძალიან მინდა, რომ მოხვდეთ და დაესწროთ!!! თქვენი მოსვლით მხარს დაუჭერთ ჩემს საყვარელ თეატრს და დარწმუნებული ვარ, რომ ისიამოვნებთ სპექტაკლით. თქვენი სუყო“. ეს მიმართვა დავით საყვარელიძემ სოციალურ ქსელში ორი კვირის წინ დადო. თებერულიდან სოსხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ორი თვეა რაც „ნავიგატორს“ დგამს.

**„ოთარი“**  
ლაშასთან რეჟისორის დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. სანამ ოპერის თეატრის მმართველი გახდებოდა და დრამატურულ თეატრს ჩამოშორდებოდა, მეგობრის პიესებს სცენაზე მუდმივად აცოცხლებდა. პირველად 18 წლის წინ ითანაპრობლეს.

**დათო საყვარელიძე:** - მიხეილ თუმანიშვილი რომ გარდაიცვალა, დარჩა ვაგუფი, რომელთანაც სადილომომო სპექტაკლი ვერ გამოუშვა. ამ ვაგუფში ჩემი მეგობრები იყვნენ და მე მთხოვეს დილომში გაგვაკეთებინეო. პიესები რომ წავიკითხეთ, ყველაზე მეტად ლაშა ბულაძის „ოთარი“ მოგვინონა. ლაშა 17 წლის იყო თეატრალურ სარდაფში მისი პიესა რომ დავდგი. იმ დროს ვავიციანთ ერთმანეთი. ლაშას სცენიური ნათლობა მე მეკუთვნის. კავკასიური თეატრალური ლაბორატორია გვქონდა, სადაც თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე ვმუშაობდით. ბევრი თანამედროვე დრამატურგის პიესა დავდგი. ლაშას პიესაში შეფარული სიბრძნე, ერთგვარი ტრაგედი იყო. „ოთარი“ მოსკოვში რაღაც ფესტივალზე გვექონდა წარდგენა. მას შემდეგ ლაშას პიესებს სულ ვდგამ. მესამის მისი ენა და იუმორი. მისი პიესების ერთ-ერთი პირველი მკითხველი მე ვარ. რუსთაველის თეატრში ჩემი დადგმული ლაშას „სულიერი არსებები“ ახლაც ვაღივს.

**„ნავიგატორის“ ისტორია**  
როგორც დათო ამბობს, ლაშას „ნავიგატორში“ მონაწილეობა აქვს მიღებული. მეგობრები სამი წლის წინ ერთად იყვნენ ევროპაში. ისტორიაც იქ განვითარდა.  
**დათო საყვარელიძე:** - „ნავიგატორში“ მონაწილეობა მივიღე, ნათესაური კავშირი მაქვს პიესასთან. მე და ლაშა ფესტივალზე წავედით, პრალიდან მოუწვევნი დაქირავებული მანქანით მივიდოდით. გზა არ ვიცოდი, ნავიგატორი გვექონდა ჩართული. ვინაიდან ჩეხეთი ყოფილი საბჭოთა ბანაკიდან გახლავთ, პრალიდან გასასვლელ გზაზე სამუშაოები მიდიოდა, ავტობანზე გადათხრილი იყო გზები. გვერდის ავლა მინევდა, ნავიგატორი კი მერთვებოდა და ყვიროდა - არასწორი გზით მიდიხარ, პირდაპირ იარეო. მე დაუწყე ჩხუბი, ენა გააჩუმე-მეთქი. მერე ამაზე ლადაობა დავიწყეთ. თბილისში რომ დაგბრუნდით, ლაშამ დანერა ეს პიესა. გაგზავნა მსოფლიო რადიოპიესების კონკურსზე, 5 ათასი ფუნტი მოიგო. შე-


2013-2014 წლისთვის  
ლაშა ბულაძე  
**ნავიგატორი**  
პარიზის თეატრში  
პრემიერა  
კლასიკური  
Gulf  
მოდერნი  
LINCORNET  
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი  
დათო საყვარელიძე

**დათო საყვარელიძე:** „ლაშას პიესებს სულ ვდგამ. მესმის მისი ენა და იუმორი. მისი პიესების ერთ-ერთი პირველი მკითხველი მე ვარ“

ქაპირის „გლობუსის თეატრში“ პრიზი გადასცეს. BBC-მ ძალიან ცნობილი ვარსკვლავების მუშაობით ჩაწერა ეს რადიოპიესა. BBC-ზე ამ რადიო პიესას ხშირად უშვებენ და ყოველ ჯერზე ლაშას რაღაც გარკვეულ თანხას ურიცხავენ. პიესით როგორ შეიძლება დრამატურგმა იცხოვროს, ეს ლაშას მაგალითზე შეიძლება გაიგოს. „ნავიგატორი“ ლიტერატურული პრემია „საბას“ მფლობელიც არის.  
მოსკოვში თეატრ „პრაქტიკაში“ 2013 წლის სექტემბერში დავდგი „ნავიგატორი“. მათა მამალაძე მოსკოვში ერთადერთია, ვინც ქართულ პიესებს რუსულად თარგმნის. ის არის ქართული დრამატურგის დესპანი რუსეთში. მისი თარგმანები ორიგინალს უტოლდება. ლაშას პიესები რუსეთის და ინგლისის თეატრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

- პიესა სულიერ მარტოობაზეა. ეს არის პიესა ადამიანზე, რომელსაც დღევანდელ ცხოვრებაში დააკლდა ის მზრუნველობა, რომელსაც ნავიგატორში პოულობს. მთავარი გმირი, როსტომი ამბობს, ყველაზე სიმართლეს ნავიგატორი მეუბნება, სწორ გზაზე ის მაყენებსო. ეტყობა ადამიანებს ერთმანეთის მზრუნველობა დაგვაკლდა. ამიტომ გაჩნდა მზრუნველობის და ურთიერთობის დეფიციტი. მიხედა ყველამ თავისი თავი ამოიცნოს. თუმორშიც არის და სენტიმენტალიზაცია. ვთვლი, ახალი მიმდინარეობაა - ახალი სენტიმენტალიზმი. როსტომს ფართო ჩანაწერს ასმენინებს ნავიგატორი. როდესაც ხედავ, რომ ადამიანი არასწორ გზაზე დგას და შეცდომას უშვებს, ეს სენტიმენტებს იწვევს. ეს ნავიგატორი ჩემთვის ფასეულობების ნავიგატორია. ფასეულობა იწვევს მიმართულებებს.

**სულიერ მარტოობაზე**  
- დათო, რითია აქტუალური დღეს ეს პიესა?  
**სკაიპით ჩართული ლაშა**  
მთავარ როლშია ბადრი ბეგალაძე-



**„პიესით როგორ შეიძლება დრამატურგმა იცხოვროს, ეს ლაშას მაგალითზე შეიძლება გაიგოს“**

**„ლაშა პარიზშია, პროექტით გახლავთ წასული და ცოლს ურეკავს, მიდი პრემიერაზე და სკაიპით მაყურებინე სპექტაკლი“**



ილი, რომელიც წელს სოსხუმის თეატრის მსახიობი გახდა. სპექტაკლში თამაშობენ ბესო ქარჩავა, ნანა ხურიტი, ედემ ხვიჩია, გიორგი გასვიანი. სპექტაკლი საათი და 25 წუთი გრძელდება. მუსიკალურ ვაფორმებაზეც დათომ იმუშავა, იტალიელი მომღერლის, ტიტო სკიპას ორ სიმღერას იყენებს.  
„თბილისის მერიის ღონისძიებათა სამსახური და კულტურის სამინისტრო ფინანსურად დაგვეხმარა, რომ ეს პიესა დამეგდა. რუსთაველის თეატრში ბატონა რობერტ სტურუამ დაგვიტოპო ექსპერიმენტული სცენა“.

სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ, ბატონი დიმიტრი დამსახურება. პრობლემა ის, რომ შენობა არ აქვს თეატრს. არსებობს შენობა, რომელიც ექვს მილიონს საჭიროებს, რომ გაკეთდეს და კეთილმოეწყოს. აფხაზეთის მთავრობას ამის შესაძლებლობა არ აქვს. სარეგულირებო გეგმებს, რომელიც უნდა მოვანერვიო. „ბელუქსმა“ ავეჯი გვაჩუქა. ყველას უნდა რომ დაგვეხმაროს. დასი მზადაა ნებისმიერი სირთულის დასაძლევად. დასში 30 მსახიობია. თეატრში ორი რეჟისორი ვართ, მე და ბექა ქავთარაძე. ჩვენთან მონვეერი ითაც თანამშრომლობენ რეჟისორები.



**ლაშა ბულაძეს მოსწონს ინსცენირება?**  
- ლაშა პარიზშია, პროექტით გახლავთ წასული და ცოლს ურეკავს, მიდი პრემიერაზე და სკაიპით მაყურებინე სპექტაკლი.

**სოსხუმის თეატრს 130 წელი უსრულდება**  
„ქარგად ციციო სოსხუმის თეატრის დასს. დასი კარგადაა ჩემ მიმართ განწყობილი. ამ თეატრის ტრადიციების მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს. 1997 წელს მათთან ერთად დავდგი სპექტაკლი. გიორგი ქავთარაძის შვილი, ბექა ჩემი კურსელი და მეგობარია. ერთი პერიოდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ჩემი მეგობარი მერაბ ყოლბაია იყო. მთხოვა, იქნებ თანამშრომლობა დავინყოთ. იქნებ დიმა ჯაიანმა შემომთავაზა, ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კენჭი იყარეო. ამირჩიეს. ის, რომ მე დღეს სოსხუმის თეატრის

წელს უკვე მესამე სპექტაკლზე ვმუშაობთ. გვიხდა წელიწადში ოთხი სპექტაკლი დაიდგას. მომავალ წელს სოსხუმის თეატრს 130 წელი უსრულდება. იუბილე სახელმწიფო დონეზე უნდა აღინიშნოს.  
სოსხუმის თეატრში დიდების დაბრუნებისთვის მკაფიო ნაბიჯებს ვდგამთ. თუ ამოვქაჩავ, გამიხარდება. ძლიერი მსახიობები არიან და სერიოზული შესაძლებლობა გვაქვს. დარწმუნებული ვარ, პრემიერაზე ბევრი ხალხი მოვა. ეს გასართობად მოსვლა არ არის, ეს ერთგვარი აქციაა თეატრის გვერდში დასადგომად. 5 ივლისიდან რეგიონებში გვექნება გასვლები. სპექტაკლი მოივლის საქართველოს. სამი ფესტივალი გარანტირებული გვაქვს. მინვეული ვართ ფრანკფურტში, კიევში, ერევანში.  
გეგმაში მაქვს დოკუმენტური თეატრალური პროექტის გაკეთება ზვიად გამსახურდიას მკვლევართან დაკავშირებული დაკითხვების მიხედვით. კოკო გამსახურდიამ გამოსცა წიგნი, სადაც თავმოყრილია დაკითხვის ოქმები. სპექტაკლს ამის მიხედვით დავდგამ“.

**„ნავიგატორში“ მონაწილეობა მივიღე, ნათესაური კავშირი მაქვს პიესასთან. მე და ლაშა ფესტივალზე წავედით, პრალიდან მოუწვევნი დაქირავებული მანქანით მივიდოდით. ავტობანზე გადათხრილი იყო გზები. გვერდის ავლა მინევდა, ნავიგატორი კი მერთვებოდა და ყვიროდა - არასწორი გზით მიდიხარ, პირდაპირ იარეო. მე დაუწყე ჩხუბი, ენა გააჩუმე-მეთქი. მერე ამაზე ლადაობა დავიწყეთ“**

# ფესტივალი „პოემუსი“ საერთაშორისო გახდა



თამარ გომეზაძე

საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ფესტივალი „პოემუსი“ წელს საერთაშორისო გახდა. მარშან ის სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე შემოსული თანხით დახმარებას უწევდა მზრუნველობა მოკლებულ, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. „პოემუსი“ ქველმოქმედებას წელსაც განაგრძობს. ამჯერად ფესტივალი ქართველ არტისტებთან ერთად მსოფლიოს შვიდი ქვეყნის არტისტები იღებენ მონაწილეობას. იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ბრაზილიიდან, უკრაინიდან, რუმინეთიდან, ბოსნიიდან 20 არტისტი ჩამოვიდა - მომღერლები, მსახიობები, მუსიკოსები... ღონისძიებებზე დასრულება, რომელიც ფესტივალის დამმარსებელს ბექა ელბაქიძესა და მსახიობ ნინო თარხან-მოურავს მიჰყავთ, თავისუფალი ან მოსწონებით ხორციელდება. 1 ივნისს ფესტივალმა სტარტი ბორჯომიდან აიღო და ლეიკემიას მიეძღვნა. 19 ივნისს მწერალთა სახლში გამომცემლობა „ინტელექტთან“ ერთად კინოსა და თეატრის თხუთმეტმა მსახიობმა ციხურყანაძეების შემოქმედება გაიხსენეს. მოეწყო ნიგუნის გამოფენა-გაყიდვა. საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ - მარინა კახიანი, იასუბიტაშვილი, ზალიკო ჩიქობავა, ნატო გაგნიძე, დიმიტრი ტატიშვილი, ეკა ჩხვიციანი...

22 ივნისს სასტუმრო „კრონადას“ თბილისში, რომელიც ფესტივალის უცხოელ მონაწილეებს მასპინძლობს, „პოემუსი“ მიღება მოაწყო. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის და ელჩებისთვის ფესტივალის პრეზენტაცია გაიმართა და მუსიკალური საღამო მოეწყო. იმღერეს თამთა ცხვიტავამ, ანკო ნიჟარაძემ, გიგი ვანდერმა, ფრანგმა სტუმარმა იზაბელ სელესკოვიჩმა, რუსმა მსახიობმა და მომღერალმა ნატალია სიმონოვა.

23 ივნისს კაფე „ლინვილი“ ფესტივალ „პოემუსის“ ფარგლებში ფრანგული მუსიკის საღამოს უმსახიობებს, სადაც სპეციალური სტუმარი თანამედროვე ფრანგული თეატრის და კინოს მსახიობი და მომღერალი იზაბელ სელესკოვიჩი იტალიელ ვირტუოზ მევილინი მუხომეოსთან და გიგი ვანდერთან ერთად მუსიკალურ პერფორმანსს გამართავს.

26 ივნისს, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მარჯანიშვილის თეატრში „პოემუსი“ სპექტაკლ-პერფორმანსს - „ცეცხლი ნადილი“ - წარმოადგინეს. სპექტაკლს ფესტივალის საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“, „უნივერსის“, ევროკავშირის და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით წარმოადგინეს. იდეის, ტექსტის ინსცენირებისა და ადაპტაციის ავტორი ბექა ელბაქიძეა. სპექტაკლში სულ 60 ადამიანი მონაწილეობს. ქართველი მსახიობებიდან მონაწილეობენ:



გიორგი კორლანაშვილი, თამთა შალამბერიძე, ელენე კალანდაძე, ქეთი ორჯონიკიძე, ლევან მასპინძელაშვილი; უცხოელებიდან ალესიო ბონდი, დიტის მერილი. ბექა ელბაქიძე: - 60-70-80-იანი წლების ცნობილი როკ-კვარსკვლავების ცხოვრებაზე, რომლებიც ნარკოტიკების ზე ღონისძიებით დაილუნდნენ, რელიგიური მასალები ავიღე და სპექტაკლში მათი რეკონსტრუქცია ხდება. ეს არის ხმა საქართველოდან მსოფლიო ხალხებს - ნარკოტიკი კლავს. ნარკომანიის წინააღმდეგ ქართველი და უცხოელი მსახიობები ერთიანდებიან და სპექტაკლში აცოცხლებენ - კურტ კობეინის, ჯიმ მორისონის, ჯენის ჯოპლინის, ემი უაინჰაუსის, ჰიტ ლეჯერის, უან მიმელ ბასკისა, ჯია მარია კარანჯის, მია მარტინის ცხოვრებას. გათამაშდება ფრაგმენტი

## „ამ ფესტივალის შესახებ ჩვენ გავიგებთ, დაუფიქრებლად თქვენ - მომღერალთა ჯონორების გაცხადებით. საკუთარი გადაწყვეტილება და ჩვენთვისაც გადანიშნავთ. ჩვენ აქ ჩამოსულივართ“

### EXCLUSIVE

# ფესტივალს შვიდი ქვეყნიდან 20 არტისტი შეუერთდა

ირაკლი ჩარკვიანის წიგნიდან „მშვიდი ცურვა“, რომელიც პაატა ინაური ითამაშებს. სპექტაკლის რეჟისორია იოსებ ბაკურაძე, კოსტუმების მხატვარი ელენე რამიშვილი. დამდგმელი ქორეოგრაფია ლუკა ჩხვიძე, გრომზე მუშაობს ანუკა მურვანიძე, რომელიც გრომით მსახიობებს ჩამოთვლილ გარდაცვლილ ვარსკვლავებს დაამსგავსებს. სპექტაკლი იტალიურად და ინგლისურად გათამაშდება. მასში მონაწილეობენ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები, „ურისონის“ მოცეკვავეები, პანტომიმის თეატრის ახალი თაობა. სპექტაკლში გვევლინება პროვოკაციული ნიმრები - სტრობიტიზორი გოგონები და ბიჭები შოუს დადგამენ. დიდი სანახაობა ელოდება მაყურებელს.

27 ივნისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ეძღვნება. „პოემუსი“ გადანიშნავს კუს ტაბზე. ეს ღონისძიება ეწყობა ფოსტის განვითარების ფონდისა და „დროგოუპის“ მიერ. გამართება გამოფენა-გაყიდვა, ხელოვნების და მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გამოაქვთ. შემოსული თანხა გადაეცემათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, რომლებსაც ასევე ექნებათ გამოტანი-



ლი თავიანთი ნამუშევრები. ღონისძიება ნატო სულხანიშვილს მიჰყავს, საღამოს 8-9 საათიდან კი დაიწყება კონცერტი, სადაც მონაწილეობენ ბრაზილიელი მომღერლები - ნევა ლუკასი და ჟოალ პასტოსი, ფრანგი იზაბელ სელესკოვიჩი მიკლელ მოისთან ერთად. იტალიური ბენდი ტიტის მერილიო და მეგობრები, სცილიელი მომღერალი ალისიო ბონდი. ანტონიო მალუჩი და ფრანკესკო მორინოზოვი. ელენე კალანდაძე ახალი პროგრამით წა-

რსდება, საღამოს კი დაასრულებს ნიკა მახაძე.

28 ივნისს ფესტივალის მთლიანად უძღვნილი ლეიკემია. ეს ღონისძიება დიმიტრი ცინცადის ფონდთან ერთად კედე-

ბექა ელბაქიძე: - დღის განმავლობაში უცხოელ მსახიობებთან ერთად მივდივართ იაშვილის კლინიკაში, სადაც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს უნდა ნაწულთ საჩუქრები. გამომცემლობა „ინტელექტის“ გამოცემულ საბავშვო წიგნებს მივუტანთ. ასევე ტკბილეულს. ექვსი საათიდან მუსიკომედიის თეატრში იტალიური მუსიკის საღამო გაიმართება. გალაკტიონს წავიკითხავთ ქართულად და იტალიურად. 90-იან წლებში ლუიჯი მაგაროტოს თარგმნილ გალაკტიონს იტალიური მუსიკის ფონზე დუეტებში ქართველები და იტალიელები წავიკითხავთ. დაიდგმება ყუთი, რომ მსურველებმა პატარების თანხით დახმარება შეძლონ. მერე გადავინაცვლებთ „ელ ცენტროში“, სადაც ბრაზილიური მუსიკის საღამო გაიმართება. ნევა ლუკასი ქეთი ფარესამეილთან ერთად იმღერებს. ყუთები აქაც იმუშავებს. ლუკასი ბარსელონაში მოღვაწეობს და მან უკვე ჩაწერა ხუთი ალბომი. ის ბარსელონაში დევება.

ფესტივალის კვირეულის სპონსორია თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი. ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობს სასტუმრო „კრონადასი თბილისი“. ტრანსპორტით გვეხმარებიან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და „ვით ჯორჯია“. კვებას



**ბექა ელბაქიძე:**  
„სამი თვეა ვმუშაობ ამ ფესტივალზე. იტალიაში და ესპანეთში ცხოვრებისას „პოემუსზე“ ვმუშაობდი. ჩამოსული არტისტებიდან ზოგი მათგანი ჩემი მეგობრები არიან. ესენი არიან ადამიანები, ვისთან ერთადაც მითამაშია სპექტაკლში, კინოში, მასტერკლასებზე ვყოფილვარ“

უზრუნველყოფს რესტორნების ქსელი „კანაპე“, კაფე „ლინვილი“, „ლივერპოლი“, რესტორანი „კალინა“. საინფორმაციო მხარდაჭერა „რუსთავი 2“, გაზეთი „პრაიმტიმი“, საინფორმაციო სააგენტო „პირველი“. გვეხმარება ანუკა მურვანიძის სკოლა სტუდო. „დალანდ ფროდაქემნი“ ჩანანერებს აკეთებს.

- ბექა, რამდენი ხანია მუშაობ ამ ფესტივალზე?  
- სამი თვეა ვმუშაობ ამ ფესტივალზე. იტალიაში და ესპანეთში ცხოვრებისას „პოემუსზე“ ვმუშაობდი. ჩამოსული არტისტებიდან ზოგი ჩემი მეგობარია. ესენი არიან ადამიანები, ვისთან ერთადაც მითამაშია სპექტაკლში, კინოში, მასტერკლასებზე ვყოფილვარ. სულ

Poemus International 2014 21-28 June



სანაცნობო წრეა. ამ ფესტივალის შესახებ რომ გაიგეს, დაუფიქრებლად თქვეს - მოვდივართ ჰონორარს გარეშე. საკუთარი გადაწყვეტილებით და რეპეტიციები გადავინიხებს, რომ აქ ჩამოსულიყვნენ. საშუალება არ გვქონდა, რომ ადრე ჩა-



„რა გვრჩება, აქეთ ვიხდით ხელფასს-მეთქი. რატომ? გიღობო? უკვირთ. ჩვენ ყველანი ვპასუხობთ - „არსებობს სამოქალაქო სოლიდარობა, დიდი ადრენალინი, რომ შეგიძლიათ ვილაპარაკოთ გაუკეთო. მერე კი, როდესაც შედეგები იდგება, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს“. ამ ქვეყნიდან ვერაფერს წავიღებთ, ვტოვებთ მხოლოდ სახელს. ფრანგული ანდაზა არსებობს, ადამიანი სიკვდილის მერე სახელს ტოვებს, ვეფხვი - ტყავს. მნიშვნელოვანია როგორ იცხოვრებ. ამისთვის კი ღირს წვალებაც და ნერვიულობაც, ხშირ შემთხვევაში მათხოვრობაც. შედეგები არის, ეს კი გვაბედნიერებს.“



მოვეყვანა და რეპეტიციები ფორსმა-ფორმი მდის. მზად არიან, რომ თავანწირვით იმუშაონ.  
- იტალიაში და ესპანეთში რა მისი-ით იყავი?  
- ბარსელონაში მასტერკლასი გავი-ართ, რომში თეატრის აკადემიაში ვსწავ-ლებოდი და სპექტაკლში ვითამაშე. ასე-ვე ვითამაშე „პოემუსში“ „რომეო და ჯუ-ლიეტაში“ რომეოს როლი შევარსულე. ავიყვანე აგნტი ტიტანა დიოდატო,



## my View

თავარ გონება

„რუსთავი 2“-ის ზეგებად“ ნოდუბული „X ფაქტორის“ პროდიუსერები ქეთი მელუასთან მოლაპარაკებას პროექტის დაწყების დღიდან ანარმობენ. ქეთის გრაფიკიდან გამომდინარე, არც თუ ისე ადვილი რომ იქნებოდა მისი თბილისში ჩამოყვანა, ცხადია. გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე რისი ზეგები არიან, პროექტი მაღალ რანგში რომ არ აიყვანონ და მასში მსოფლიო დონის ვარსკვლავები არ ჩართონ. „ასეთი ტიპის სატელევიზიო შოუებში ქეთი მელუა საერთოდ არ მონაწილეობს. დაძაბული გრაფიკის მიუხედავად მან გამოხატვისი დაუშვა, დიდსულოვნება გამოიჩინა და თავისი აბსოლუტურად კეთილი ნებით ჩამოვიდა. ჩვენ შორის კომერციული გარიგება არ შემდგარა. ეს ქეთის კეთილი ნება იყო. ჩვენ კი ეს სტიმულს გვაძლევს, „X ფაქტორი“ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდეს. ქეთი მეგა ვარსკვლავია. მის გარდა ბრიტანეთში ორი ქალი ვარსკვლავია - მაღონა და კეიტ ბლუმი, რომელმაც ზედიზედ ექვსი ალბომი გაყიდა და ბრიტანეთის ათეულშია.

**ქეთის რომელი სიმღერა გიყვართ?**  
- „A Happy Place“ არის ჩემი საყვარელი სიმღერა ქეთი მელუას შემოქმედებიდან.

წინა ვიზიტით ქეთი მელუა თბილისში 3 მარტს იყო, ერთი დღით ფონდ „იან-ანას“ მიერ გამართულ საქველმოქმედო საიუბილეო კონცერტზე. ოთხი სიმღერა შესარულა, მათ შორის ყველასთვის საყვარელი „Nine Million Bicycles“ და „I Cried For You“. მანამდე კი გარძიში იყო. „უძველესი ფრესკების გადარჩენის პროექტს მხარს ვუჭერ და ბრიტანეთში საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარე. ძალიან ვისაიამოვნე და საერთოდ გარძიის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. იცით, რა არის ყველაზე საინტერესო - „არტის გალერეა“ ეძებს ქართულ სტუდენტებს, რათა მათ ფრესკების დიაგნოსტიკა და კონსერვაცია ასწავლონ. უნდათ, მომავალმა თაობამ ეს საქმე იცოდეს“.

### ქეთი „X ფაქტორში“ და მის კულისებში

14 ივნისს ფუნქციონირებდა ქეთი „X ფაქტორის“ კონკურსანტებს შეხვედა და მასტერკლასი ჩაუტარა. „აუცილებელი არ არის, თავიდანვე იცოდეს რა გინდა, როგორ უნდა იმღერებ. მე 20 წლის ასაკში არ ვიცოდი, ზუსტად რა მინდოდა. მთავარია, რომ გიყვარდეთ ის, რასაც აკეთებთ“.

ქეთი უშუალოა, გილიმის, უნდა პასუხები გულწრფელად გაგცეს. ქართულად თავისებურად, საყვარლად ლაპარაკობს. ხუთი წლის იყო საქართველოდან ბრიტანეთში რომ ჩავიდა საცხოვრებლად. ქართულად მხოლოდ ოჯახში საუბრობს.



**გიორგი ხაბურზანია: „ასეთი ტიპის სატელევიზიო შოუებში ქეთი მელუა საერთოდ არ მონაწილეობს. დაკაპული გრაფიკის მიუხედავად მან გამოხატვისი დაუშვა. ჩვენ შორის კომერციული გარიგება არ შედგარა. ეს ქეთის კეთილი ნება იყო“**

ქვს, ანუ მუსიკალურ შოუში დამპატივებს და ჩამოვიდა. რამდენიმე თვის წინ ვიყავი სამშობლოში და რომ დავაკვირდი, აქ სამუშაო ვიზით ჩამოსვლა მომწონს. ამჯერადაც მომინდა. სამშობლოსთვის დრო უნდა გამოიხატოს“.

**უყურებ ბრიტანულ „X ფაქტორს“?**

- ვერ ვახერხებ, სულ აქეთ-იქით დავფრინავ და ვერ ვახერხებ. ვიცი, რომ გარშემო სულ უყურებენ. ქართული რომ მომწონს, ამიტომ მოვედი აქ, პირველად „X ფაქტორის“ ისტორიაში.

**მოგწონს ქართული „X ფაქტორის“ დონე და ხარისხი?**

- ძალიან მომწონს. კონცერტზე მეც ვეღვალავდი. ადამიანის გაკრიტიკება ძალიან მემიწია. როდესაც არტისტი სცენაზე მდებარეობს, შეიძლება ერთი გამოსვლა წარუმატებელი ჰქონდეს და იმ მომენტში არ იყოს დიდი ვარსკვლავობისთვის მზად. ამიტომ არ მინდა შევამინო. ამას ვწერვითულობდი.

**მენტორებზე რა აზრი გაქვთ?**

- არ ვფიქრობ, რომ მკაცრები არიან. კონკურსანტებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს სატელევიზიო შოუა. სხვადასხვა ტიპის კონკურსანტებია საჭირო. ამის მიხედვით ლაგდება პროგრამა.

**რომელი კონკურსანტი დაგამახსოვრდა?**

- ყველა - სოფო, სალომე, მიშო, თორნიკე, მებო.

**სახელები ასე კარგად გახსოვს?**

- კონცერტამდე ხომ შეხვედით მათ. კარგები არიან.

**ქეთი, მანინც წარმატების ფორმულა რა არის?**

- ერთი ფორმულა წარმატებისთვის არ არსებობს, რომ ყველას გამოადგეს და ყველასთვის ეფექტური იყოს. ბევრი შრომამი ხედავს ამ წარმატებას. იცით, რამაა საქმე?



რა ბრენდის ტანსაცმელი გაცვია-მეთქი, ვკითხე. ეგონა, „ზარა“ ეცვა, მერე ვიზაჟისტთან გადაამოწმა და მომიბოდიშა, რომ არ ახსოვდა. ფოტოგრაფს მოვუყუევი, ბრენდი არ ახსოვდა და მომიბოდიშა-მეთქი. „აი, რაზე ეტყობა ადამიანი რომ არის და რომ არ აინტერესებს ბრენდე“.

ბი. აბა, თბილისელი ყოფილიყო, რაც არ ეცვა, იმას მოიგონებდა და გეტყვოდაო“, - მითხრა. ორივემ ერთხმად ვალიარეთ, რომ ქეთი ბრენდებზე დამოკიდებული არ არის და „ადამიანური ვარსკვლავია“.

შავი მაქსიანი ზედა და მუქი ლურჯი ქვედაბოლო ეცვა, სადაც და ლამაზად გამოიყურებოდა. „X ფაქტორის“ კონცერტის დღეს საკონცერტო დარბაზში ადრე მივიდა და ჟიურის სკამი მოირგო. ყურადღებით კითხულობდა, რისი გაკეთება ევალებოდა.

**სტეფანე მღებრივი:** „ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქეთი მელუას ჩვენ პროექტში ჩართვა. ის ნამდვილი მსოფლიო ვარსკვლავია, ყველანაირი გაგებით“.

**გიორგი გაბუნია:** „ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენთან ერთად იყო ქეთი. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ ჩემ გვერდით იჯდა და ამ დონის ვარსკვლავის გვერდით ყოფნით დიდ პატივში გახლდით. გული მწყდებოდა იმაზე, რომ თამთამ დამტოვა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი განმორება იყო. ჩვენ ისევე ერთად ვისხდებით“.

**სოფო ტოროშელიძე:** „ჩემთვის დიდი პატივია. მიხარია, რომ ქეთი გავიცანი. ძალიან უშუალო და არაჩვეულებრივი ადამიანია. ღიმილით და დადებითი განწყობით შეხვედბა იმ საგრძობლო ოთახში, სადაც თვითონ იჯდა. კონცერტზე ზუსტად დაიჭირა მომენტები და კონკურსანტებს ისეთი რჩევები მისცა, რაც პირველი მოსმენისთვის ძნელი იყო, მაგრამ მან ეს შეამჩნია“.

ქეთი სამშობლოში დედასთან და ვიზაჟისტ ნანსისთან ერთად ჩამოვიდა. „პრაიმტიმთან“ საუბარში მუსიკოსმა თქვა, რომ ნანსისთან ერთად მაშინ დადის, როდესაც სატელევიზიო შოუებში მონაწილეობს ან ფოტოსესია აქვს.

**ქეთი მელუა:** „ნანსი მაკაუფს და თმას მიკეთებს. შეიძლება ჩემთან თანამშრომლობს. ძალიან ტკბილი ადამიანია, კარგად მიცნობს. კარგი მეგობარია. სულ ჩემ გვერდით არის“.

ნანსი კულისებში დაჰყვებოდა, მაკაუფს უსწორებდა, ხელის გულზე იყრიდა პუდრას, ფუნჯს აწებდა და კარგად ნაცნობ სახეს კორექტირებას უკეთებდა.

მომღერალმა „პრაიმტიმს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

**ქეთი მელუა:** „აქ ჩამოსვლა სულ მიხარია. ყოველ წელს ვცდილობ ვენვიო სამშობლოს. ნათესავებთან ჩამოვდივარ. ამჯერად სამსახურებრივი ვიზიტი მა-

**„ჯეიმსი მუდამ ჩემი ინსპირაციის წყაროა. ის უმაღლესი ადამიანია“**



**„ახლა ერთი პროექტზე ვმუშაობ და მე ძალიან მიხდება 2015 წელს საქართველოში ჩამოვიტანო. პროექტი კავშირშია საქართველოსთან. ისეთი პროექტია, მე გმონი, უნდა გაგიხარდეთ“**



## „X ფაქტორში“ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს. ეს ბარედან პარბად ჩანს. მიხარია, რომ ასეთ პროექტში ვიყავი სტუმრად. ამიტომ მოვედი ამ, პირველად „X ფაქტორის“ ისტორიაში“

EXCLUSIVE



**„ერთი ფორმულა წარმატებისთვის არ არსებობს, რომ ყველას გამოადგას და ყველასთვის ეფექტური იყოს. გვერი შრომაში ხელახს ამ წარმატებას. როცა იმას აკეთებ, რაც ძალიან გიყვარს, იძინებ თუ იღვიძებ მხოლოდ მუსიკასა და სიმღერაზე გეფიქრება, შრომა გვერდითი ეფექტი ხდება. გაგიყვებელი უნდა იყო სიმღერაზე. სული და გული უნდა ჩადო მისი სიყვარულით ამ შრომას არაფრად მიიჩნევ. კიდევ ერთი ფაქტორია - გარემო კარგი გუნდი უნდა გყავდეს. „X ფაქტორში“ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს. ეს გარედან კარგად ჩანს. მიხარია, რომ ასეთ პროექტში ვიყავი სტუმრად.“**

როცა იმას აკეთებ, რაც ძალიან გიყვარს, იძინებ თუ იღვიძებ მხოლოდ მუსიკასა და სიმღერაზე გეფიქრება, შრომა გვერდითი ეფექტი ხდება. გაგიყვებელი უნდა იყო სიმღერაზე. სული და გული უნდა ჩადო მისი სიყვარულით ამ შრომას არაფრად მიიჩნევ. კიდევ ერთი ფაქტორია - გარემო კარგი გუნდი უნდა გყავდეს. „X ფაქტორში“ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს. ეს გარედან კარგად ჩანს. მიხარია, რომ ასეთ პროექტში ვიყავი სტუმრად.

- ფრედი მერკური, რობერტ პლანტი, ჯონი მიჩელი, ბობ დილანი, ევა კესიდი.  
- **ქართულ სიმღერას ასრულებ?**  
- კონცერტებში ვმღერი ქართულ სიმღერას. ექვსი თვის წინ ანსამბლ „შიდ-კაცასთან“ ერთად ვიმღერე „ჩემო ციცი-ნათელა“. მიყვარს ეს სიმღერა. მიყვარს გაიყვარების შემოქმედება. მიყვარს ჰამლეტ გონაშვილი. უცნაური ხმის მქონე მომღერალი იყო.  
- **საქართველოში კონცერტს არ გეგმა?**  
- ამის სურვილი სულ მაქვს, უბრალოდ, ტექნიკურად და ლოგიკურად ეს



ძნელია. ახლა ერთ პროექტზე ვმუშაობ და მე ძალიან მინდა 2015 წელს საქართველოში ჩამოვიტანო. პროექტი კავშირშია საქართველოსთან. იმედი მაქვს, ჩამოვიტან და განვახორციელებ. მაგრამ ჯერ საიდუმლოა. ისეთი პროექტია, მე მგონი, უნდა გაგიხარდეთ.

**ჯეიმსი და ქეთი**  
თითქმის ერთი წლის წინ ქორი გავრცელდა, ქეთი ქმარს გაეყარაო. ერთ-ერთი ინგლისური ყვითელი გამოცემა - „Come On“-ის ივლისის ნომრის გარეკანზე ქეთი მელუას ფოტოს გატეხილი გული ეხატა და ასეთი სათაური ჰქონდა გამოტანილი - „ისევე მარტოხელაა?“ „დასრულდა?“ ჟურნალში ქეთი მელუასა და ჯეიმს თოსლენდის შესაძლო დაშორებაზე ეწერა. გამოცემა ერთი ფანის ნამბობზე უყრდნობოდა, რომელიც ამბობდა, რომ პარკში მარტო მოსიერე მონყენილი ქეთი დაინახა. მისი და ჯეიმსის გაშორებაზე რატომაც ეჭვი დიდი ხანია არსებობს... 3 მარტს „იანვანას“ საიუბილეო კონცერტზე ჩამოსულ ქეთისთან „პრაიმტიმში“ გაარკვია, რომ ეს ცრუ განგაში იყო. ქმარზე თვალგაბრწყინებულ ისაუბრა. ასევე იყო ახლაც. ქეთიმ თოსლენდი ჩვენს ინტერვიუში დიდი სიყვარულით მოიხსენია.



**„არ იცით? ჯეიმსს თავი უნდა დაენებებინა სპორტისთვის, რადგან მაჯა დაიზიანა და ვერ აგრძელებს მოტომბოლის კარიერას. ორი წელია ასეა და მუსიკაში ამიტომ მოღვაწეობს.“**

დაიზიანა და ვერ აგრძელებს მოტომბოლის კარიერას. ორი წელია ასეა და მუსიკაში ამიტომ მოღვაწეობს. ძალიან უყვარს მუსიკა.  
- **რა დანერე ბოლოს, რა მიუძღვინი?**  
- ძალიან პრივატულ ისტორიას ვერ მოგიყვებთ. ჯეიმსი მუდამ ჩემი ინსპირაციის წყაროა. ის უმაღლესი ადამიანია.  
„პრაიმტიმი“ ერთადერთი ქართული გამოცემა აღმოჩნდა, რომელსაც ჯეიმს თოსლენდმა ინტერვიუ მისცა. მან გვიამბო, როგორ დანიშნა მალდივებზე ქეთი და რა რომანტიკულ გარემოში სთხოვა ხელი. მოტომბოლაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჯეიმსი ახლა აქტიურად მუსიკოსობს და თავისი კონცერტებით ქველმოქმედებას ეწევა, სტუმრობს ბავშვთა საავადმყოფოებს და პატარებს ეხმარება. ქეთის ძმა - ზურა მელუა მის ბენდში გიტარაზე უკრავს. წელს სინგლი გამოუშვეს სახელწოდებით „Life is beautiful“. ძალიან პოპულარული სინგლი

ყოფილა. ორი წლის წინ მაჯა დაიზიანა და თექვსმეტწლიან კარიერას დროებით ასე გამოემშვიდობა. ქეთი „ტიტანით“ ატყობინებდა საზოგადოებას, რომ ჯეიმსმა ოპერაცია გაიკეთა. საშობაოდ მომღერალს ასეთი რამ ეწერა: „ეს რა კვირაა. ჯერ საფრანგეთში წავედი ჯეიმსის მაჯის ოპერაციის გასაკეთებლად, მაღლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ ჩამოვედი და მანქანა გატეხილი დაგვხვდა. რა ცუდი მობაა...“  
**ჯეიმს თოსლენდი:** „ჩემი თექვსმეტწლიანი კარიერით თითქმის ჩემი ცხოვრება სრულად დაგეგმილი იყო და სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი. ამ ფაქტის მერე კი ჩემმა მუსიკისადმი ენებამ მიმახვედრა, რომ მთელი ჩემი ენერჯის ჩადება მე უკვე მასში შემქმნელი.“  
- **ქეთი, დასასვენებლად როდის ჩამოხვალ?**  
- ჯერ ვერ გეტყვი. რა ხდება ევროპაში უნდა ვნახო და განრიგს გადავხედო. თუმცა ვიცი, რომ დრო უნდა გამოვებნო.

# Tango In Red Major

**my View**  
თავარ გონებაჲ


26 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში ნიუ-იორკის, პარიზის, რომის, ვენის, ამსტერდამის, ტოკიოს, სტამბოლის, ვარშავის, სეულის და სხვა ქალაქების საკონცერტო სტანდარტის დაპყრობის შავი ტანგოს ცოცხალი ლეგენდა Gustavo Russo, თავისი შესანიშნავი დასითა და პროექტით „TANGO IN RED MAJOR“. პროექტი „თიბისი ბანკის“ ვიპსამსახურისა და „გრავო რეკორდის“ ინიციატივით სოციალურად და სტუმრებს დაუპყრობის სანახაობას ჰპირდება. კონცერტზე დასასწრები ბილეთები შეზღუდულია და დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში და [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ზე იყიდება. ფასი 50 ლარია. დასასწრისი 20:00 საათზე.

„ბრაგო რეკორდსმა“ სპეციალური მონვევით ქართველ მსმენელს რამდენიმე უცხოური პროექტი უკვე წარუდგინა და მომავალშიც აქტიურად აპირებს ამ მიმართულებით

## ცოცხალი ლეგენდა Gustavo Russo, თავისი შესანიშნავი დასითა და პროექტით „TANGO IN RED MAJOR“

მუშაობის გაგრძელებას. ცოცხალი ლეგენდა Gustavo Russo, თავისი შესანიშნავი დასითა და პროექტით „TANGO IN RED MAJOR“ 26 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში ნიუ-იორკის, პარიზის, რომის, ვენის, ამსტერდამის, ტოკიოს, სტამბოლის, ვარშავის, სეულის და სხვა ქალაქების საკონცერტო სტანდარტის დაპყრობის შავი ტანგოს ცოცხალი ლეგენდა Gustavo Russo, თავისი შესანიშნავი დასითა და პროექტით „TANGO IN RED MAJOR“. პროექტი „თიბისი ბანკის“

ვიპსამსახურისა და „ბრაგო რეკორდის“ ინიციატივით ხორციელდება და სტუმრებს დაუპყრობის სანახაობას ჰპირდება. კონცერტზე დასასწრები ბილეთები შეზღუდულია და დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში და [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ზე იყიდება. ფასი 50 ლარია. დასასწრისი 20:00 საათზე.



# მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

**my View**  
თავარ გონებაჲ

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას და ვებ-გვერდს BRAVISSIMO.GE-ს შორის 18 ივნისს გაფორმდა ლიცენზია, რომელიც პირველი ლიცენზიორული მუსიკის ვებ-გვერდზე გაყიდული ქართული და უცხოური მუსიკალური ნაწარმოების ავტორებისათვის დადგენილი ტარიფით შემოსავლების გადახდას გულისხმობს. როგორც იქნა ჩვენც უერთდებით ცივილიზებულ სამყაროს და თავისი ინტელექტუალური საკუთრებისგან ავტორი კუთვნილ დამატებით შემოსავალს მიიღებს. აქ მოიაზრება კომპიუტერული, ტექსტის ავტორები და მუსიკალური გამომცემლობები. ეს კი ყბადღებულ თემასთან - მეკობრეობასთან ბრძოლის კარგი დასაწყისია. ლიცენზიის გაფორმება მედიის თვალში „ბრაგო რეკორდსმა“ პრესკონფერენციაზე მოხდა. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძემ და „ბრაგო რეკორდსის“ პრეზიდენტმა ზაზა შენგელიამ ჩვენ ქვეყანაში დაგვიანებული, მაგრამ საჭირო თემის გარშემო ისაუბრეს.

ზაზა შენგელია: - საავტორო უფლებათა ასოციაციასთან ერთად ვინცერთ

ფართომასშტაბიან ბრძოლას მეკობრეობის წინააღმდეგ. მედია ხშირად წერს, რომ შოუბიზნესი მკვდარია. ასე არ არის. კინო, მოდა, ლამის ცხოვრება - ყველაფერი ვერ კიდევ ერთ ადგილას დგას, ეს მუსიკალური ინდუსტრიაა, რატომ? იმიტომ, რომ არ ტარდება საგასტროლო ტურნეები და არ არსებობს საავტორო უფლებები, რაც დიდი ხერხია ბიზნესში. ამ ხერხიდან კი ფულის გადინება ხდება. ეს თემა ყველას სატყვიარია. ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ, ვერ იღებენ თავიანთი შრომის შესაბამის თანხებს. მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ თანხები ლეგალურად გამოიშვან. როდესაც ეს ბიზნესი ლეგალური გახდება, შემოსავლები ბოუფეტშიც იმატებს. ამ შემოსავლებზე ხელის მოხერხება იქნება დასაწყისი დიდი კამპანიისა, რომელიც მეკობრეობასთან ბრძოლას სათავეს დაუდებს. ვაპირებ ამ ბრძოლაში ფართოდ ჩაერთოთ მუსიკოსები. სახელმწიფოსთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა - ყველაფერი უნდა მოინადინოს ამ მიზნით. თუ გვინდა ევროპის გზა, აი, ეს არის ევროპის გზა. ეს არის ის, რასაც ჩვენთან ითხოვს ევროკავშირი.

გიგა კობალაძე: - დადგა დრო, რომ დაიწყოს კამპანია მეკობრეობის წინა-



აღმდეგ. რამდენიმე კვირის წინ მომხმარებელს BRAVISSIMO.GE-მ შესაძლებლობა მისცა ლეგალურად მიიღოს ხარისხიანი მუსიკა. ამან გააჩინა შესაძლებლობა, რომ სახელმწიფომ დაიწყოს ზრუნვა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც

არსებობს და მწვავედ დგას. ეს პრობლემა ეხება თითოეულ მუსიკოსს და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანს. ეს პრობლემა ართმევს მას დამატებით შემოსავლის მიღების წყაროს. ეს არის ევროკავშირთან დაახლოების და უბრალოდ, ცივილიზებულიობის ვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულებაში ჩართული უნდა იყოს ერთდროულად რამდენიმე მხარე. აქტიური უნდა იყოს მუსიკოსი და ამ სფეროში ჩართული ყველა ადამიანი, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმ კანონმდებლობის აღსრულება, რომელიც გვაქვს და ცივილიზებულ სამყაროს შეესაბამება. სამსუხაროა ის, რომ ამ კანონმდებლობის აღსრულებაში დღემდე ძალიან დიდი

პრობლემებია. ჩვენი შემორანდუმით სახელმწიფოს მივცემთ ბიძგს და, კარგი გაგებით, „ვაიძულეთ“ ქმედითი ლონისძიებების გატარებას. მედია იმ კუთხით უნდა მოახდინოს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირება, რომ ადამიანის ცნობიერებაში მეკობრეობა ალიქმეზობა და ჩვენი ცნობიერება მიუხელოვოს მსოფლიოს დონეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აზრად არ მოუვათ, რომ მოიპარონ მუსიკა, ფილმი და ისე უყურონ და უსმინონ მას. BRAVISSIMO.GE-ს დაარსების მერე ვეღარ იციხხავს მომხმარებელი, თუ არ მოიპარო, სად მოუფსონო მუსიკასო. ეს მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისია.

ქეთათო პოპიაშვილი: - იმედია, მუსიკოსები ლეგალურ ჰონორარს მიიღებენ. მუსიკა ჰაერით ვეჭვრდება, გვწყურია. ავტორებს კი ანაზღაურება სჭირდებათ. ჯერ კიდევ ირაკლის სიცოცხლეში არაერთხელ წაწყვდომივართ კასეტებზე ჩანერილ მის სიმღერებს. კასეტის მფარვეს მხარეს ვილაყ შემსრულებლის სიმღერები ყოფილა. მოხუცი ცოლ-ქმარი ყიდდნენ, ვერაფერს რომ ვერ ეტყოდნენ, საქმლის ფულს რომ გამოიშვებოდნენ.



# მიზა მისხმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უკავაყოფილო დატოვა

**my View**  
თავარ გონებაჲ

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ გასულ კვირას მსახიობმა მიზა მისხმა პროტესტის ნიშნად დატოვა. მან ასეთი ტექსტი თქვა: „არ მინდა ახლა „სიაფანდი“ შედეგები, რად მინდა. მე არ მინდა, ამით ვინცმე შეურაცხყოფა მივაყენო, არ მინდა ყველაფერი ვილაპარაკო. უბრალოდ, არ მსიაოვნებს, არ მომწონს რაღაც რაღაცები. აქედან გამომდინარე, მინდა, რომ წავიდე“. აუტსაიდერმა მიზამ იქაურობა დატოვა მანამ, სანამ მამყურების გადაწყვეტლებას გამოაცხადებდნენ. ამ ფაქტის შესახებ პირველი კომენტარი პროექტის პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ ექსკლუზიურად PrimeTime News-თან გააკეთა.

ნოე სულაბერიძე: - ალღევეული იყო, ასე მგონია და ასე რომ მოსულიყო და შედეგებზე პრეტენზია გამოეთქვას, არ ყოფილა. ეთერის შემდეგ ვისაუბრეთ ჩვეულებრივად, ჩემთან პრეტენზიებით არ მოსულა. უბრალოდ, ალღევეული იყო, რომ პროექტს ტოვებდა.

- რითი იყო უკმაყოფილო პროექტში?

- არ ვიცი, ალღევეული იყო. მიმსთან ვემეგობრობ და იმედია, რომ წყნა გაუფლის. ყველა ადამიანს სწყინს, როცა პროექტს ტოვებს.

- შენ არ გეწყინა, „სიაფანდი“ შედეგები რომ ახსენა?

- ცოტა მეწყინა, მაგრამ რას ვიზამთ. იმედია გაუფლის.

ინგა გრიგოლია: - მეც ასე პირდაპირ ეთერში გავიგე ეს ამბავი, როცა მიზა

აუტსაიდერებში მოხვდა. ნანყენია, მაგრამ ძალიან მიკვირს. ასეთ სერიოზულ დონეზე გაბრაზებები და წყენები ასეთ მოუბებში ცოტა უცნაურია. მით უმეტეს და ჟიური ძალიან კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ. „სიაფანდი“ შედეგებში, ალბათ, ხალხის მიერ შეთქმულ ესემბლებს გულისხმობდა. ჩემთვის ცოტა გამაოგნებელია უცბად ასეთი განცხადების მოსმენა სცენაზე, მაგრამ ნუ მისი გადასაწყვეტი იყო. რატომ არ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო? ჟიურიმ ვეტოს უფლება ხომ სწორედ მასზე გამოიყენა ნინა ტურში.

თავად მიზა სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ასე რომ, ბოლომდე გაურკვეველი რჩება, რატომ იყო ის შოუთი უკმაყოფილო.



# „The best of KING“ - „ბრავო რეკორდსმა“ მეფის ალბომი გამოუშვა



„ბრავო რეკორდსმა“ ირაკლი ჩარკვიანის უნიკალურ პროექტზე მუშაობა დაასრულა, რომელიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოვიდა CD ალბომი სახელწოდებით „The best of KING“, რომელიც შესულია ირაკლი ჩარკვიანის ყველა დროის საუკეთესო თერთმეტი ჰიტი და ასევე მსმენელისათვის ნაკლებად ცნობილი 5 ბონუს სიმღერა. გარდა საუკეთესო და ბონუს მუსიკალური ნაწარმოებებისა CD ალბომის დიზაინი განსხვავებული და ორიგინალური ფორმით არის წარმოდგენილი, რომლის კონცეფცია ქეთათო პოპიაშვილს და დავით მაჭავარიანს („კაკადუ“) ეკუთვნის. ალბომის სრული ტირაჟი სპეციალური შეკვეთით უკრაინაში დაიბეჭდა. ალბომს თანდართული აქვს მინი კატალოგი, რომელიც აწყობილია ირაკლის საუკეთესო ლექსებით, ექსკლუზიური ფოტოებითა და ჩანაწერებით. ვფიქრობ, ამით ალბომი მეფის მსმენელებისთვის საუკეთესო საჩუქარია „ბრავოსგან“. 24 ივნისს ყურნალისტები ალბომის პრეზენტაციაზე ვართ დაპატიჟებული. CD ალბომი 24 ივნისიდან „ბრავო რეკორდსის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი იქნება (მაღაზია „გურუ“, ლიტერატურული კაფეები, აეროპორტის მაღაზიები, რუსთაველზე არსებული სუვენირების მარაზიები და ა.შ.). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუსიკალურ მაღაზიებში ირაკლი ჩარკვიანის არც ერთი ალბომი არ არის გაყიდვადი და ამ ალბომის სახით, „ბრავო რეკორდსმა“ შეძლო მუსიკოსის შემოქმედების საუკეთესო ნამუშევრების თავმოყრა და ერთ ალბომად გაერთიანება, რომელიც ერთიან წარმოდგენას შეუქმნის თითოეულ ადამიანს, თუ როგორი იყო ირაკლი ჩარკვიანი.

გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: - მართლაც გამორჩეული ეპოქის შემქმნელი მუსიკოსისა და პოეტის ახალი უნიკალური CD ალბომი სახელწოდებით „The best of KING“ გამოვიდა და მასში საუკეთესო ჰიტებია თავმოყრილი. აქვეა მცირე კატალოგი, სადაც ირაკლის, იმავე „მეფის“ ექსკლუზიური ფოტოები, ჩანაწერები და



24 ივნისიდან მეფის ალბომი 11 ჰიტით და 5 ბონუს სიმღერით

EXCLUSIVE



ბი ვართ, რომ ვმონანილობთ პროექტში, რომელიც კიდევ მრავალი თაობისთვის დიდი საჩუქარი იქნება. ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება აქტუალობას არ კარგავს და მისი პოპულარობა მზარდია, მათ შორის ახალგაზრდებში. მხოლოდ დიდ შემოქმედებს ხვდებათ ხოლმე ასეთი პატივი, სიცოცხლე გააგრძელონ თავისი შემოქმედებით, ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც.  
რუსო კაპანაძე, „კავკასუს ონლაინ“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: - ინტერნეტმა შეცვალა მსოფლიო. ირაკლი ჩარკვიანმა შეცვალა მსოფლმდგელობა. ინტერნეტმა გააქრო საზღვრები, ირაკლი ჩარკვიანმა ეს კიდევ



მოაზროვნე და მემამოხე სულის მქონე, უნიკალური ხელოვანის - ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება. გარდა განსხვავებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმის ტემბრისა, ირაკლის მიერ დაწერილ მუსიკაში და ტექსტებში იგრძნობა უდიდესი პროტესტი არსებული რეალობის მიმართ. ირაკლი იმ უიშვიათეს მუსიკოსთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა შემოქმედება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო აქტუალური და ახალგაზრდა თაობებისათვის უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ჩვენ ვამაყობთ, რომ ვართ ამ პროექტის განხორციელების იდეის ავტორები და უდიდესი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ამ ალბომზე მუშაობას. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართულ მუსიკაში ისეთი მოვლენის, საუკეთესო სიმღერებისა და ლექსების კრებული, რითიც მოღვაწეობის ბოლო პერიოდში „მეფე“ იყო ცნობილი, ყველა ჭეშმარიტი მუსიკის მოყვარულის პირად კოლექციამ უნდა არსებობდეს.  
გოჩა გოგილაშვილი, „პე-ეს-პე“ ჯგუფის დირექტორი: - მოხარულე-



გურამ ოდიშარია: „ბრავო რეკორდსში“ საბანგაპო პრესკონფერენციის მოწყობით „საძირკველიც“ ჩვენ ჩავუყარეთ და ირაკლის შემოქმედების მოყვარულსა, თაყვანისმცემლებსა და დიდი სიხარული მოუტანეთ“



საუკეთესო ლექსებია წარმოდგენილი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეს პროექტი სწორედ ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა - არც თუ დიდი ხნის წინ „ბრავო რეკორდსში“ საგანგებო პრესკონფერენციის მოწყობით „საძირკველიც“ ჩვენ ჩავუყარეთ და ირაკლის შემოქმედების მოყვარულსა, თაყვანისმცემლებსა და დიდი სიხარული მოუტანეთ.  
ზაზა შენგელია, მუსიკალური კომპანია „ბრავო რეკორდსის“ პრეზიდენტი: - ამ პროექტის სახით შევცადეთ მსმენელისათვის კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა ერთადერთი და განუმეორებელი, თავისუფლად

ზაზა შენგელია: „თანამედროვე ქართულ მუსიკაში ისეთი მოვლენის, საუკეთესო სიმღერებისა და ლექსების კრებული, რითიც მოღვაწეობის ბოლო პერიოდში „მეფე“ იყო ცნობილი, ყველა ჭეშმარიტი მუსიკის მოყვარულის პირად კოლექციამ უნდა არსებობდეს“

შეძენა არც ერთ მაღაზიაში არ იყო შესაძლებელი. ფანები, ინტერნეტის საშუალებით, არაღელვარულად იწერენ სიმღერებს. უცხოელებთან არაერთხელ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილვარ, რადგან ირაკლის ალბომს ეძებდნენ და მაღაზიებში არ იყო. ახლა ასეთი სიურპრიზი გაუუკეთეთ ყველას. ამ ალბომში ისეთი სიმღერები შედის, რომ ის უნდა გეღოს. მაღლობა ყველას, ვინც ალბომზე იმუშავა.  
გელა ჩარკვიანი: - ჩემთვის, მშობლისთვის, ამ დროს ირაკლი ცოცხლდება. ამისთვის ყველას ვუხდით მაღლობას, მთელ საზოგადოებას. მოთხოვნა რომ არ იყოს, ალბომიც არ გამოვიდოდა. 90-იანებში ირაკლის ნათქვამის დღესაც კარგად

ესმის საზოგადოებას. „იუთუბზე“ ვუსმენ, არ მაქვს მისი ალბომი. სიმღერები ნაწყვეტებად მაქვს. მაღლობა ყველას და, რა თქმა უნდა, ბატონ ზაზა შენგელიას, ვიცი, „ბრავოს“ ხარისხი. მაღლობა ქეთათოს, რომელიც ყოველთვის ისე წარმოაჩენს ირაკლის სახელს, როგორც მას ეკადრება.  
პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.  
სპონსორები „კავკასუს ონლაინი“ და „პე-ეს-პე“ არიან. პროექტის ოფიციალური მზღვეველია სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“. პროექტის რადიო პარტნიორები არიან „ფორტუნა“ და „არ დაიდარდო“.

# თორნიკე ყიფიანი „X ფაქტორს“ მიღმა



„მორიდებული მეგონე და სცენაზე რა ამბები დაატრიალო“ - უთხრა ქეთი მეულუამ თორნიკე ყიფიანს. „იქსფაქტორის“ ყველა ლაივ კონცერტს ვესწრები და ამ კონკურსანტის გამოსვლისას დარბაზი ინგრევა, გრგვინავს და ქუხს „ყიფოს“ ძახილში. ის თამაშ გოდუაძის ერთადერთი კონკურსანტია და მენტორი მისი ამყობს. გიორგი გაბუნიას ბიჭების გუნდი მას ერთერთ ძლიერ კონკურენტად აღიქვამს. 26 წლის თორნიკე ყიფიანი „პრაიმტიმის“ მკითხველს თავის ცხოვრებაზე უყვება.

### თავის ძიებაში

**თორნიკე ყიფიანი:** „ნიჭიერთა ათწლედი მივტოვე, იმ დროს ებინემს და დოქტორ დრის ვუსმენდი. მოვიარე სპორტის სახეობები - ჩოგბურთი, წყალბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი...“

მუსიკას 17 წლის ასაკში დაემეგზავრა. მამამ ჯიმი ჰენდრიქსის საუკეთესო სიმღერების კრებული რომ მოასმენინა, გიტარაზე დაკვირვის სწავლა გადაწყვიტა. ჯერ თავისთავად, მერე პედაგოგთან იარა. მერე ჯგუფი „წრიული კუთხე“ ჩამოაყალიბა, ალტერნატიული როკს უკრავდნენ. ვოკალისტი ვერ იპოვა, ძიებაში თვითონ ამღერდა. ამასობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა. პროფესიით ერთი თვე იმუშავა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს მისი საქმე არ იყო. მერე ქოვერბენდი გააკეთა. დღემდე მისი შემოსავლის წყარო ეს ბენდი. პროექტი „ასტეროიდი“ თურქეთში სასტუმროების ქსელში უკრავს. „მაგიფანის“ კონკურსში მონაწილეობდა, ფინალშიც აღმოჩნდა.

### ოჯახი

მეუღლე მარიამ სოსელია ხმის ჩამწერსტუდიაში გაიცნო. მასთან ურთიერთობა ახალი დანაშაული ჰქონდა, როდესაც ერთი ინციდენტი შეემთხვა.

**თორნიკე ყიფიანი:** - ამ ისტორიის მრცხენია, მაგრამ მაინც მოვყვები. მე და მარიამი ნაჩხუბრები ვიყავით და მინდოდა მისთვის რომანტიკული სიურპრიზი გამეკეთებინა. წერილი დავწერე და სახლთან მივაციხეთ. მინდოდა ფანჯარაზე გამეკრა. მერე სართულზე ცხოვრობდა და სანვიმარ მიღზე ავეცი, მაგრამ ეს მილი მოძვრა და ძირს ჩავვარდი. მოვიტყევე ფეხი, ტვინის შერყევა მივიღე, წერილი გაფრინდა. ხმაური მარიამის დას გაუგონია. მე გათიშული ვეგდე. მერე ექსი თვე მაკითხავდა მარიამი საავადმყოფოში. საავადმყოფოს პალატაში დავახლოვდი. კარგად იქ ვაჯივინდი. მოდიოდა და მოქონდა ხილი... რომ გამოვჯანმრთელი და ფეხზე დავდექი, მალევე ცოლადაც შევირთე. გვყავს ორი შვილი - ლაზარე და ნინე. 22 წლის ასაკში გავხდი მამა. მამობა მაგარია. დავესწარი მათ ქვეყანაზე მოვლინებას. დავწერე სიმღერა და ბიჭს მივუძღვენი. გოგონასთვის ჯერ არ მიმიძღვინა არაფერი. კონცერტზე მოდიან და მგულშემატკივრობენ. მარიამი ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. ის ჩემზე მეტად ცდილობს ამ პროექტში წარმატებას მივაღწიო. ჩემი „იქსფაქტორი“ მო-



**„სცენაზე გასვლის წინ მშვიდად ვარ. დაღებით ემოციება ვარ ორიენტირებული. ამ ყველაფერს ღებრთაღდა მივყავარ და ღებრთს ვითხოვ, რომ ყველაფერი კარგად იყოს“**

**EXCLUSIVE**



## „ადამიანი თვითონ ირჩევს როგორ იტყვოს და გარდაცვალების მერე მისი სული რასთან გაერთიანდეს“

სვლაც მისი სურვილით მოხდა. მან დამარეგისტრირა.

### „სიყვარული ცხოვრების მიზეზია“

**„იქსფაქტორი“ რას გაღვებს?**  
- „იქსფაქტორი“ წარმატებისკენ კიდევ ერთი საფეხურია. ხალხი გამოცნობს, დავაინტერესებ. ჩემ მიმართ დადებითად არიან განწყობილი. ეს ძალიან სასიხარულოა.

### „დარბაზიდან გესმის შენ სახელს რომ ყვირიან?“

- ვერ ვპოქვებ ყურადღებას. დარბაზში შეძახილებს რომ მივაქციო ყურადღება, სულ ავირევი. ისე კი ძალიან მაძლიერებს გულშემატკივართა ასეთი მხარდაჭერა. ჩემი გავოსვლით კმაყოფილი არასდროს ვარ. თავს მენიშნებს ვაძლევ ხოლმე.

### „სცენა ადრენალინი?“

- კი, აუტსაიდერებში დგომა ადრენალი. არ მინდა იმედი გავუცრუო, როცა ჩემი იმედი აქვთ. სცენაზე გასვლის წინ მშვიდად ვარ. დაღებით ემოციებზე ვარ ორიენტირებული. ამ ყველაფერს ღებრთაღდა მივყავარ და ღებრთს ვითხოვ, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

### „გამარჯვება?“

- გამარჯვება მინდა. რომ არ ვიმარჯვო, არ იქნება ტრაგედია. მთავარია ხალხს დაღებითად დავამახსოვრდე. ვეცდები მსმენელი

გავახარო და გავაკვირო სიახლეებით. არ მიყვარს ერთფეროვნება. ვცდილობ ყველას ვუპასუხო წერილებზე, მესივებზე. თუ წარმატებულიად ნავიდოდი, ნაფიქრი მქონდა, რომ ეს ყველაფერი მოვიდოდა. ეს სასიამოვნოა.

### „მუსიკა?“

- გრძობების გამოხატვის საშუალება.

### „და ცხოვრება?“

- ერთიანობასთან მისახველელი ეტაპია. ადამიანი თვითონ ირჩევს როგორ იტყვოს და გარდაცვალების მერე მისი სული რასთან გაერთიანდეს.

### „გამარჯვება მინდა, რომ არ ტრაგედია. მთავარია ხალხს დაღებითად დავამახსოვრდე. ვეცდები მსმენელი გავახარო და გავაკვირო სიახლეებით“



# გიორგი საბურზანია სტეფანეს გადაწყვეტილებაზე გააოგნა



გასულ ლაივკონცერტზე ისეთი რამ მოხდა, „იქსფაქტორის“ პროდიუსერები გაოგნებული იყვნენ. გიორგი საბურზანია „პრაიმტიმის“ ლიად გამოხატა თავისი ემოციები - პირი ღია დამრჩა სტეფანემ საუკეთესო სააკაშვილს რომ არ მისცა ხმა და აკ და ანა დასახლდა. სოფო ტროშენლოძემ თავისი გუნდის წევრებს მისცა ხმა, გიორგიმ და თამაშ კი - სოფის რადგან ხმები ფრედ განანილდა,

პროექტის წევრების თანახმად შესაძლებელი გახდა ერთერთ მენტორს თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. წამყვანმა, გეგა ფალავანდიშვილმა სტეფანეს მიმართ, იქნებ შეეცვალა შენი გადაწყვეტილება და შენივე გუნდის წევრი გადაარჩინო. ის ასეც მოიქცა. სოფის ნამღერით აღფრთოვანებული იყო ყველა, ქეთი მეულუამ ურჩია, იოგებს გაუფრთხილდით. რატომღაც მაყურებელმა არ ჩათვალა საჭიროდ მისთვის დაემესივებინა. სოფიც მესამედ აღმოჩნდა აუტსაიდერებში. სტეფანე ამ ფაქტმა გააღიზიანა და ბოლოს, გადაწყვეტილება

რომ არ შეეცვალა, ის დღეს პროექტს გარეთ დარჩებოდა. ასე უბრალოდ ეთიშებოდა შოუს უძლიერესი ვოკალის მქონე კონკურსანტი. მოსწონთ, მაგრამ ხმას არ აძლევენ. ეს არასწორია. პროექტმა მას ჯილდოდ გადასცა დიპლომი - ყველაზე მეტი კომენტარი „ფეისბუქზე“ - 21 421. ამდენ ადამიანს რომ დაერეკა, სოფი აუტსაიდერებში მკვდარვით არ იდგებოდა.

### გიორგი საბურზანია:

- საეთეროში ვიყავი და სტეფანეს გადაწყვეტილებაზე ყბა ჩამომივარდა. წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, აბსოლუტურად მოულოდნელი. ყველა ამ ნახა როგორი მოულოდნელობაა შოუში, ლაივია, ამასობა „X ფაქტორის“ მუღამში. ისეთი რამ მოხდა, რაც ჩვენც კი არ წარმოგვედგინა. არ ვერვით მენტორების გადაწყვეტილებაში. მესმის, რომ სტეფანესგან ეს იყო გარკვეული მესიჯი. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან მაყურებელი ბევრ ნაწილად იყოფა. პროექტის წევრის თანახმად მენტორი თავისი გუნდის წევრს უნდა აძლევდეს ხმას. კიდევ კარგი ფრედ დაჯდა.

### „ყურში ხომ არ გითქვამთ სტეფანესთვის გადაწყვეტილება შეეცვალა?“

- არა, მენტორებთან კავშირი არ გვაქვს. წამყვანს ვუთხარით, ფრეა

და იქნებ შეეცვალა-მეთქი. ფრედ დროს მენტორებიდან ერთს შეუძლია შეეცვლოს გადაწყვეტილება. რადგან სტეფანე იყო სოფის მენტორი, ამიტომაც მივაღებთ სტეფანეს.

### სოფი სააკაშვილი:

- შოკში ვარ, მოვკვდი, გავცოცხლდი, ისევ მოვკვდი და ისევ გავცოცხლდი. გიორგიმ ხმა რომ მომცა და ხმები ორი-ორზე იყო, მეგონა, რომ პროექტი დავტოვე. აზრზე ვერ მოვედი, ნევროზი და შოკი მქონდა. მისი პირველი გადაწყვეტილება არ მენწყინა. სწორად მოიქცა, მესამედ ვიდექი აუტსაიდერებში და ამიტომ. ახლა ისეთ სიმღერას ვიმღერებ, რაც კარგად ნაცნობია.

### „რომ გავარდნილიყავი?“

- გულნატკენი არ ნავიდოდი. მე მაინც აქ დარჩენას არ ვაპირებ. კარიერას ამერიკაში აუწყობ. ერთადერთი მაშინ გავჩერდები, მინაში რომ ჩამდებენ. ჩემს საქმეს გავაკეთებ ყველგან და ყოველთვის.



**„სტეფანესგან მს იყო გარკვეული მესიჯი. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, არასწორია“**

euro pe-bet.com

12 ივნისიდან - 13 ივლისამდე  
ონლაინ ტოტალიგატორის  
გათამაშება  
მოიგე JAGUAR XJ

მიიღე ყოველ 5 ლარზე 10 ბილეთამდე



  
JAGUAR

# „ევროპაბეთი“ ალექსანდ

მაგდა კლდიაშვილი

გაზეთ „პრაიმტიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის - „ითამაშე ვარსკვლავთან“ ერთად ფარგლებში, 16 ივნისს, „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალს, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი ეწვია, რომელმაც სპეციალურად მისთვის დამზადებული ბილეთები შეავსო და მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად გერმანიის ნაკრები დაასახელა.

შეხვედრა საკმაოდ ემოციური გამოდგა. ტოტალიზატორს საკუთარი სტუმრებისთვის სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული. ბურთებზე, ალექსანდრე იაშვილმა ავტოგრაფები დატოვა და ქართველი გულშემატკივარი დაასაჩუქრა. შეხვედრისგან მიღებული სიამოვნება ვერც ფეხბურთელმა და ვერც იქ მყოფმა ადამიანებმა ვერ დამალეს - სურვილი მხოლოდ ერთი იყო - ასეთი სახის შეხვედრები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ამის აუცილებლობაზე „პრაიმტიმთან“ თავად ალექსანდრე იაშვილიც ისაუბრა. მისი თქმით, ყველა ცივილიზებულ საფეხბურთო ქვეყანაში გულშემატკივარსა და ფეხბურთელებს შორის ხდება შეხვედრები და ეს აუცილებელიცაა, რადგან ქომაცს ყოველთვის უჩნდება კითხვები მოთამაშესთან.

„აუცილებელია ასეთი ტიპის შე-



**ალექსანდრა იაშვილი:**  
**„აუცილებელია ასეთი ტიპის შეხვედრები, რადგან ყველგან მიღებულია, როცა ფეხბურთელები ხვდებიან თავის გულშემატკივარს“**



**ალექსანდრა იაშვილის ფავორიტმა გერმანიამ ფეხბურთელის პრობნოზი გააგართლა**

ხვედრები, რადგან ყველგან მიღებულია, როცა ფეხბურთელები ხვდებიან თავის გულშემატკივარს. მათ ყოველთვის ბევრი კითხვა აქვთ. აინტერესებთ მსოფლიო ჩემპიონატი და ფეხბურთისადმი ინტერესი გაზრდილია ძალიან“, - ამბობს იაშვილი.

მას თავისი ფავორიტიც ჰყავს. 21-წლიანი პროფესიონალური საფეხბურთო კარიერიდან, 17 გერმანიაში გაატარა, ამიტომ, „ევროპაბეთის“ მიერ, სპეციალურად მისთვის დამზადებულ ბილეთში, აფიქსირებს, რომ გერმანია მსოფლიო ჩემპიონი გახდება, თუმცა იმასაც ამბობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტი მასპინძელი ბრაზილიის ნაკრებია.

„ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი - ამის თქმა ძალიან რთულია. ჩემი აზრით, ვინც იბრძოლებს და შეიძლება ჩემპიონიც გახდეს, ბრაზილიაა. მგონია, რომ სახლში მოიგებს, მაგრამ გერმანიას ჰყავს ძლიერი ნაკრები და შეუძლია იბრძოლოს ჩემპიონობისთვის. ასევე, ძალიან მაინტერესებს ბელგიის ნაკრები როგორ ითამაშებს, რადგან, სხვებთან შედარებით, არ არის დიდი დონის ნაკრები, მაგრამ ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ, გააოცონ და გააკვირონ მაყურებელი“, - ფიქრობს ფეხბურთელი.

**„თუკი გაბრძოლება ეს მნიშვნელოვანი პროექტი, ხალხისთვისაც კარგი იქნება და ჩვენი ფეხბურთის დონაც აინეოს“**



EXCLUSIVE



**„ქალიან მაინტერესებს ბელგიის ნაკრები როგორ ითამაშებს, კადბან, სხვათაშუაშა, არ არის დიდი დონის ნაკრები, მაგრამ ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ გააოცონ და გააკვირონ მაყურებელი“**

ალექსანდრე იაშვილი „ევროპაბეთში“ გერმანიისა და პორტუგალიის დაპირისპირებას დაესწრო, მატჩამდე მან ივარაუდა, რომ გერმანია მოწინააღმდეგეს 2:1-ს დაამარცხებდა, „იამკას“ ვარაუდი გამართლდა - იოახიმ ლოვის გუნდმა მოიგო, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გერმანელებმა პორტუგალიელები გაანადგურეს 4:0 დაამარცხეს. ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის პროგნოზი გაითვალისწინეს ადგილზე მისულმა გულშემატკივრებმაც, რომლებმაც იაშვილის „ევროპაბეთში“ დანახვა, სიურპრიზი აღმოჩნდა.

**საბა ნულისკირი, გულშემატკივარი:** - არაჩვეულებრივი იყო ეს შეხვედრა. ძალიან კარგია, როცა იაშვილთან ერთად დგახარ. ის არაჩვეულებრივი ფეხბურთელია. თუკი გაგრძელდება ეს მნიშვნელოვანი

პროექტი, ხალხისთვისაც კარგი იქნება და ჩვენი ფეხბურთის დონეც აიწევს. გახარებული ვარ.

**ლადო ცხაკაია:** - ვფიქრობ, საინტერესო პროექტია, ყველა კმაყოფილია. უსაჩუქროდ არავინ დარჩენილა, საკმაოდ საინტერესო იყო შეხვედრა. თუკი ხშირად ივლიან ვარსკვლავები ასეთ ადგილებში, მეტი ხალხის ექნება ყურებასაც. ბევრ ჩვენგანს ცოცხლად არ ჰყავს ქართველი ფეხბურთელები ნანახი და კარგი იქნებოდა, დანერგილიყო ეს.

„ევროპაბეთის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სიურპრიზები ისევ გაგრძელდება და ეს მხოლოდ დასაწყისია.

**ნანა მუჟანაძე, „ევროპაბეთის“ წარმომადგენელი:** - „ევროპაბეთი-



სა“ და „პრაიმტიმის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სიურპრიზები გრძელდება. „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში დღეს ალექსანდრე იაშვილს ვუმასპინძლეთ. ვფიქრობ, ძალიან კარგი პროექტია, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის ყურება „ევროპაბეთში“, შესაძლებელია ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად. სიურპრიზიც გვაქვს - გულშემატკივარს დაურიგდა საჩუქრად ბურთები, ალექსანდრე იაშვილის ხელმოწერით.

ალექსანდრე იაშვილი კი მსოფლიო ჩემპიონატის სხვა მატჩების ანალიზსაც აკეთებს. მისი აზრით, ყველაზე კარგი თამაში, რაც აქამდე ნახა ინგლისი-იტალიის დაპირისპირება იყო. „იამკას“ თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დიდი წარმატებები არ აქვს, ფეხბურთი ქვეყანაში მაინც რჩება ყველაზე საყვარელ სპორტის სახეობად.

„ფეხბურთი საქართველოში ძალიან პოპულარულია, ამაზე ლაპარაკიც არ



**„მსოფლიო ჩემპიონატს სულ ჰყავდა საქართველოში ბევრი გულშემატკივარი და იმედია, რომ საქართველოს ნაკრების თამაშებსაც ასეთივე გამომხაურება ექნება შემდეგ ციკლში“** - განაცხადა იაშვილმა.

პროექტის შემდეგი შეხვედრა 30 ივნისს არის დაგეგმილი. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება პირველი მეთხედ-ფინალური წყვილი, გეტყვით იმას, რომ ეს შეხვედრა ვარკეთილში გაიმართება.





**თორნიკე ყიფიანი „X ფაქტორს“ exclusive მიღმა**

26 ივნისი • 20:00  
 დიდი საკონცერტო დარბაზი  
**არგენტინული ტანგოს ვირტუოზები**  
 ტანგოს ცოცხალი ლეგენდის გუსტავო რუსოს ხელმძღვანელობით  
**GUSTAVO RUSSO**  
*Tango in Red Major*  
 ბილეთები იყიდება დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში და [biletbl.ge](http://biletbl.ge)-ში ფასი 50 ლარი  
**TBC VIP BRAVO**

ფესტივალის „პომუსის“ საერთაშორისო განცხადება



ფესტივალს შვიდი ქვეყნიდან 20 არტისტი შეუერთდა

**EXCLUSIVE**  
 ლაშა გულაქია „ნავიგატორის“ კრემიერას პარიზიდან სკაიპით ჩართვა

**EXCLUSIVE**

**EXCLUSIVE**  
 ISSN 1987-7404  
 9 771987 740005

**EXCLUSIVE**




**„The best of KING“ - „ბრავო რეპორდსმა“ მეფის ალბომი გამოუშვა**



**სამოსანი ჰამლეტი და დღემდე დაუვინყარი ცხენი**

**გორა კაპანაძის კრამტიანი**

„პირველად ვამბობ ამას და შეიძლება გიზო ჟორდანიას გამიბრაზდეს კიდევ, ამას რომ ვამბობ ლიად...“

**EXCLUSIVE**